85

უნივერსიტეტი

15 ოქტომბერი, ორშაბათი, 2012 წ. №11 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გმობს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ კადრებში ასახულ შემზარავ ფაქტებს, რომელსაც სასჯელაღსრულების სისტემაში ჰქონდა ადგილი. ჩვენთვის მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება. თსუ უერთდება საზოგადოების მოთხოვნას გამოკვლეულ იქნას ძალადობის თითოეული ფაქტი და დაისაჯოს თითოეული დამნაშავე და პასუხისმგებელი პირი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოში ადამიანის ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

19 სექტემბერი, 2012

გია დვალის მიმართვა ნიუ-იორკიდან

გვ. 6

სასწავლო წლის დაწყების პირველი დღე თსუ-ში გვ. 2

საპროტესტო აქციების შემხვედრი ნაბიჯი თსუ-ის ადმინისტრაციისგან გვ. 2-3

პროფესორთა ბრალდებებს ადმინისტრაციაში კატეგორიულად უარყოფენ გვ. 4

მისი ხედვით აშშ-ს ელჩიც დაინტერესდა

გვ. 11

სტუდენტური მოძრაობა 2012

ისტორია თავის სიტყვას იტყვის 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ მნიშვნელოვან წინმსწრებ მოვლენად უდავოდ დასახელდება ის სტუდენტური მოძრაობა, რომელმაც ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად დემონსტრირება შეძლო. „ჩვენი უზენაესი ღირებულებაა — ადამიანი!“, „ყველანი პატიმრები ვართ!“, „ადამიანურობის დეფიციტი!“, „ციხეში მოხვდე=ციხეში მოკვდე!“ „სტუდენტები ძალადობის წინააღმდეგ!“ „ფასადური დემოკრატია დაინგრა!“ — ამ და სხვა მსგავსი ლოზუნგების ქვეშ გაერთიანებული ათასობით სტუდენტის ხმა არსებულ პოლიტიკურ სისტემას რღვევას უქადდა, რაც გაცხადდა კიდეც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით.

გვ. 7-8

ახალი ხელისუფლების ტაქტიკა უნივერსიტეტთან მიმართებაში ერთგვარი ტესტი იქნება

ინტერვიუ რექტორთან ალექსანდრე კვიტაშვილთან

გვ. 5

მარიამ ლორთქიფანიძის თანადგომა სტუდენტებს გვ. 9

სტუდენტური აქციებით პროვოცირებული პრობლემების აქტუალიზაცია თსუ-ში გვ. 10

ახალი სახე — ნოდარ ცინცაძე გვ. 5

რევაზ სირაძის ღვაწლი და განშორება გვ. 13

ქრონიკა გვ. 14-15

სასწავლო წლის დაწყების პირველი დღე თსუ-ში

17 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს, პირველკურსელთა მიღების ტრადიციული ცერემონია უნივერსიტეტის სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლების გამო ვერ შედგა. ახლად მიღებულ კონტინგენტთან გასაუბრება და მათთვის სასწავლო წლის დაწყების მილოცვა უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხელმძღვანელებმა მხოლოდ აუდიტორიებში მოახერხეს, რადგან გარეთ სტუდენტური ჯგუფები სკანდირებდნენ და რექტორთან შეხვედრას ითხოვდნენ. საპროტესტო აქცია ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918“-ის ორგანიზებით გაიმართა, რომლის ძირითადი მოთხოვნები რეგენტთა საბჭოს გაუქმება, გათავისუფლებული ლექტორების დაბრუნება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ანდრო ბარნოვის თანამდებობიდან გადადგომა და სასწავლო გაზების მოწესრიგება იყო. აქციის მონაწილეები ტრანსპარანტებით, სტვენით და სკანდირებით უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შევიდნენ, შემდეგ სააქტო დარგაზში გადაინაცვლეს, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პირველკურსელებთან შეხვედრა მიმდინარეობდა. აქციის ორგანიზატორებმა სტუდენტებს აქციის მოთხოვნები და მოწოდებები გააცნეს, რის შემდეგაც რექტორატთან შეიკრიბნენ. თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მათთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა ხმაურის და ასევე აქციის მონაწილეთა მხრიდან შესაბამისი სურვილის არქონის ფონზე დიალოგი ვერ შედგა.

ერთი-ორი ახალგაზრდის გარდა, კომუნიკაციის პრობლემა დღეს აღარავისთან დარჩა

სტუდენტების ერთერთი მოთხოვნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ანდრო ბარნოვის გადადგომა იყო.

„ის, რომ უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკი ანდრო ბარნოვი, ეს კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო აშკარად ცდილობდა ჩარეულიყო შიდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ჩვენი აზრით, ამ თანამდებობაზე დაინიშნა ისეთი კაცი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა სტუდენტების საპროტესტო გამოსვლებს და ეს მოხდა იმ ფაკულტეტზე, სადაც ყველაზე დიდი იყო საფრთხე სტუდენტების პროტესტისა. ამიტომ, ჩვენი ერთერთი მოთხოვნა იყო ანდრო ბარნოვს თანამდებობა დაეტოვებინა. რა თქმა უნდა, ჩვენ, მასთან, სხვა არანაირი დაპირისპირება არ გვაქვს, უბრალოდ, ჩვენთვის მიუღებელი იყო ის პრინციპი, რომლითაც იგი დეკანის თანამდებობაზე დაინიშნა," — ასე ხსნის აქტივისტი სტუდენტი დიმიტრი ხუსკივაძე სტუდენტთა საპროტესტო მოთხოვნის ძირითად არსს. პროტესტანტ სტუდენტებთან სასაუბროდ ბატონი ანდრო ბარნოვი მე-6 კორპუსის წინ 17 სექტემბერსვე გამოვიდა, თუმცა სტუდენტთა სკანდირების ფონზე დიალოგის გამართვა შეუძლებელი გახდა. ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით შევძელით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლისგან კომენტარის მოსმენა.

ანდრო ბარნოვი:

„სტუდენტების პროტესტი გამიხარდათქო, ვერ გეტყვით. თუმცა, იძულებული გავხდი, რომ დავფიქრებულიყავი და საკუთარი სტუდენტობა გამეხსენებინა. ეს საუკეთესო დროა, როცა დიდი თავისუფლება და დიდი ენერგია ძალიან ბევრი რამის გაკეთების საშუალებას გაძლევს. ამიტომ, ცხადია, მხოლოდ მივესალმები მათ აქტიურობას, როგორც არ უნდა იყოს ეს გამოხატული. იმ დღეებში ხან ნერვები მეშლებოდა და ხან მეცინებოდა, მაგრამ ყოველთვის მახსოვდა, რომ მთავარია მოთმენა და ახალგაზრდებთან კომუნიკაცია. დღეს უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს ნამდვილად ერთადერთი სწორი მიდგომაა და შედეგებიც უკვე ჩანს. ერთი-ორი ახალგაზრდის გარდა, კომუნიკაციის პრობლემა დღეს აღარავისთან დარჩა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მალე მათ ნდობასაც მოვიპოვებთ.

ძალიან ბევრი შეხვედრა გვქონდა და კიდევ ბევრი გვექნება. სტუდენტებთან ურთიერთობისას ვცდილობ, მათ ადგილას დავდგე და ისე შევხედო ყველაფერს. მგონი, გამომდის, იმიტომ რომ მართლა ძალიან მიყვარს ახალგაზრდები და მათში არა მარტო ჩვენი ქვეყნის მომავალს ვხედავ, არამედ თავისუფლების იდეის განხორციელებასაც“.

მოამზადა
ნინო კაკულია

აქტივისტის პოზიცია



გვესაუბრა ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918“-ის წევრი, თსუ-ის სტუდენტი დიმიტრი ხუსკივაძე:

— როდესაც 17 სექტემბერს უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან შეიკრიბეთ და მოთხოვნები წამოაყენეთ, მზად იყავით რექტორთან შესახვედრადაც?

— იმ დღეს 200-მდე სტუდენტი გამოვთქვამდით პროტესტს, მაგრამ ჩვენთან არავინ გამოსულა და არ დაგვლაპარაკებია. ამ დღეს ფაკულტეტის დეკანები პირველკურსელებს ხვდებოდნენ. ჩვენ უნივერსიტეტის კორპუსებში შევდიოდით, დერეფანში ვსკანდირებდით და სტუდენტებს მოვუწოდებდით გამოსულიყვნენ აუდიტორიებიდან და აქციას შეერთებოდნენ.

— გასულ სასწავლო წელს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა არაერთხელ შეხვდა სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფს, თუმცა თქვენს ორგანიზაციას, ვგულისხმობ „ლაბორატორია 1918“-ს, არ გამოუთქვამს შეხვედრის სურვილი. რატომ?

— შეხვედრებზე არ მივდიოდით, რადგან ეს შეხვედრები არაფრის მომცემია. თსუ-ის ადმინისტრაციამ ჩვენი მოთხოვნები კარგად იცის. ის მოგვცემს დაპირებებს, რაც არ შესრულდება, ამიტომ ეს დიალოგი არ იქნება შედეგის მომტანი, რასაც სტუდენტებთან რექტორის ადრინდელი შეხვედრების გამოცდილებაც ადასტურებს.

— შეგიძლია კონკრეტული ფაქტი დამისახელო, რა დაპირებაც არ შესრულდა?

— შარშან სექტემბერში რექტორმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც დაგვპირდა, რომ ბაზების პრობლემა მოგვარდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გარდა ამისა, დღემდე არ დასჯილან სტუდენტური თვითმმართველობის ის წევრები, რომლებმაც გაზაფხულზე სტუდენტები სცემეს — არადა რექტორი ამას გვპირდებოდა.

— შენს შეფასებებში რადიკალური უფრო ხარ თუ ადეკვატური?

— რა თქმა უნდა, ადეკვატური. ჩვენს მოთხოვნებს სტუდენტების დიდი ნაწილი იზიარებს. რაც შეეხება არაეთიკურ საქციელს, სტუდენტური აქციების ისტორიას თუ გადავხედავთ, ასეთ ქმედებებს ბევრ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

— ესე იგი თქვენ თვლით, რომ მოლაპარაკებას აზრი არ ექნება?

— მარტო რექტორი ამას ვერ გადაწყვეტს, რამდენადაც ამის უფლებას არ მისცემენ... აი, ამიტომ გვაქვს გარეთ გატანილი პროტესტი, რომლის ძირითადი მოთხოვნაა – „ავტონომია უნივერსიტეტს“. ჩვენ არ გვჯერა, რომ პრობლემების მოგვარება უნივერსიტეტშივეა შესაძლებელი.

საპროტესტო აქციების შემხვედრი ნაბიჯი თსუ-ის ადმინისტრაციისგან

ახალი სასწავლო წლის დასაწყისი უნივერსიტეტისთვის ხმაურიანი აღმოჩნდა. სწავლის დაწყების პირველივე დღეს სტუდენტთა ერთმა ნაწილმა ადმინისტრაციას იმ პრობლემების მოგვარება მოსთხოვა, რომელიც, მათი აზრით, ხელს უშლით სასწავლოს პროცესში.

თავდაპირველად მათი მოთხოვნა რამდენიმე პუნქტს მოიცავდა: რეგენტთა საბჭოს გაუქმება; გათავისუფლებულ ლექტორთა დაბრუნება; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ანდრო ბარნოვის თანამდებობიდან გადადგომა და სასწავლო გაზების მოწესრიგება. ეს მოთხოვნები ერთიანდებოდა საერთო ლოზუნგში „ავტონომია უნივერსიტეტს!“. მოგვიანებით მოთხოვნათა ჩამონათვალიდან აქციის მონაწილეებმა რეგენტთა საბჭოს გაუქმება ამოიღეს იმ მოტივით, რომ ეს მხოლოდ უნივერსიტეტის გადასაწყვეტი საკითხი არ იყო.

მომდევნო დღეს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „აქციის მონაწილეთა მოთხოვნებთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლებს რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი შეხვდა. მისი განცხადებით, გარკვეული მოთხოვნები სამართლიანია და მათ გადაჭრაზე უნივერსიტეტი მუშაობს, კერძოდ, სასწავლო გაზებთან დაკავშირებით საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, ასევე, გაუმჯობესდა ტექნიკური გაზა, მიმდინარეობს არსებული სისტემის დახვენა“.

ბუნებრივია, ამ პერიპეტიების შემდეგ დავინტერესდით – როგორ შეხვდა უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს? რა ნაბიჯები გადაიდგა იმ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომელსაც სტუდენტები აყენებდნენ? აქვს თუ არა უნივერსიტეტს რესურსი – შექმნას ყველა სტუდენტისთვის კომფორტული სასწავლო გარემო და ტექნიკური გაზა, რომელიც მათ მომავალში გაუადვილებთ სასურველი საგნების არჩევას და ლექციების მოსმენას?

გვესაუბრება თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე

მაია ტორაძე

არაფერი გაზომილა ვინმეს პოლიტიკური პოზიციის გათვალისწინებით

— პირველი დღე უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, სტუდენტთა პროტესტით დაიწყო. აქციებზე სტუდენტები პასუხების გაცემას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისგანაც ითხოვდნენ. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში რა მიმართულებით შეძლებთ სტუდენტთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას?

— პირველ რიგში, ყველაზე სერიოზული მოვლენა გახლდათ აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსები. უნდა ვთქვა, რომ 2006 წლის შემდეგ, თავისი მოცულობით, ეს იყო ყველაზე მასშტაბური კონკურსი.

რასაკვირველია, იქ, სადაც კონკურსია, ყოველთვის არსებობს იმის მოლოდინი, რომ საუკეთესომ უნდა გაიმარჯვოს და რეალურად ეს ასეც არის. თუმცა კონკურსს იმის ეჭვიც ყოველთვის ახლავს, რომ შესაძლოა ამ პროცესში ღირსეული ადამიანი აღმოჩნდეს ბორტს მიღმა, მით უფრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საუკეთესოთა შორის საუკეთესო აკადემიური პერსონალი მოღვაწეობს.

სწორედ იმის გამო, რომ ასეთი რამ არ მომხდარიყო, ჩვენ შევეცადეთ, საკონკურსო პირობები და რეგულაციები ისე შეგვედგინა, რომ დათვლადი ყოფილიყო თითოეული კონკურსანტის ყველა აქტივობა და ღირსება. ეს რეგულაციები იყო ყველა საკონკურსო კომისიის მუშაობის გარანტი. თუმცაღა, უნივერსიტეტის სიღრმეში იმდენი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობს, რომ მათი შესატყვისი საშტატო ერთეული არ არის, ამიტომ მაინც მოხდა ისე, რომ ვიღაც კონკურსის მიღმა დარჩა.

კონკურსის მიმდინარეობისას უნივერსიტეტში ძალიან ეფექტური ღონისძიებები განხორციელდა. მხედველობაში მაქვს კონკურსის მეორე ტალღა – მეორე ეტაპი, რაც რიგ ფაკულტეტებზე ჯერაც არ დასრულებულა. მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კიდევ მიმდინარეობს კონკურსი, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ის ახლახან დასრულდა. ყველა იმ ადამიანს, რომელიც ღირსეული იყო თავისი რეკვიზიტით, სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებით და პოტენციით, ჩვენ შევთავაზეთ სახელშეკრულებო კონტრაქტი, რომელიც მათ უნივერსიტეტში საქმიანობის საშუალებას აძლევს.

— სტუდენტთა აქციებზე, რომელიც სასწავლო წლის პირველ დღესვე გაიმართა, საუბარი იყო საკონკურსო კომისიების არასამართლიან მუშაობაზე. როგორც ჩანს, სტუდენტთა ნაწილს გაუჩნდა შეგრძნება, რომ რამდენიმე ლექტორი პოლიტიკური პოზიციის გამო აღმოჩნდა კონკურსს მიღმა. თქვენი აზრით, რამდენად იყო ასეთი რამ შესაძლებელი კონკურსის პირობების გათვალისწინებით და რა პასუხი აქვს კომისიებს ამასთან დაკავშირებით?

მე-3 გვერდზე

საპროტესტო აქციების შემხვედრი ნაბიჯი თსუ-ის ადმინისტრაციისგან

მესამე გვერდიდან

— შემიძლია გითხრათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიების მუშაობის შესახებ, რომელთაგან რამდენიმეს წევრი, ზოგან თავმჯდომარის მოადგილე, მეც გახლდით. შესაბამისად, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არანაირი პოლიტიკური ნიშნით პროფესორთა შერჩევა არ მომხდარა. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი, რომელსაც გააჩნდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, კონკურსში გავიდა, რადგანაც მას, როგორც პედაგოგსა და მეცნიერს, ალტერნატივა არ ჰყავდა.

თუმცაღა სტუდენტების მღელვარებისაც მესმის, რადგანაც იმ მოცემულობაში, რაშიც საქართველო არჩევნების წინ იმყოფებოდა, არსებობდა რისკი იმისა, რომ შეიძლებოდა საუნივერსიტეტო კონკურსი პოლიტიზირებული და მავანის მიერ გამოყენებული ყოფილიყო, მაგრამ დამერწმუნეთ, უნივერსიტეტის კედლებში პირველი საზომი არის სამეცნიერო-პედაგოგიური მიღწევები, ის რეიტინგი და რენომე, რაც კონკრეტულ პიროვნებას აქვს და ამას არ შეიძლება რომელიმე პოლიტიკური პოზიციის გამო ჩრდილი მიადგეს.

სხვათა შორის, სტუდენტებთან შეხვედრები გამართეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. მათ ესაუბრნენ ასევე მათივე მეგობრები, ვისაც მეტი ინფორმაცია ჰქონდა ამ პროცესებზე და, ვფიქრობ, დიდი ნაწილი დარწმუნდა იმაში, რომ უნივერსიტეტს არც ერთი არჩევანი პოლიტიკური პოზიციის გამო არ გაუკეთებია.

ჩვენთვის დილემა იყო ის შემთხვევები, როცა ერთმანეთის საპირწონედ იდგა ორი სრულიად ერთნაირი შესაძლებლობებისა და მონაცემების მქონე კანდიდატი, რომელთაგან ერთის არჩევა ძალიან რთული გახლდათ. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტმა მოძებნა გამოსავალი — ან ვაკანსია დაუშვა, ან იდენტური სახელშეკრულებო პირობები შესთავაზა.

— რაც შეეხება საგანმანათლებლო პროცესს, რა სიახლეებია და რა იგეგმება მომავალში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

— პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია 5 წლის ვადით. ასევე, აკრედიტებულია უნივერსიტეტში მოქმედი 320 პროგრამა. ეს ძალიან რთული და შრომატევადი პროცესი იყო, რადგან აკრედიტაციის მოთხოვნათა სრული გათვალისწინება პროგრამების ამხელა სპექტრში იოლი საქმე არ არის.

რაც შეეხება სხვა პროექტებს: ჩვენ ჩაბმული ვართ ტემპუსის პროექტში, რომელიც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების განვითარებას. პროგრამის განვითარება იმასაც უნდა ითვალისწინებდეს, რომ მაქსიმალურად ეფექტური იყოს ის შედეგი, რაც ამ პროგრამითაა განსაზღვრული. მასში აუცილებლად უნდა იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, დამსაქმებელი და თვითონ სტუდენტი. ამ წრის შეკვრით ჩვენ მივაღწევთ, რომ უნივერსიტეტის პრესტიჟი კიდევ უფრო გაიზრდება.

პრეტენზიების ადრესატი მხოლოდ ჩვენი დეპარტამენტი არ გახლავთ

— რა კეთდება სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მხრივ. უნივერსიტეტის წინ გამართულ სტუდენტთა აქციებზე ამ კუთხით პრეტენზიები გაისმა...

— ბევრ სტუდენტს ჰგონია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი თსუ-ში ის სტრუქტურული ერთეულია, რომელმაც მათ ყველა პრობლემა უნდა მოუგვაროს. ეს ასე რომ არაა, ამაზე დეპარტამენტის დებულება, წესდება და უმაღლესი განათლების კანონი მეტყველებს. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი მხოლოდ დამხმარე სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან ანუ ფაკულტეტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იურიდიულ, საფინანსო და ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტებთან ერთად სტუდენტების პრობლემების მოგვარებაზე მუშაობს.

საქმე ძალიან ბევრია. ხშირად ფორსმაჟორულ სიტუაციაში გვიწევს მუშაობა. განსაკუთრებით ცხელი პერიოდია სასწავლო წლის დასაწყისი. დეპარტამენტში მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან, ანუ 2012-2013 სასწავლო

გვესაუბრება თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი დალი კანდელაკი

სტუდენტებს მინდა განმარტება მივცე ერთ, მათთვის მეტად მტკივნეულ საკითხზე: სასწავლო კურსებზე ადგილების რაოდენობის განსაზღვრას, საგნების გააქტიურებას და პედაგოგების შეთავაზებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტები. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ამ პროცესს ადმინისტრირებას არ უწევს, თუმცა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად სტუდენტები ხშირად მოგვმართავენ და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ დავეხმაროთ.

წლის შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასაწყისიდან დღემდე 2480 განცხადება შემოვიდა. მათი შინაარსი მეტად მრავალფეროვანია: სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, ადმინისტრაციული თუ აკადემიური რეგისტრაციის გაუქმება, სწავლის საფასურის გადავადება, დამატებითი სემესტრის მოთხოვნა, შიდა და გარე მობილობა და ა.შ. ყოველ შემოსულ განცხადებაზე ხდება სწრაფი რეაგირება. თუ საკითხის მოგვარება მხოლოდ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებშია შესაძლებელი, ამას 2-3 სამუშაო დღე სჭირდება; უფრო ხანგრძლივდება ისეთი ტიპის განცხადებების განხილვა, როცა სხვა სტრუქტურული ერთეულების დასკვნებია საჭირო.

ჩვენ სტუდენტებს წინა სემესტრიდან მომსახურების ახალი სერვისი შევთავაზეთ. კერძოდ, თსუ-ის პირველი კორპუსის 111-ე აუდიტორიაში შესაძლებელი გახდა სტუდენტთა მომსახურება — აქ განთავსდა საინფორმაციო და საკონსულტაციო ჯგუფი და სტუდენტები ამომწურავ პასუხს იღებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. იქვე ხდება დიპლომების, სერტიფიკატებისა და მოწმობების გაცემა, ასევე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში წარმოშობილი ხარვეზის გამოსწორება.

— მაინც, როგორ შეიძლება მოგვარდეს სტუდენტთა ის პრეტენზიები, რაც მათ აქციებზე სასწავლო წლის დასაწყისში გაახმოვანეს?

— ამ პრობლემების გადაწყვეტაში თსუ-ის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ჩვენც აქტიურად ვართ ჩართულები. თუმცა, მიუხედავად თსუ-ის ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტის მიერ გაწეული შრომისა, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტმა სტუდენტებს მაინც ვერ შესთავაზა სრულყოფილი მომსახურება. ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. სტუდენტებს მინდა განმარტება მივცე ერთ, მათთვის მეტად მტკივნეულ საკითხზე: სასწავლო კურსებზე ადგილების რაოდენობის განსაზღვრას, საგნების გააქტიურებას და პედაგოგების შეთავაზებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტები. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ამ პროცესს ადმინისტრირებას არ უწევს, თუმცა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად სტუდენტები ხშირად მოგვმართავენ და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ დავეხმაროთ.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 2012-2013 სასწავლო წელს, ისევე როგორც წინა წლებში, თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ვაკანსიები არ დარჩენილა. თსუ-ის 6 ფაკულტეტზე და ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში ბაკალავრიატის საფეხურზე 4530 სტუდენტი ჩაირიცხა. მათი ეს არჩევანი უნივერსიტეტს მეტ პასუხისმგებლობასაც აკისრებს. რა გაკეთდა სტუდენტების ნდობის გასამართლებლად?

— გარდა იმისა, რომ თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ვაკანსიები არ დარჩენილა, წელს, უკვე მეორედ, მივიღეთ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოში მცხოვრები 207 აზერბაიჯანულენოვანი და 107 სომხურენოვანი მოქალაქე.

მაგისტრატურაში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 891 მაგისტრანტობის კანდიდატი.

მიღება განხორციელდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზეც. კონკურსის შედეგად დოქტორანტის სტატუსი მოიპოვა 225 კონკურსანტმა.

მობილობით თსუ-ში გადმოვიდა 308 სტუდენტი. შიდა მობილობაში მონაწილეობა მიიღო და ფაკულტეტი შეიცვალა 128 სტუდენტმა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 31 სტუდენტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება თსუ-ში მოიპოვა 126-მა აბიტურიენტმა, მაგისტრანტობის კანდიდატმა და სტუდენტმა. დეპარტამენტმა უზრუნველყო მათი სასწავლო პროცესში ინტეგრირება.

ყველა ახალჩარიცხულ სტუდენტს განსაკუთრებული დახვედრა სჭირდება. ბაკალავრიატის და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პირველკურსელი სტუდენტებისთვის დეპარტამენტმა გამოსცა „სტუდენტის გზამკვლევი", რომელიც განთავსდა თსუ-ის ვებ-გვერდზე. საცნობარო მასალა მათ ბეჭდური სახითაც მიიღეს.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაციისა და ID ბარათების გაცემას, უზრუნველყო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში პირველკურსელებისა და მობილობით გადმოსულ სტუდენტთა ინდივიდუალური პროფილის შექმნა, განაახლა სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაციები, უზრუნველყო წვევამდელთა აღრიცხვის ბარათების შექმნა, ფორმა №26-ის (სტუდენტი ვაჟებისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებაში წარსადგენი ცნობა) მომზადება და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის გაგზავნა. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის დაიბეჭდა და გაიცა სერტიფიკატები.

საჭიროა, სტუდენტებმა ჩვენი ამ საქმიანობის შესახებ ყველაფერი იცოდეს, რათა პრეტენზიებიც ნაკლები იყოს.

ბაზების გაუმართაობის პრობლემა თუ არასაკმარისი ადგილები საგნის არჩევისთვის?

— სტუდენტთა პროტესტი, რომელიც გაუმართავ სასწავლო ბაზებს და სერვერს შეეხებოდა, ყველაზე მეტად თქვენი დეპარტამენტისკენ იყო მიმართული. რა პრობლემებია იმასთან დაკავშირებით, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს ბაზები და ახალგაზრდამ უპრობლემოდ შეძლოს საგნის არჩევა?

— აქ პრობლემა იყო ის, რომ აკადემიური რეგისტრაციის დაწყებისას, ტექნიკური ხარვეზის გამო, ბაზების გახსნა 40 წუთით დაგვიანდა. ამის შემდეგ ტექნიკური პრობლემა აღარ დაფიქსირებულა. ის, რომ სტუდენტები აცხადებდნენ — სერვერს არ ყოფნის სიმძლავრეო, არ არის სწორი, ეს იყო მხოლოდ პირველი 40 წუთის განმავლობაში, შემდეგ გასწორდა, მაგრამ, რადგანაც ბაზები პირველი 40 წუთი არ იხსნებოდა, ეგონათ, რომ სერვერს სიმძლავრე არ ჰყოფნიდა.

მას შემდეგ, რაც ბაზები გაიხსნა, მივედით მეორე, თუმცა არატექნიკურ პრობლემამდე — ეს არის საგნებზე არასაკმარისი ადგილები. ანუ სტუდენტს უნდოდა რომელიმე საგანზე ჩაწერა და ჯგუფი უკვე გადავსებული ხვდებოდა. ეს ჩვენი დეპარტამენტის ბრალი არაა, რადგანაც რომელ საგანზე რამდენი ადგილია, ეს წინასწარ უნდა დადგინდეს ფაკულტეტებზე.

— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ სტუდენტებს პრობლემას არა სერვერი, არამედ საგნებზე არასაკმარისი ადგილების რაოდენობა უქმნით?

— დიახ. მაგალითად, ჯგუფში 25 ადგილია და კომპიუტერთან ერთდროულად ზის 25000 სტუდენტი. პროგრამა დატვირთვით მუშაობს პირველი 2-3 საათი, სანამ საგნებზე არჩევანის დასწრების პროცესი მიმდინარეობს, მერე დატვირთვა იკლებს, მაგრამ სტუდენტები საგნებს მაინც ვერ ირჩევენ, რადგან ადგილები აღარ არის. ეს სერვერის ბრალი არაა. ის საკმაოდ ძლიერია და კიდევ გაუძლებს დატვირთვას. ჩვენ ის შენიშვნები, რაც სტუდენტებმა გაზაფხულის სემესტრში მოგვცეს, გავასწორეთ, ახლა თავს იჩენს სხვა პრობლემები, რომლის თაობაზეც ამ კვირაში ვიწყებთ სტუდენტთა ჯგუფთან შეხვედრებს. ჩვენ ყველაფერს ჩავინიშნავთ და გავასწორებთ, მაგრამ ეს საგნებზე ადგილების რაოდენობას, ცხადია, ვერ გაზრდის.

— ითქვა, რომ პროგრამა sms.tsu.ge არ ვარგა და საჭიროა უკეთესი პროგრამის დანერგვა. უკვე მეორე წელია, სტუდენტებს ვეუბნებით, რომ მიმდინარეობს გერმანიის ტექნიკური უნივერსიტეტის კამპუსის მართვის ელექტრონული პროგრამის, „ნოას" ადაპტაცია უნივერსიტეტში. დღემდე ეს პროგრამა არ ამუშავებულა. რა პროცესშია პროგრამის ადაპტაციის საკითხი და გააუმჯობესებს თუ არა ის ყველა ელექტრონული სასწავლო რესურსის გამართულ მუშაობას?

— ახალი გერმანული პროგრამა „ნოა" იგივეა, რაც sms.tsu.ge ამ პროგრამის გამართვაც თითქმის ბოლოშია გასული და მალე ჩაეშვება, მაგრამ მასაც აქვს ნაკლი — ის ნაკლებად მოქნილია სიახლეებისადმი. მასში კურიკულუმს 4 წლით რომ დააპროგრამებ, მერე ვეღარ ჩაერევი. ეს sms.tsu.ge-ზე, ასე თუ ისე, შესაძლებელი იყო. თუმცა კურიკულუმის ცვლილება არც ამ პროგრამას მოსწონს. როცა თავიდან მას 4 წლით ვაპროგრამებთ და მერე, კურიკულუმის ცვალებადობის გამო, ხელით ვერევით (ანუ, ცვლილება შეგვაქვს), მის მოქნილობაზე გავლენას ახდენს.

თუმცა სიახლეები მაინც საჭიროა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყველა რგოლის ერთად მუშაობის შედეგად შევძლებთ ამ პრობლემების გადაჭრასაც. ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში მივმართთ ფაკულტეტებს — წინასწარ განაცხადონ და გაასაჯარონ, რომელ ლექტორთან რა საგანზე რამდენი ადგილი იქნება, რომ სტუდენტმა ეს აკადემიურ რეგისტრაციამდე იცოდეს და გაითვალისწინოს.

გვესაუბრება საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზურაბ ჯიქია

— საინტერესოა, რა სიახლე შესთავაზეთ სტუდენტებს ახალი სასწავლო წლიდან?

— ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით ვხვდებით. გაკეთდა უკაბელო ინტერნეტი იმ კორპუსებში, სადაც აქამდე არ გვქონია. კერძოდ, ამ ეტაპზე WIFI უკვე არის I-II კორპუსსა და VI კორპუსში. სემესტრის ბოლომდე დავფარავთ III-IV კორპუსებსაც.

I კორპუსში დაგვემატა ბიბლიოთეკის რესურსცენტრი, რომელიც 97 კაცზეა გათვლილი.

ცვლილებები პროგრამულ დონეზეც მოხდა. კერძოდ, ამუშავდა საბიბლიოთეკო პროგრამები, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს online გამოიწერონ ან შეუკვეთონ ლიტერატურა. ასევე შემუშავდა წიგნების ცირკულაციის მოწესრიგების პროგრამა. დავიწყეთ საფინანსო და სასწავლო ბაზების გაერთიანება, რომ სტუდენტმა თავად დაინახოს, რამდენი აქვს გადასახდელი, რამდენი — გადახდილი და ა.შ., რათა მათ უნივერსიტეტსა და ბანკს შორის სირბილმა არ მოუწიოთ.

პროფესორთა ბრალდებებს ადმინისტრაციაში კატეგორიულად უარყოფენ

პროფესორები მათი კონკურსიდან გამოთიშვის პოლიტიკურ მოტივზე საუბრობენ

სანდრო კვიტაშვილი, რექტორი:
„ეს ბრალდებები უსაფუძვლოა და აკადემიურ თანამდებობებზე შერჩევა მხოლოდ კონკურსის წესით ხდება. ზოგიერთ ფაკულტეტზე კონკურსის შემდეგ დარჩა ვაკანტური ადგილები და კონკურსანტებს განაცხადის ხელახლა წარდგენის საშუალება მიეცათ და ამ შესაძლებლობას ისინი იყენებენ. თუმცა იყო შემთხვევა, როცა კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია არასრულყოფილად წარადგინეს“.

მიმდინარე წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული აკადემიური კონკურსების შედეგებმა საზოგადოებაში ხმაური გამოიწვია. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების პროფესორები ლელა გაფრინდაშვილი, ხათუნა ჩარკვიანი, ნოდარ ხადური, დათო ნარმანია და სხვები გამოცხადებულ კონკურსებში სხვადასხვა მოტივის გამო ვერ გავიდნენ. პროფესორები მათი კონკურსიდან გამოთიშვის პოლიტიკურ მოტივზე ალაპარაკდნენ. ნოდარ ხადურს, დათო ნარმანიას, ლელა გაფრინდაშვილსა და ხათუნა ჩარკვიანს მხარდაჭერა სტუდენტებმაც გამოუცხადეს.

„თამაშგარეთ” დარჩენილ პროფესორებს თუ რატომ მიაჩნიათ, რომ ისინი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო აღმოჩნდნენ უნივერსიტეტიდან ამ ეტაპზე გარიყულნი, ამის თაობაზე თითოეული განმარტებას აკეთებს.

ნატო ოგოლაძე

„ჩემი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ყოველთვის მხარს ვუჭერდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების პროტესტს და ეს ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. შევუერთდი სტუდენტურ ჯგუფ „თარგმნეს“ და ვიზიარებდი მათ მოთხოვნას, რომ თსუ-ის სტუდენტების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლება — ესწავლათ მშობლიურ ენაზე შედგენილი ლიტერატურით, ყოფილიყო დაცული. არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვარ, ამ მხრივ საკმაოდ აპოლიტიკური ადამიანი ვარ, მაგრამ მაინტერესებს პოლიტიკური პროცესები და დემოკრატიული პროცესის მიმდინარეობა საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთერთი თანაავტორი ვარ თსუ-ში სალექციო კურსისა „მოქალაქეობა და დემოკრატია“, ჩემი ინტერესები აღნიშნული მოვლენების მიმართ ბუნებრივიცაა. თუმცა, უნდა აღვნიშნო ის პროცესები, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება. „ნაციონალური მოძრაობის” მიმართ პოლიტიკურად ლოიალურად განწყობილი ადამიანები აქ მნიშვნელოვან პოზიციებზე არიან, რაც მაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ სწორედ ამ პოლიტიკური ძალის მიმართ ლოიალობაა დღემდე მნიშვნელოვანი კომპონენტი უნივერსიტეტში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოფილმა ასოცირებულმა პროფესორმა ლელა გაფრინდაშვილმა.

ლელა გაფრინდაშვილი

ხათუნა ჩარკვიანი

„ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ საკონკურსო კომისია ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მაგრამ არსებობს ერთი დეტალი: საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი ვარ, მაქვს მჭიდრო ურთიერთობები არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, გარკვეული პერიოდის წინ ჩემი მოღვაწეობა პოლიტიკურ საქმიანობასაც დავუკავშირე. საპარლამენტო არჩევნებში ვიღებდი მონაწილეობას, კერძოდ, პოლიტიკური პარტიების „ჯონდი ბაღათურია — ქართული დასისა“ და „განახლებული საქართველოსთვის“ კოალიციის საარჩევნო სიის პირველ ათეულში ვიყავი. ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ამის შესახებ რაიმე მითითება მიმიღია, მაგრამ მარტში, როდესაც გააქტიურდა ჩემი პოლიტიკური საქმიანობა, პირველი სიგნალი, რომელიც მივიღე, ეს იყო ხელფასის დაკლება. ბანკომატთან გავიგე, რომ ანაზღაურება გამინახევრეს და A კონტრაქტიდან გადამიყვანეს B კონტრაქტზე. ამ გადაწყვეტილების მიღების მოტივად დაასახლეს ის, რომ ჩემი სამუშაო გრაფიკი დატვირთული აღარ იყო“, — აცხადებს ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოფილი ასისტენტ-პროფესორი ხათუნა ჩარკვიანი.

ლელა გაფრინდაშვილმა და ხათუნა ჩარკვიანმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ანდრო ბარნოვს მიმართეს და გადაწყვეტილების მიღების ოფიციალური პასუხი გამოითხოვეს.

ანდრო ბარნოვი:

ჩვენ უნდა მოვიხსნათ ეს სტერეოტიპი, რომ გასაჩივრება უდრის მტრობას

„ოფიციალურად მათ ჩემი კონკურსიდან გამოთიშვა რამდენიმე მიზეზით ახსნეს. პირველი, რომ არ მქონდა საბუთებთან ერთად სილაბუსები წარდგენილი. მინდა ყველასთვის გასაგონად ვთქვა, რომ ამით ისინი არღვევენ მათ მიერვე შემუშავებულ კანონს, რის მიხედვითაც ტექნიკური მიზეზის გამო ადამიანის კონკურსიდან მოხსნა არ შეიძლება. უნდა მოეცათ ორი დღე და ამ დროის განმავლობაში წარვადგენდი აღნიშნულ საბუთებს. მეორე მიზეზი, რომელიც შემდეგ გაამხილეს — ჩემს სამეცნიერო სტატიაში 6 ზედმეტი გვერდი იყო. ეს 6 გვერდი არავის შეუშლიდა ხელს — გაცნობოდნენ ჩემს სტატიას, მით უმეტეს, რომ ეს არის „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მომზადებული საერთაშორისო პუბლიკაცია. მესამე მიზეზი გახლდათ ჩემი სამეცნიერო კონცეფცია, რომელიც, როგორც მითხრეს, ჩემს ბიოგრაფიულ ცნობებს მოიცავდა. სამეცნიერო კონცეფციის ასაგებად კი სხვადასხვა ხერხი არსებობს. მე გამოვიყენე ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელიც მთლიანად დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებასთან. დაინტერესების შემთხვევაში კომისიის წევრები ასეთ დასკვნას ვერ გამოიტანდნენ“, — განაცხადა ლელა გაფრინდაშვილმა.

„ანდრო ბარნოვს 3 სექტემბერს მივმართე განცხადებით და თვეზე მეტი დასჭირდა პასუხის მომზადებას, სადაც აღნიშნულია: „თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია განიხილა კომისიამ, რის შედეგადაც კონკურსანტის შეფასების მესამე კატეგორიაში დაფიქსირდა შეფასება — დაბალი. აღნიშნულიდან გამომდინარე თქვენ არ მოგენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი“. ეს არის ძალიან ზოგადი პასუხი, არაფრის მთქმელი. გასარკვევია, რას ნიშნავს „დაბალი“ და რის მიხედვით შეაფასეს ეს ნამუშევარი. მეტი დასაბუთებაა საჭირო, რათა ადამიანს შემფასებელი კომისიის მიმართ ნდობა გაუჩნდეს,” — ამბობს ხათუნა ჩარკვიანი.

ლელა გაფრინდაშვილი და ხათუნა ჩარკვიანი თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ. იურიდიულ დახმარებას მათ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაუწევს“. რაც შეეხება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის პოზიციას, კომისიის წევრები კატეგორიულად უარყოფენ იმ ბრალდებებს, რაც პოლიტიკური ნიშნით პროფესორთა კონკურსებიდან მოხსნას უკავშირდება.

„ქალბატონი ლელას შესახებ მანამდეც მსმენია და ნამდვილად პატივს ვცემ, როგორც მოაზროვნე და საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანს. მე საკუთარ თავსაც ასე აღვიქვამ და არ მესმის, რატომ ამტკიცებს ქალბატონი ლელა, რომ აქტიურობისთვის მოვიძულე. მით უმეტეს, რომ „თარგმნეს” მოთხოვნებსაც სრულიად ვიზიარებ და ვმუშაობთ იმისათვის, რომ სტუდენტების ეს და სხვა ბევრი სამართლიანი მოთხოვნა უსწრაფესად გადაიჭრას. ქალბატონმა ლელამ კონკურსი ვერ გაიარა არა არაკვალიფიციურობის ან დევნის გამო, არამედ იმიტომ, რომ კომისიის მოთხოვნებს უგულისყუროდ მოექცა და არჩევანი არ დაგვიტოვა. მე მქონდა ამის შემდეგ საუბარი მიმართულების ხელმძღვანელთან და მზად ვიყავით, ქალბატონ ლელასთან, როგორც მოწვეულ ლექტორთან, გაგვეფორმებინა კონტრაქტი. როგორც ბატონმა იაგო კაჭკაჭიშვილმა გადმომცა, ქალბატონი ლელა ამაზე უარს აცხადებს. ეს ძალიან სამწუხაროა. ვფიქრობ, ქალბატონ ლელას უნდა ესმოდეს, რომ ამით ვნებს არა კომისიას, არამედ იმ სტუდენტებს, რომლებსაც ის ასე უყვართ. მაინც იმედი მაქვს, რომ ეს ვნებები გადაივლის და ქალბატონი ლელა დაუბრუნდება უნივერსიტეტს და მის სტუდენტებს.

ანდრო ბარნოვი

ქალბატონი ხათუნას პოლიტიკურ საქმიანობაზე ნამდვილად არც ადრე მსმენია რამე და არც ახლა. რამდენიმე დღის წინ მან წერილით მომმართა და მოითხოვა გარკვეული საკონკურსო დოკუმენტაცია, რაც გადავეცით და ველით, რომ კონკურსის შედეგები სასამართლო განხილვის საკითხი გახდება. რა თქმა უნდა, ამ პროცესს ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე უნდა შეხედოს ყველამ. რამდენიმე კონკურსანტი, რომელსაც ერიდებოდა შედეგების სასამართლოში გასაჩივრება, მე თვითონ წავახალისე, რომ სარჩელი შეეტანათ. ჩვენ უნდა მოვიხსნათ ეს სტერეოტიპი, რომ გასაჩივრება უდრის მტრობას. არც განსხვავებული აზრი უდრის მტრობას და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. სასამართლო იმისთვის არსებობს, რომ თუ გადაწყვეტილებას არ ეთანხმები, მიმართო და მშვიდ რეჟიმში დაელოდო განაჩენს“, — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ანდრო ბარნოვმა.

ნოდარ ხადური

შედარებით განსხვავებულია ვითარება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, სადაც აგვისტოს თვეში ჩატარებული აკადემიური კონკურსის შედეგების მიხედვით პროფესორებს ნოდარ ხადურსა და დათო ნარმანიას აკადემიური სტატუსი შეუჩერდათ.

„გული დამწყდა, როდესაც უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიამ ჩათვალა, რომ არ ვაკმაყოფილებდი თსუ-ში მუშაობის გასაგრძელებლად საჭირო კრიტერიუმებს. თქვენ შეგიძლიათ ძალიან ბევრი ფაქტი ნახოთ, რომ მე ყველა საჭირო დოკუმენტი მქონდა წარდგენილი. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მაშინ ვერ დავაკმაყოფილე, როგორც ჩანს, პოლიტიკური სიტუაცია იყო. თუმცა აკადემიურმა საბჭომ გამიგრძელა ხელშეკრულება და ხელმეორედ დაინიშნა კონკურსი. საკონკურსო კომისიის ახალ დასკვნამდე ჩვეულებრივად ვაგრძელებ უნივერსიტეტში ლექციების კითხვას. იმედია, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ვითარების რადიკალური ცვლილება შეამცირებს იმ წნეხს, რომელიც ხორციელდებოდა წლების განმავლობაში უნივერსიტეტზე და კომისიას საშუალებას მისცემს სწორი, ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს.

რაც შეეხება ჩემი პოლიტიკური საქმიანობის შეთავსებას აკადემიურ სფეროსთან, პირობას ვიძლევი, რომ არც ერთ ლექციას არ გავაცდენ და კვლავ ხარისხიან ლექციებს ჩავატარებ. უნივერსიტეტში მხოლოდ კვირაში ერთი დღე ვკითხულობ ლექციებს, თანაც პარლამენტში სესიები ყოველ მეორე კვირას ტარდება და საშუალება მექნება ჩემი ძალა და ენერგია უნივერსიტეტსა და კათედრას მოვახმარო“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ეკონომისტმა, ამჯერად უკვე კოალიცია „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტში გასულმა დეპუტატმა ნოდარ ხადურმა, რომელიც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დამატებით გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში კვლავ იღებს მონაწილეობას.

„გარკვეული სახის ფაქტორებმა იმოქმედა, რომ საკონკურსო კომისიას ჩემთან მიმართებაში ასეთი სახის დასკვნა გამოეტანა. ყოველთვის ღიად და თამამად ვსაუბრობდი ხელისუფლების მიერ ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებზე. როგორც ჩანს, ეს ფაქტი კომისიაში არ მოეწონათ. უნივერსიტეტში, ასევე, იყო მოარული ხმები, რომ მე ბიძინა ივანიშვილის გუნდში ვიყავი, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მოგვიანებით რექტორთან კონსულტაციების საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილე-

მე-6 გვერდზე

ახალი ხელისუფლების ტაქტიკა უნივერსიტეტთან მიმართებაში ერთგვარი ტესტი იქნება

ინტერვიუ რექტორთან ალექსანდრე კვიტაშვილთან

ნინო კაკულია

— ახალ სასწავლო წელს პირველი დღე უნივერსიტეტში პროტესტით დაიწყო. სტუდენტთა ნაწილის საპროტესტო მოთხოვნებთან დაკავშირებით აღნიშნეთ, რომ მათი ნაწილი სამართლიანი იყო. რა მიგაჩნდათ სამართლიან მოთხოვნად და რა იყო თქვენთვის მიუღებელი?

— ჩემთვის მიუღებელი იყო სტუდენტური პროტესტის გამოხატვის ის ფორმა, რასაც ჩემთვის, უმეტესწილად, კარგად ნაცნობმა სტუდენტებმა მიმართეს. კაბინეტის წინ ხმამაღალი შეძახილები და მათი მიმართვის ფორმები, ვფიქრობ, ყოვლად გაუმართლებელი იყო. ამის აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან ბევრ მათგანს შევხვედრივარ და წესით, ყველას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ჩემი კარი მათთვის ყოველთვის ღიაა. სწავლის დაწყების პირველივე დღეს შეიძლებოდა მოგვეწყო შეხვედრა და დაგვეწყო საუბარი მტკივნეულ თემებზე, თუკი ეს მათ სურდათ.

რაც შეეხება მოთხოვნების სამართლიანობას, შემიძლია გითხრათ, რომ რეგენტთა საბჭოს გაუქმება სრულიად არაადეკვატური მოთხოვნა გახლდათ. ამ საკითხს უნივერსიტეტი ვერ გადაწყვეტს. ეს თემა პარლამენტის განსასჯელია. არ მესმის, რატომ უნდა ჰქონდეს რეგენტთა საბჭოს მიმართ პრეტენზია რომელიმე სტუდენტს, როდესაც ჩვენ თავად არანაირი პრობლემა არ გვქონია ამ საბჭოსთან ურთიერთობის მხრივ. საინტერესოა, რის საფუძველზე საუბრობენ სტუდენტები უნივერსიტეტის წნეხზე, როცა რეგენტთა საბჭოსთან ურთიერთობა შემოიფარგლება უნივერსიტეტის იმ ბიუჯეტის დამტკიცებით, რომელიც ჩვენს მიერვეა შედგენილი და

არის რამდენიმე საკითხი რეგენტთა საბჭოსთან მიმართებაში, რომელთა გამოსწორებაა საჭირო, რაზეც თსუ-მ და სხვა რამდენიმე უნივერსიტეტმა სექტემბერში დაიწყო სამინისტროსთან საუბარი. იმედია, გარკვეული ფუნქციები, რაც რეგენტთა საბჭომ შეიძინა, გადაიხედება, რადგანაც გარკვეულმა ახალმა წესებმა უფრო მეტი ბიუროკრატიული ბარიერები გაუჩინა უმაღლესებს, ვიდრე აქამდე იყო.

რომელსაც ჩვენვე განვკარგავთ. გარდა ამისა, რეგენტთა საბჭოსთან ურთიერთობა გვიწევს სახელმწიფო ქონების გასხვისების, გაქირავების ან ნებისმიერი მსგავსი მოქმედების განხორციელებისას ამ ქონების მფლობელობის დროებითი ან მუდმივი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი საჭიროება ჯერ არც დამდგარა უნივერსიტეტის წინაშე, რადგან არც ერთი კორპუსი არავისთვის გადაგვიცია.

თუმცა, არის რამდენიმე საკითხი რეგენტთა საბჭოსთან მიმართებაში, რომელთა გამოსწორებაა საჭირო, რაზეც თსუ-მ და სხვა რამდენიმე უნივერსიტეტმა სექტემბერში დაიწყო სამინისტროსთან საუბარი. იმედია, გარკვეული ფუნქციები, რაც რეგენტთა საბჭომ შეიძინა, გადაიხედება, რადგანაც გარკვეულმა ახალმა წესებმა უფრო მეტი ბიუროკრატიული ბარიერები გაუჩინა უმაღლესებს, ვიდრე აქამდე იყო.

— სტუდენტების გარდა თავად პროფესორ-მასწავლებლებიც საუბრობენ, რომ რეგენტთა საბჭოს უნივერსიტეტის კონტროლისთვის ერთგვარი ბერკეტი იმ თვალსაზრისითაც გააჩნია, რომ საბჭო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელსაც ამტკიცებს...

— კონტროლი — ეს არ არის სწორი ფორმულირება საბჭოსა და უნივერსიტეტის ურთიერთმიმართებაში. უნივერსიტეტში მუშაობენ აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო და ფაკულტეტის საბჭოები, რომელთა ხელშიც არის ფინანსური ასპექტები. ყველას ვთხოვ, ჯერ წაიკითხონ კანონი — რა ფუნქციებზეა საუბარი და შემდეგ გააკეთონ დასკვნები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა დაიხვეწოს რეგულაციები. ახალი სტატუსი ყველასთვის სიახლეა და მუშაობის პროცესში წესები კიდევ უფრო დაიხვეწება.

— სტუდენტთა მოთხოვნებს შორის დღემდე დგას იმ ლექტორთა უნივერსიტეტში დაბრუნების საკითხი, რომლებმაც თითქოსდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ვერ გაიარეს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამართული კონკურსები. თქვენ რა პასუხი გაქვთ ამ თემაზე?

— ეს თემა ძალიან მაწუხებს. პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან დათხოვნა არც უნივერსიტეტში და არც სამინისტროში, ჩემი მინისტრობის პირობებში, არ მომხდარა. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში არის ძალიან ბევრი სხვადასხვაგვარი აზროვნების თუ მსოფლმხედველობის ადამიანი - მათ შორის მეც და მათი ამგვარად დაყოფის შემთხვევაში, ჩავთვალეთ, რომ უნივერსიტეტი ვერც იფუნქციონირებდა. ჩვენთვის მთავარია, ადამიანი იყოს პროფესიონალი — კარგი მეცნიერი და კარგი ლექტორი. უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, რომელიც ყველასთვის ერთია და ნამდვილად არ არის დისკრიმინაციული არანაირ კომპონენტში.

— ბატონო სანდრო, დავუბრუნდეთ ისევ სტუდენტური აქციების თემას, რითაც უნივერსიტეტმა კვლავ მიიპყრო მთელი საქართველოს ყურადღება. 19 სექტემბრიდან თსუ-ის სტუდენტების ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა სასჯელაღსრულების სისტემაში გამოვლენილ სიმახინჯეებს. როგორ შეაფასებდით ამ აქციების მნიშვნელობას?

— აბსოლუტურად სწორი და ლეგიტიმური იყო იმ პროტესტის გამოხატვა, რასაც, სტუდენტების გარდა, მთელი საზოგადოება შეუერთდა. უნივერსიტეტმა პირველმა გამოუცხადა სოლიდარობა იმ პატიმრებს, რომლებსაც ციხეებში სასტიკად ეპყრობოდნენ. ჩვენ პირველები დავდექით იმ ხალხის გვერდით, რომლებმაც აღშფოთება სამართლიანად გამოთქვეს. ეს იყო საზოგადოების ნორმალური რეაქცია იმ საშინელებაზე, რაც ტელეეკრანიდან გაცხადდა. რეალობის

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, რომელიც ყველასთვის ერთია და ნამდვილად არ არის დისკრიმინაციული არანაირ კომპონენტში.

აღქმამ ბევრ ადამიანში გარდამტეხი ეფექტი იქონია, რაც მკაფიოდ აისახა კიდეც საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე.

რაც შეეხება თავად სტუდენტურ მოძრაობას, ვფიქრობ, რომ მათ შეძლეს იმის დეკლარირება, რომ სტუდენტობა საკმაოდ სერიოზული ძალაა, რაც, თავისთავად, ძალიან კარგია. და მეორე, მათ მოახერხეს თვითორგანიზება პოლიტიკური ძალებისგან დისტანცირების ფონზე. გვიხარია, რომ ჩვენმა სტუდენტებმა ბოლომდე მოახერხეს ინიციატივების ხელში აღება და ამ პროცესების მართვა. ყველაზე პოზიტიური მხარე კი ის გახლდათ, რომ საპროტესტო მსვლელობებმა მშვიდობიანად ჩაიარა ყოველგვარი აგრესიის გამოვლენის გარეშე.

— საპარლამენტო არჩევნების შედეგების თანახმად დღეს ახალ პოლიტიკურ რეალობაში აღმოვჩნდით. თქვენი აზრით, ხელისუფლების ცვლილება იქონიებს თუ არა გავლენას უნივერსიტეტზე?

— ამას დრო გვაჩვენებს. ახალი ხელისუფლების ტაქტიკა უნივერსიტეტთან მიმართებაში იქნება ერთგვარი ტესტი, თუ რამდენად დამოუკიდებელი და ავტონომიურია უნივერსიტეტი. დარწმუნებული ვარ, რომ ის ავტონომია, რომელიც დღეს აქვს უნივერსიტეტს, შენარჩუნდება და კიდევ უფრო გამყარდება. ყოველ შემთხვევაში ეს უკვე იქნა დეკლარირებული ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

ახალი სახე

„ჩემი დებულება: — პროფესორი არის სტუდენტის მსახური"

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული კონკურსების შედეგად თსუ-ის აკადემიურ პერსონალს ბევრი ახალი სახე შეემატა. შერჩეული კანდიდატურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადი კრიტერიუმი, რის გამოც მათ კონკურსის ყველა პირობა დააკმაყოფილეს, წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, დასავლურ განათლებასთან წილნაყარობა და უცხოურ უნივერსიტეტებში მიღებული სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკა გახდა.

აკადემიურმა კონკურსმა უნივერსიტეტში ბევრი ისეთი ადამიანიც „დააბრუნა", რომლებიც აქედან არც არასოდეს „წასულან". მათ ცხოვრების გარკვეული წლები სწორედ ამ სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას შეალიეს და მას შემდეგაც კი, რაც გარკვეული პერიპეტიების გამო სასწავლო პროცესს ჩამოშორდნენ, უნივერსიტეტელებად დარჩნენ.

ერთ-ერთი ასეთი „ახალი სახე" გახლავთ აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე, რომელიც, ფაქტობრივად, ხუთი ათეული წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტ ზე მოღვაწეობდა. 2006 წელს, როცა პირველად ჩატარდა აკადემიური კონკურსი, იგი ასაკის გამო დარჩა უნივერსიტეტს მიღმა, თუმცა მისი სიჭარმაგე ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტებისთვის „ნაკლი" არ აღმოჩნდა და ბოლო 7 წელი მასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. უნივერსიტეტში ახლახან დასრულებულმა აკადემიურმა კონკურსმა „სამართალი ერთგვარად აღადგინა" და აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორია.

მაია ტორაძე

— ბატონო ნოდარ, სანამ მთავარ საკითხზე ვისაუბრებდეთ, შევახსენოთ უნივერსიტეტის საზოგადოებას, როგორ მოხვედით თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე?

— ფიზიკის ფაკულტეტის არჩევა ძალიან უცნაურად მოხდა. სკოლის პერიოდში ბევრს ვკითხულობდი და მინდოდა ორგანული ქიმიის გზას გავყოლოდი. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მამაჩემის ბიძაშვილი, რომელმაც გერმანიაში დაიცვა დისერტაცია და ძალიან ცნობილი ქიმიკოსი გახლდათ, 1937 წელს დახვრიტეს კომუნისტებმა. მე თავად ვნახე მაშინდელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, როგორ იყიდებოდა მისი სახელობის რეაქტივები... ეს გახლდათ ბატონი შალვა ცინცაძე, რომელმაც საქართველოში მეცნიერული ქიმია დააარსა და რამდენიმე კათედრა ჩამოაყალიბა. ამ ადამიანზე ხშირად გვიყვებოდნენ მამიდები... მეც მინდოდა, მისთვის მიმებაძა. როცა სკოლა დავამთავრე, გავიგე, რომ უნივერსიტეტში დახურული ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი შეიქმნა და რამდენიმე ჩემს კლასელთან ერთად აქ ჩავაბარე.

სხვათა შორის, ამ ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა, რომ ოქროს მედალი მქონდა და მაშინდელი წესით უგამოცდოდ უნდა ჩავრიცხულიყავი, გამოცდაც ჩამაბარებინეს და საექიმო შემოწმებაც გავიარე იმის დასადასტურებლად, რომ ჯანმრთელი ვიყავი — მაშინ ასეთი წესები იყო. IV კურსამდე ექსპერიმენტატორი მინდოდა გავმხდარიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ არ მქონდა იუველირის ხელი და ვერ შევძლებდი რთული რადიოსქემების აწყობას. ამიტომ საბოლოოდ თეორიული ფიზიკა ავირჩიე.

— როგორ დაინტერესდით მეცნიერებით?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე და იმავე წელს ხარკოვში უნივერსიტეტის ასპირანტურაში განვაგრძე სწავლა. კარგი სტუდენტი ვიყავი და შემეძლო ყველგან მესწავლა, სადაც მოვინდომებდი, მაგრამ ხარკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას გარკვეული წინაპირობა ჰქონდა. იმ პერიოდში იქ მოღვაწეობდა აკადემიკოსი ალექსანდრე ახიეზელი. IV კურსზე ვიყავი, როცა საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს მასშტაბით პირველად გამოვიდა ძალიან სერიოზული წიგნი ფიზიკის ახალ მიმართულებაში: „კვანტური ელექტროდინამიკა", რომლის პირველი ავტორიც ბატონი ალექსანდრე იყო (მეორე ავტორი მოსკოვიდან გახლდათ). მას შემდეგ, რაც გავიგე, სად მოღვაწეობდა იგი, მივწერე წერილი და ვთხოვე — მასთან გამეკეთებინა დიპლომი. დამთანხმდა. ვიმუშავეთ ერთად და როცა წამოსვლას ვაპირებდი, მითხრა, რომ თუ იგი ჩემთვის სასურველი ხელმძღვანელი იქნებოდა, სიამოვნებით მიხელმძღვანელებდა ასპირანტურაშიც. ამიტომ გადავწყვიტე, რომ სწავლა ხარკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში გამეგრძელებინა.

დისერტაცია ასპირანტურის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე, წელიწადნახევარში დავამთავრე და ასპირანტურის დასრულებამდე დავიცავი. ეს გახლდათ 1958 წელი.

— ისეთი ცნობილი მეცნიერის ასპირანტობა, როგორიც ალექსანდრე ახიეზელი იყო, გარკვეულწილად გვაფიქრებინებს, რომ არანაკლებ ცნობილი და კარგი პედაგოგები გყავდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დააგროვებდით ცოდნის იმ მარაგს, რომელმაც თქვენი დისერტაციის ხელმძღვანელი მოხიბლა. ვინ გაგიკვალათ გზა აქ, საქართველოში?

— გეთანხმებით. თბილისში არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდნენ: ჩემი დეკანი გახლდათ ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი ვაგან მამასახლისოვი; მასწავლიდა ყველასთვის ცნობილი მეცნიერი მათე მირიანაშვილი, მათემატიკოსებში ფილიპე ხარშილაძე... კიდევ ბევრი სხვა.

საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო და დღესაც რჩება უძლიერეს უნივერსიტეტად საქართველოში. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ჩემი განვლილი გზა და გამოცდილება. აქ ყოველთვის მქონდა საშუალება მეცნიერებით და სწავლებით ერთნაირად დავინტერესებულიყავი.

სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში დავიწყე და ამაში ხელი შემიწყო ამ ინსტიტუტის დამაარსებელმა, ყველა დროის უდიდესმა მეცნიერ-ფიზიკოსმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა.



ამ ინსტიტუტში დავაარსე პლაზმის ფიზიკის მიმართულება, რომლის ბებიაც, პაპაც, დედაც და მამაც მე გახლავართ, რადგანაც საქართველოში ამ დარგში ჩემამდე არავინ მოღვაწეობდა. ეს იყო 1960 წელი. დისერტაცია ახალი დაცული მქონდა. ბატონმა ელეფთერმა პლაზმური ფიზიკის განყოფილების შექმნა დამავალა. მე ძალიან ვიუარე, ფაქტობრივად, ვიჩხუბე და კარებიც გამოვიჯახუნე, რადგან მიმაჩნდა, რომ ჯერ ადრე იყო ჩემთვის ამხელა პასუხისმგებლობის აღება... თუმცა უარი არ გამივიდა და საბოლოოდ განყოფილება შეიქმნა.

1962 წელს მოვედი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში. აქ უკვე ვაგან მამასახლისოვმა მომიწვია ნახევარ შტატზე და 90-იან წლებამდე ასე ვიმუშავე. გავზარდე ძალიან ბევრი არა მხოლოდ ქართველი, არამედ

მე-13 გვერდზე



გია დვალის მიმართვა ნიუ-იორკიდან

ძვირფასო მეგობრებო,

სამწუხაროდ, დღეს საქართველო ანტიდემოკრატიული ქვეყანაა, ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. უკიდურესად შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და ასე შემდეგ.

თითოეული სიმახინჯე და პრობლემა სწორედ ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობს. მმართველი რეჟიმის ერთერთი დამახასიათებელი თვისება ამ პრობლემების საპირისპიროდ წარმოჩენა და ილუზიის შექმნაა, რომ ხელისუფლებას დემოკრატია სურს.

ამის კარგი მაგალითია საუბრები თანამედროვე დასავლური ტიპის საუნივერსიტეტო სისტემის შექმნაზე, რაც პრინციპულად შეუძლებელია არადემოკრატიულ პირობებში. თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნებისმიერი არადემოკრატიული მმართველობა სისტემატიზირებულ ტყუილზე და ძალადობაზეა დაფუძნებული, რაც თავისუფალ აზროვნებასთან პრინციპულად შეუთავსებელია.

ამ მოკლე წერილის მიზანია არსებული მდგომარეობის მიმართ პროტესტის გამოთქმა. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ დემოკრატიას ქვეყანაში.

„ჩვენ“-ში იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ წერილის შინაარსს იზიარებს. ნებისმიერი სამთავრობო გუნდი ან პოლიტიკური ძალა, რომელიც დემოკრატიის გზას არ აირჩევს, აუცილებლად მიიყვანს ქვეყანას კატასტროფამდე.

გია დვალი,
ნიუ იორკი
29. 09. 2012

მსოფლიოში ცნობილ ქართველ ფიზიკოს გია დვალს, რომლის აღმოჩენებიც უკანასკნელ წლებში არაერთხელ მოექცა სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არასოდეს გაუწყვეტია კავშირი. ბოლო 7 წელია, იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდის და საჯარო ლექციებს მართავს უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთათვის. უნივერსიტეტთან მისი მჭიდრო ურთიერთობები უნივერსიტეტის გაზეთს ერთგვარად ავალდებულებს კიდეც, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით 1 ოქტომბრის არჩევნებამდე გავრცელებული მისი მიმართვა ნიუ-იორკიდან, გაზეთის ფურცლებზე გადმოგვეტანა.

პროფესორთა ბრალდებებს ადმინისტრაციაში კატეგორიულად უარყოფენ

პროფესორები მათი კონკურსიდან გამოთიშვის პოლიტიკურ მოტივზე საუბრობენ

მეოთხე გვერდიდან

დავით ნარმანია

ბა, რომ კონკურსი ხელახლა ჩატარებულიყო. ვიმედოვნებ, რომ საკონკურსო კომისია სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ოფიციალურ ორგანოს მივმართავ უნივერსიტეტში ჩემი სტატუსის დასაბრუნებლად.

ჩემს მიმართებაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ამბობს, რომ კონკურენტი მყავდა და ამიტომაც ვერ გავედი კონკურსზე, თუმცა რას იტყვის ნოდარ ხადურის შემთხვევაზე, როდესაც ძალიან კვალიფიციურ ადამიანთან ჰქონდა საქმე და ვაკანსია ცარიელი დატოვა?“, — აცხადებს ეკონომისტი დავით ნარმანია.

პოლიტიკური მოტივით კანდიდატთა შერჩევის ფაქტს ასევე კატეგორიულად უარყოფენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციაშიც.

„საერთოდ ჩემთვის ეს ბრალდება გაუგებარია, რადგან არც ნოდარ ხადური და არც დავით ნარმანია უნივერსიტეტიდან არ გაუთავისუფლებიათ. ორივე მათგანი დღემდე აგრძელებს მოღვაწეობას. ბატონი დავითის შემთხვევაში მხოლოდ ერთი საკონკურსო ადგილი იყო გამოყოფილი და იქ მისი კონკურენტი გავიდა. მეტსაც გეტყვით, დავით ნარმანიას კანდიდატურა კომისიამ ძალიან მოიწონა და ამიტომ რექტორს კიდევ ერთი ვაკანსიის დასამატებლად მიმართა. რაც შეეხება ბატონ ნოდარ ხადურთან მიმართებაში წამოჭრილ საკითხს, ვაცხადებ, რომ არავის გაუმარჯვია, ვაკანსია დარჩა და იმისათვის, რომ პროფესიონალი კადრი არ დაგვეკარგა, კონკურსი ხელახლა გამოცხადდა. ორივე პროფესორს ამ დროისთვის იგივე უფლებამოსილება აქვს, რაც აქამდე. ძალიან მიხარია, რომ საქმის ვითარებამ ასეთი მსვლელობა მიიღო და პროფესიონალი პრეტენდენტების გამო ჩვენს სტრუქტურაში საშტატო ერთეული გაიზარდა,“ — განმარტა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ამავე ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ აკაკი ხელაძემ.

აკაკი ხელაძე

აკადემიური კონკურსების შედეგებთან დაკავშირებით თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ახსნა-განმარტების მიუხედავად, საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკური გავლენის არსებობის შესახებ მაინც საუბრობს.

„სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩემი საკონკურსო კომისიის წევრობიდან მოხსნა, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, გაუგებარი და აღმაშფოთებელია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ კომისიის წევრთა დაკომპლექტებაში ვიღაც ძალიან სერიოზულად ერეოდა და მას არ აწყობდა ჩემი კომისიის შემადგენლობაში ყოფნა. თუმცა ეს „ვიღაც“ არის შიდასაუნივერსიტეტო თუ უნივერსიტეტის გარედან დაინტერესებული პირი, ინფორმაცია არ მაქვს. როდესაც მიზეზი დეკანს, ბატონ ბარნოვს ვკითხე, მან მიპასუხა, რომ როდესაც თავმჯდომარედ დანიშნეს, კომისია უკვე დაკომპლექტებული დახვდა, ნოდარ ბელქანიამ კი ძალიან ზოგადი პასუხი გამცა — ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებულიო. ასევე ვფიქრობ, რომ ლელა გაფრინდაშვილთან მიმართებაში სილაბუსების ფაქტორი ფორმალური მიზეზი იყო. არც მისულა საქმე მისი კანდიდატურის შინაარსობრივ განხილვამდე. საინტერესოა ისიც, რომ კომისიაში სოციოლოგიის მიმართულების წარმომადგენელს ნინო დურგლიშვილს, რომელსაც მიმართულების ინტერესები უნდა დაეცვა, არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ“, — გვითხრა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

იაგო კაჭკაჭიშვილი

ბატონი იაგოს გულისწყრომის გათვალისწინებით ჩვენ ვცადეთ დაკავშირება თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრთან ზურაბ დავითაშვილთან, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ პერსონალურად არავის განუხილავს საკონკურსო კომისიის წევრად ბატონი იაგო კაჭკაჭიშვილის კანდიდატურა. როგორც მან აგვიხსნა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კონკურსის ვადის გადაწევის შემდეგ აკადემიურმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა საკონკურსო კომისიის წევრთა ის შემადგენლობა, რომელიც სხდომაზე წარმოადგინეს და სიაში ბატონი იაგო თურმე არ ფიგურირებდა. ბატონი ზურაბ დავითაშვილი ამბობს, რომ მისთვის უცნობი იყო ის ინფორმაცია, რომ ადრინდელი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში იაგო კაჭკაჭიშვილიც შედიოდა. თუ ვინ ჩაანაცვლა მისი კანდიდატურა სხვა წევრით, ამის გარკვევა ვერ შევძელით, რამდენადაც მსგავსი ინფორმაცია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებში არ იძებნება.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ პროფესორმა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“, პირველ რიგში, იმ მოტივით მომართა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირთაგან მათ არადამაჯერებელი პასუხები მიიღეს, ჩვენ მაინც პროფესიული ვალდებულების შესრულების თანახმად დავხმარებოდით მათ უფრო მკაფიოდ ადმინისტრაციის პოზიციების წარმოჩენისა და გახმოვანების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ლელა გაფრინდაშვილისა და ხათუნა ჩარკვიანის სარჩელები თბილისის საქალაქო სასამართლოში უახლოესი დღეების განმავლობაში შევა. სასამართლოში განხილვის პროცედურების გათვალისწინებით მოსარჩელე მხარეები ვარაუდობენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილება – მიმდინარეობს თუ არა თსუ-ში პოლიტიკური ნიშნით პროფესორების დისკრიმინაცია, დაახლოებით 6 თვის შემდეგ გახდება ცნობილი.

სტუდენტური მოძრაობა 2012

მოვლენების ქრონოლოგია

წლების დუმილი დაარღვიეს სტუდენტებმა და ერთად იხუვლა ათასობით ახალგაზრდამ, რომელთა პროტესტსაც ყველაზე მეტად უფრთხოდა ხელისუფლება და რასაც წლებია ნატრობდა ხელისუფლებაში მოსვლისთვის მებრძოლი ოპოზიციური ძალა. მოთმინების ფიალა აივსო ან სადღაც ის ძაფი გაწყდა, რაც ადამიანს მხოლოდ პრაგმატულად აზროვნებასა და ქცევას განუსაზღვრავდა... ზოგიერთ ნიჰილისტსაც საგანგაშოდ მოესმა სიმართლისა და სამართლიანობის დაცვისთვის „ყივილი" და აქამდე ფუნქციადაკარგულთ უმალ მოირგეს ჯარისკაცის როლი — ყველანი ერთად დაირაზმნენ კვლავაც ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ საბრძოლველად. მათ მოსაგები ჰქონდათ ომი, რომელშიც ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა იყო პრიორიტეტი და რომელშიც თავისუფლების გამარჯვება იყო მოსაპოვებელი. ისტორია თავის სიტყვას იტყვის 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ მნიშვნელოვან წინმსწრებ მოვლენად უდავოდ დასახელდება ის სტუდენტური მოძრაობა, რომელმაც ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად დემონსტრირება შეძლო. „ჩვენი უზენაესი ღირებულებაა — ადამიანი!", „ყველანი პატიმრები ვართ!", „ადამიანურობის დეფიციტი!", „არ აწამო! არ გაჩუმდე! არ დაფარო! არ შეეგუო! გამოიძიე!" „ციხეში მოხვდე=ციხეში მოკვდე!" „სტუდენტები ძალადობის წინააღმდეგ!" „ფასადური დემოკრატია დაინგრა!" — ამ და სხვა მსგავსი ლოზუნგების ქვეშ გაერთიანებული ათასობით სტუდენტის ხმა არსებულ პოლიტიკურ სისტემას რღვევას უქადდა, რაც გაცხადდა კიდეც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით. „მე დღეს პირველად მივეცი ხმა!" — ამბობდნენ და სოციალური ქსელის მეშვეობით საჯაროდ აქვეყნებდნენ ამ ფრაზას სტუდენტები, რომელთა უმრავლესობაში სამოქალაქო ვალდებულების გრძნობამ პირველად გაიღვიძა. „საქართველოში პირველად ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა, დემოკრატია შედგა!" — აღიარებენ ექსპერტები. ამაში პოზიცია-ოპოზიციის წვლილის „გაზომვა" დროის საქმეა, ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ თავისი სიტყვა თქვა ახალმა თაობამ და მოძრაობამ კვლავაც უნივერსიტეტის წინ.

ნინო კაკულია

18 სექტემბერს ტელეკომპანია „მე-9 არხის" ეთერით პატიმრების წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა პატიმრებისადმი სოლიდარობის ნიშნად საპროტესტო აქციები დაიწყეს. საპროტესტო გამოსვლებს, ძირითადად, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები უწევდნენ ორგანიზებას, რომელთა შორის ლიდერობდნენ ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918"-ისა და „ნარინჯისფერთა კლუბის" წარმომადგენლები. სტუდენტური აქციები ლოზუნგით — „არ აწამო" ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და მასში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ახალგაზრდების გამოსვლებს პროფესორ-მასწავლებლების ნაწილიც შეუერთდა. თბილისში მიმდინარე გამოსვლების პარალელურად სტუდენტები პატიმრებს სოლიდარობას ბათუმსა და ქუთაისშიც უცხადებდნენ. ახალგაზრდები ძალადობის აღმოფხვრას და სასჯელაღსრულების სისტემაში პასუხისმგებელი პირების დასჯას მოითხოვდნენ. აქციის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მათი გამოსვლები იყო თავისუფალი სტუდენტების პროტესტი, რომელიც არც ერთი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ ან მხარდასაჭერად არ იყო მიმართული.

19 სექტემბერი

სტუდენტური პროტესტი თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში დაიწყო. ახალგაზრდები პატიმრების მხარდასაჭერ სლოგანს — „არ აწამოს" სკანდირებდნენ და დამნაშავე პირების გასამართლებას მოითხოვდნენ.

„ძირითადი მოთხოვნა არის დამნაშავე პირების დასჯა. ყველა პასუხისმგებელი პირი, მინისტრი იქნება ეს თუ ჩვეულებრივი ბადრაგი, დასჯილი უნდა იყოს კანონის სრული სიმკაცრით! ასევე, სახალხო დამცველის ანგარიშებში მოხსენებული ყველა ფაქტი, რომელიც ეხება პატიმრებზე ძალადობას, უნდა იყოს გამოძიებული და თითოეული დამნაშავე კი დასჯილი", — აღნიშნა ჩვენთან საუბარში აქციების ერთ-ერთმა მონაწილემ, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა თორნიკე ჭეიშვილმა.

სოლიდარობის აქციაზე სიტყვით გამომსვლელი სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათი მოთხოვნები პოლიტიკური ხასიათისა იყო, თუმცა ეს არ ნიშნავდა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარეს დგომას. ისინი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს მათ მიერ დაანონსებულ აქციებზე მისვლისა და აქტიურობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდნენ. მოგვიანებით, თსუ-ის პირველ კორპუსთან შეკრებილ სტუდენტებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, სოხუმის უნივერსიტეტისა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდნენ. აქციაზე კოალიცია „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებიც მივიდნენ, თუმცა შეკრებილმა სტუდენტებმა მათ დროშების გაშლის საშუალება არ მისცეს. პატიმრებისადმი სტუდენტების სოლიდარობის აქციას თსუ-ის პროფესორების მცირე ნაწილიც შეუერთდა.

„აქ თქვენ მხარდასაჭერად მოვედი. ადამიანების სიცოცხლე, ღირსება და პატივი უნდა დავიცვათ. მე ვასწავლი, რომ თუ ადამიანს უჭირს, უნდა დაეხმარო; ვინც დაუცველია, მათ სამართალდამცავებს უნდა მიმართონ, მაგრამ საქართველოში სამართალდამცავები აღარ არიან. სანამ ამ უნივერსიტეტის პროფესორი მქვია, ჩემი ადგილი თქვენთანაა!" — ამ სიტყვებით მიმართა სტუდენტებს პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა.

სტუდენტების სოლიდარობის აქციას თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ აქციაზე შეკრებილ პროტესტანტ სტუდენტთა წრე მოულოდნელად გაარღვია თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ, რომლის გამოჩენასაც სტუდენტები შეძახილით შეხვდნენ: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!". დაჩი გუბაძემ უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ ახალგაზრდებს ასე მიმართა: **„განსაკუთრებით ვგმობთ იმ ძალადობას, რაც ტელეეთერით ვიხილეთ. განურჩევლად დანაშაულისა, რაც ადამიანს საზოგადოების წინაშე აქვს ჩადენილი, დაუშვებელია ვინმეს წამება. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვინც დამნაშავეა პატიმრების წამებაში, ყველა უნდა დაისაჯოს!"**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოდან აქციის მონაწილეებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ გადაინაცვლეს. მათ შენობის შესასვლელი გადაკეტეს და მაუწყებლის ადმინისტრაციას პატიმრების წამების შესახებ საზოგადოებისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდებასა და სტუდენტური აქციის გაშუქებას სთხოვდნენ.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩვენი გადასახადებით ფინანსდება, შესაბამისად, კეთილი უნდა ინებონ და გააშუქონ არა მხოლოდ ჩვენი აქცია, არამედ რეპორტაჟები მიუძღვნან იმ ბარბაროსულ აქტს, რომელსაც ჩვენ აქ ვაპროტესტებთ", — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

„ჩვენი მთავარი მოთხოვნა არის, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქოს და აჩვენოს მთელ საქართველოს წამების ამსახველი ის ვიდეოკადრები, რომელიც გუშინ გავრცელდა. მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს, თუ რა ძალადობრივი მეთოდებით ხდება დღეს ამ რეჟიმის შენარჩუნება!" — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა არჩილ კერესელიძემ.

აქციაზე ისმოდა შეძახილები — „გააშუქე!" და „გამოდი!", რითაც სტუდენტები საზოგადოებრივი მაუწყებლის აღმასრულებელ დირექტორს გია ჭანტურიას გარეთ მათთან შესახვედრად უხმობდნენ. მოგვიანებით საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში გია ჭანტურიასთან მოსალაპარაკებლად და მისთვის სტუდენტების მოთხოვნების გასაცნობად 3 სტუდენტი შევიდა. შეხვედრის შედეგები აქციაზე

მე-8 გვერდზე

სტუდენტური აქცია საზოგადოებრივ მაუწყებელთან

სტუდენტური მოძრაობა 2012

მეშვიდე გვერდიდან

ახალგაზრდებმა ხმამაღლა გაახმოვანეს: **„გია ჭანტურია სტუდენტების მიმართ იყო ძალიან ცინიკური. მან საუბრისას აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მიმდინარე მოვლენებს ყოველთვის მიუკერძოებლად და ობიექტურად აშუქებს“.**

სტუდენტების აქციას შეუერთდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხის გადაცემების („აქცენტები“ და „ვახო სანაიას რეპორტაჟი“) წამყვანები ეკა კვესიტაძე და ვახო სანაია, რომელთა ძალისხმევითაც მოხერხდა პირველი არხის ეთერით პატიმართა წამების ამსახველი რამდენიმე ეპიზოდისა და მასშტაბური საპროტესტო აქციების გაშუქება.

საღამოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიიდან რამდენიმე ათასმა სტუდენტმა მოდულის შენობასთან გადაინაცვლა.

20 სექტემბერი

პატიმრებისადმი სტუდენტების სოლიდარობის აქცია 20 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში განახლდა. აქციაზე იმყოფებოდნენ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებიც. 20 სექტემბერს სტუდენტების მთავარ მოთხოვნას — „შეწყდეს პატიმრების წამება“ კიდევ ერთი — შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩო ახალაიას გადადგომის მოთხოვნა დაემატა. აქციას „ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ახალგაზრდებიც შეუერთდნენ.

„თსუ-ის სტუდენტები არ მიეკუთვნებიან არც ერთ პარტიას. ჩვენ თავისუფალი სტუდენტები ვართ. მივესალმებით ოპოზიციური თუ მმართველი პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს, თუმცა აქ სიტყვით გამოვლენ მხოლოდ თავისუფალი სტუდენტები“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ოთარ კობახიძემ.

აქციაზე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი ნუკრი ქანთარიაც მივიდა. სტუდენტების ნაწილმა მას სიტყვით გამოსვლის თხოვნით მიმართა, თუმცა ამ ფაქტმა სტუდენტთა გარკვეული ჯგუფის უკმაყოფილება გამოიწვია.

„მოგმართავთ, როგორც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი და არა როგორც რომელიმე პარტიის წევრი. ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის თქვენი, სტუდენტების გამოძახილი. ბოლომდე მიიყვანეთ დაწყებული საქმე!“ — ამ სიტყვებით მიმართა სტუდენტებს სიტყვით გამოსვლისას ნუკრი ქანთარია.

„მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ნუკრის ჩვენ დიდ პატივს ვცემთ, არ გვინდა, რომ მან აქციაზე ასეთი სახით იაქტიუროს. იგი ასოცირდება კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“. ჩვენი აქციები თავისუფალი სტუდენტების მიერ იმართება და ეს არ უნდა გამოიყენოს რომელიმე პარტიამ“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

თსუ-ის პირველ კორპუსთან აქციის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა იუსტიციის სახლისკენ და მთავარი პროკურატურისკენ საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს, თუმცა სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებსა და სხვადასხვა სტუდენტურ ორგანიზაციებს შორის უკვე იგრძნობოდა აზრთა სხვადასხვაობა აქციების გაგრძელებასა და საპროტესტო მსვლელობის მარშრუტის შედგენის საკითხებთან დაკავშირებით.

ამავე საღამოს სტუდენტების ერთი ნაწილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან შესახვედრად სამების ტაძარში მივიდა. სამების ტაძარში იმყოფებოდა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დაჩი გუბაძეც.

„მე მამაშვილური სიყვარულით მოგმართავთ, არავითარ შემთხვევაში არეულობა არ უნდა შეიტანოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისედაც არ გვაკლია არეულობა. პირიქით, სტუდენტებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ სუფევდეს ჩვენთან მშვიდობა“, — ბრძანა პატრიარქმა ილია II-მ სტუდენტებთან შეხვედრისას.

21 სექტემბერი

21 სექტემბერს სტუდენტების აქციას თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა აღარ შეუერთდა. თვითმმართველობაში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზად დაასახელეს პატრიარქის მოწოდება აქციების შეწყვეტასთან დაკავშირებით. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, ასევე, თვლიდნენ, რომ საპროტესტო გამოსვლები აღარ იყო საჭირო, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

„ჩვენთვის პატრიარქის აზრი უმნიშვნელოვანესი იყო. უწმინდესმა საპარლამენტო არჩევნებამდე საპროტესტო აქციებისგან თავის შეკავებისკენ მოგვიწოდა, რადგან მისი თქმით, კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის საშიშროება არსებობს“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მოწოდება გაითვალისწინეს სტუდენტურ აქციაში მონაწილე სხვა სტუდენტურმა ორგანიზაციებმაც, რომლებიც 21 სექტემბერს თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში საინფორმაციო აქციის გამართვით შემოიფარგლნენ.

„დღეს მარიამობაა. პატრიარქმა სიმშვიდისკენ მოგვიწოდა და გვითხრა, რომ ჩვენი სოლიდარობა პატიმრების მიმართ ლოცვით გავაძლიეროთ. ჩვენ გვინდა მშვიდობა და გვინდა მშვიდობით მივიდეთ არჩევნებამდე, ამიტომ ჩამოვაყალიბებთ საორგანიზაციო საბჭოს და 24 სექტემბრიდან სოლიდარობის აქციებს კვლავ მშვიდ ატმოსფეროში განვაგრძობთ“, — განაცხადა აქციაზე მისულმა თსუ-ის სტუდენტმა რევაზ ძარჩხაძემ.

თსუ-ის პირველ კორპუსთან გამართულ საინფორმაციო აქციაზე ცნობილი ტელეწამყვანი გოჩა ტყეშელაშვილიც მივიდა, რომელმაც შეკრებილ ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა და მხარდაჭერა გამოუცხადა.

„ყველაზე გულწრფელი ადამიანები საზოგადოებაში სტუდენტები არიან. მათ აქტივობებს ორი დღე ვაკვირდებოდი და მთელი გულით და სულით ვედექი მხარში. ისინი ამბობენ, რომ აქციები არ შეწყდება და რომ მას უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცემა. მინდა, მადლობა გადავუხადო სტუდენტებს. მათ რეალურად განახორციელეს ის, რაც უამრავმა ორგანიზაციამ, საზოგადოებამ თუ პოლიტიკურმა მოძრაობამ ვერ შეძლო — რეალურად მათ გადააყენეს ორი მინისტრი“, — აღნიშნა ბოჩა ტყეშელაშვილმა.

21 სექტემბრის სტუდენტურ აქციაზე მცირე ინციდენტიც მოხდა. ერთერთი სტუდენტი მეგაფონთან მიიჭრა და პატრიარქის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები წარმოსთქვა, რამაც შეკრებილ სტუდენტებს შორის გაღიზიანება გამოიწვია.

„ასეთი პროვოკაციები კიდევ გაგრძელდება. სწორედ ამიტომ ვწყვეტთ აქციებს და ჩამოვაყალიბებთ საორგანიზაციო ჯგუფს. უნდა გამოვხატოთ პროტესტი ისე, რომ არ დაირღვეს არც ერთი ადამიანის უფლება,“— განაცხადა სასულიერო სემინარიის სტუდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ამავე დღეს ახალგაზრდებმა საკოორდინაციო საბჭო ჩამოაყალიბეს, რომლის შემადგენლობაშიც 10 სტუდენტური გაერთიანებიდან ორ-ორი წარმომადგენელი შევიდა. ეს სტუდენტური ორგანიზაციებია: — „ლაბორატორია 1918“, „ნარინჯისფერთა კლუბი“, „სტუდენტური ხმა“, „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია“, ახალგაზრდული ორგანიზაცია „შავფაროსნები“, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავითიანი“, ახალგაზრდული ორგანიზაცია „ივერიონი“, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანება „ჯანმრთელი მომავლისათვის“ და „ახალგაზრდობა სამართლიანობისთვის“, რომელთაც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც შეუერთდნენ.

სტუდენტთა საორგანიზაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტებმა პატიმრებისადმი სოლიდარობის აქცია 24 სექტემბრამდე გადადეს.

24 სექტემბერი

24 სექტემბერს 15.00 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან სტუდენტების აქცია გაგრძელდა. განახლდა მათი მოთხოვნებიც. ამჯერად ახალგაზრდები პატიმრების წამების შეწყვეტასთან და დამნაშავე პირების დასჯასთან ერთად თავდაცვის მინისტრის მოადგილის დათა ახალაიას პოსტიდან გადადგომას ითხოვდნენ. აქციაზე ისმოდა ლოზუნგები — „სისტემა უნდა დაინგრეს!“, „დაამთავრე ტირანია!“ და „მშვიდობა!“

„შემოგვიერთდნენ თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. ჩვენი მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ საქართველოში მოძალადე სისტემა უნდა დაინგრეს და დაისაჯოს ყველა, ვინც შექმნა ეს სისტემა. ახლა ვიცით, რომ თავდაცვის მინისტრის მოადგილე არის დათა ახალაია, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ ძალადობრივი სისტემის შექმნაში. სხვათა შორის იგი რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და, ახლა, როგორც ვხედავთ, ახალი პოსტი უკავია ხელისუფლებაში. ჩვენ გვინდა, ცალსახად დავაფიქსიროთ, რომ არ დავუშვებთ იგივეს გამეორებას დათა ახალაიას მიმართ. ამასთანავე, 23 სექტემბერს სვანეთში ხელისუფლებამ ჯარისკაცები თავისი მიზნების მისაღწევად გამოიყენა. მოვითხოვთ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს და მივმართავთ ჯარისკაცებს, არ შეასრულონ უკანონო მოთხოვნები. ჯარისკაცები საზოგადოების წევრები არიან და ხალხის გვერდით უნდა იდგნენ“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა, „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა ლევან აბაშიძემ.

„ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებიც ჩვენს პარალელურად მართავენ საპროტესტო აქციებს. ვითხოვთ, რომ კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ ადამიანები, რომლებმაც ეს ძალადობრივი სისტემა შექმნეს. ჩვენ, ასევე, ვითხოვთ, „მასთქერი“ არჩევნების შემდეგაც დარჩეს ძალაში. რამდენიმე დღის წინ გავრცელებულმა პატიმრების წამების ამსახველმა კადრებმა დაგვარწმუნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ალტერნატიული ინფორმაციის მიღების წყარო. ამ ყველაფრის გარეშე საქართველოში დემოკრატია ვერ დამყარდება. აქ არ ვიმყოფებით რომელიმე პარტიის მხარდასაჭერად. ჩვენი მიზანია, დავგმოთ ძალადობა. გვინდა, ჩვენი ქმედებებით ვაჩვენოთ ნებისმიერ ხელისუფლებას, რომ არ დავუშვებთ განმეორდეს ის, რაც ბოლო 8 წლის განმავლობაში ხდებოდა“, — გვითხრა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა, „ნარინჯისფერთა კლუბის“ ერთ-ერთმა წევრმა ოთარ კობახიძემ.

„ჩვენ გვიკავშირდებიან ევროპის ქვეყნებიდან — გერმანიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან. ყველა აღფრთოვანებულია სტუდენტების გადაწყვეტილებითა და გამოსვლებით“, — აღნიშნა აქციაზე გამოსვლისას თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა, „ნარინჯისფერთა კლუბის“ ერთ-ერთმა წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ.

სტუდენტებმა აქციის გამართვის შემდეგ მსვლელობა თავდაცვის სამინისტროსა და იუსტიციის სახლის მიმართულებით მოაწყვეს. საღამოს თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში კი საპროტესტო აქციაკონცერტი გაიმართა, სადაც სტუდენტების დაწერილი სიმღერა „სისტემა უნდა დაინგრეს“ შესრულდა.

25-26 სექტემბერი

25 სექტემბერს სტუდენტებმა საპროტესტო აქციაზე ახალი სლოგანი — „არა სიყალბეს“ გაახმოვანეს.

„დღეს სტუდენტები გამოვდივართ, რათა მშვიდობიანად მივაღწიოთ არჩევნებამდე და დემოკრატიულ ვითარებაში ჩავატაროთ იგი. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ხმები, ჩვენი მომავალი, რათა არავის მივცეთ იმის უფლება, რომ გაგვიყალბონ არჩევნები. იმედი გვაქვს, რომ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ და სისტემა აუცილებლად დაინგრევა. „არა სიყალბეს“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა, „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა ლევან აბაშიძემ.

„ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ძალადობას ბოლო მოეღოს ქვეყანაში. მივიჩნევთ, რომ ცალკეული პირების დასჯა საკმარისი არ არის. აუცილებელია სისტემის ფუნდამენტური რეორგანიზაცია. ამ სისტემის მთავარი თვისება ძალადობაა, ამიტომ მოვუწოდებთ ყველა ორგანიზაციას, ხელი შევუშალოთ არჩევნების გაყალბებას — ეს არის სისტემის დამთავრების ერთადერთი გზა. ჩვენი პროტესტის მთავარი მიზეზი არ არის მხოლოდ პატიმრების წამება. ჩვენ გამოვდივართ იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც გადართულია ძალადობაზე. მსოფლიოში დანაშაულს ებრძვიან, მაგრამ არა ადამიანების წამებით და დაშინებით. როგორი ვითარებაა საქართველოში, ყველამ ვიცით — თითქოს ადამიანი ადამიანის მტერია. მხოლოდ ციხეებში მდგომარეობის გამოსწორება არ არის საკმარისი, რადგან ასეთ შემთხვევაში სისტემა მაინც შენარჩუნდება“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა, „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა გელა ბანძელაძემ.

25 სექტემბერს სტუდენტებმა მსვლელობა საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის ოფისის მიმართულებით გამართეს. ახლგაზრდები გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას აპროტესტებდნენ.

სტუდენტების საპროტესტო გამოსვლები 26 სექტემბერს დასრულდა. საორგანიზაციო ჯგუფმა აქციების შეწყვეტის გადაწყვეტილება საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარების მიზნით მიიღო.

მოამზადა: **ნატო ობოლაძემ და შურთხია ბეროშვილმა**

„სანდრო ცაგარელის დაკავება და შემდგომ მისი გამოშვება დაშინების დემონსტრირება იყო“

ნინო კაკულია

დაკავებული სანდრო ცაგარელის გათავისუფლება საქალაქო სასამართლოსთან

პატიმართა მხარდასაჭერად იმ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს, რომელთაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები 18 სექტემბრიდან მოყოლებული მართავდნენ, ხელისუფლების მხრიდან მოყვა აქციების ორგანიზატორი სტუდენტებისა და აქტივისტების დაკავება-დაჯარიმება. 24 სექტემბერს თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში სტუდენტთა ჯგუფისა და მუსიკოსების მიერ საღამოს გამართული აქცია-კონცერტის – „სისტემა უნდა დაინგრეს!“ დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის II კორპუსთან დააკავეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, სტუდენტური მოძრაობის ერთერთი ლიდერი, სტუდენტური ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918”-ის წევრი სანდრო ცაგარელი. როგორც სანდრო ცაგარელის დაკავების ფაქტის თვითმხილველი სტუდენტები ამბობდნენ, ისინი ერთად მოდიოდნენ II კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, როცა მოულოდნელად პოლიციის მანქანა გაჩერდა. სანდრო მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს. თვითმხილველები ამბობდნენ, რომ სანდრო ნასვამი არ იყო და არც პოლიციისთვის გაუწევია წინააღმდეგობა.

სანდრო ცაგარელის დაკავების ფაქტით აღშფოთებული სტუდენტები და სანდროს მასწავლებლები უნივერსიტეტიდან – გია ჟორჟოლიანი და მარინა მუსხელიშვილი სანდროს მხარდასაჭერად 24 სექტემბერს გვიან ღამით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ, რომელთაც მოუწოდეს სტუდენტებს 25 სექტემბერს დილის 10 საათზე საქალაქო სასამართლოს წინ გამოეხატათ პროტესტი. 25 სექტემბერს დილით სანდრო ცაგარელი გაათავისუფლეს და მას 400 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. სასამართლოსთან სანდროს მხარდასაჭერად შეკრებილი სტუდენტები გათავისუფლებულ მეგობარს დიდი ოვაციებით შეხვდნენ.

სანდრო ცაგარელი: „ჩემი ოფიციალური ბრალდება იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ბრალდების მხარე იყო პატრულის ეკიპაჟი. მათ კარგა ხანი თავადაც არ იცოდნენ, რის გამო დამაკავეს, რასაც 40 წუთის განმავლობაში არკვევდნენ. ბოლო მომენტში მეც ყურმოკვრით გავიგე, რის გამო ამიყვანეს. ჩემი სიმართლე შეეძლო მოწმეებსა და იმ ვიდეო–კამერას დაედასტურებინა, რომელიც უნივერსიტეტის კორპუსთან იყო დამონტაჟებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სასამართლომ არ გაითვალისწინა. ბრალი იყო მოგონილი. პირიქით, მე ყველას სიმშვიდისკენ მოვუწოდებდი. როგორც ჩანს, სწორედ ისეთი ადამიანები არ აწყობდათ, რომელიც მშვიდობაზე იყო ორიენტირებული. ამიტომაც გახლდათ ჩვენი მთავარი ლოზუნგი ის, რომ „სისტემა უნდა დაინგრეს!“ მე ჩვეულებრივად გავაგრძელებ იმ მოღვაწეობას, რასაც აქამდე ვაკეთებდი“, — განაცხადა სასამართლოს შენობიდან გამოსულმა სანდრო ცაგარელმა.

უსაფუძვლოდ დაკავებული უნივერსიტეტის სტუდენტისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ფაქტს ასე გამოეხმაურა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **მარინე ჩიტაშვილი**:

„სანდრო ცაგარელის დაკავება სრულიად გაუგებარია და, ასევე, სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა გადაახდევინო 400 ლარი ადამიანს და გამოუშვა, როდესაც სასამართლო თავად არღვევს კანონს. განხილვა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე დანიშნული იყო. არ დაასწრეს არავინ, გარდა ოჯახის წევრებისა. „საია”-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ ამით სასამართლოში დაირღვა საჯაროობის პრინციპი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაინტერესებს, რატომ არ აკისრებს მონიტორინგის სამსახური საჯარო მოხელეს ხუთმაგ ჯარიმას საქართველოს კანონის დარღვევისათვის.

მიმაჩნია, რომ სანდრო ცაგარელის დაკავება და შემდგომ გამოშვება არის დაშინების დემონსტრირება“.

აღსანიშნავია, რომ სანდრო ცაგარელისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა მომღერალმა ცისანა სეფიაშვილმა გადაიხადა.

წერილით გამოხატული თანადგომა

ისტორია ისტორიკოს ზე — ამ მინიშნებით უნივერსიტეტის და, თუ გნებავთ, საქართველოს ისტორიაში **მარიამ ლორთქიფანიძის** *პიროვნების, ბიოგრაფიული ცნობების, მონაცემების თუ ღვაწლის შესახებ საკმაოდ შინაარსიანი თავის ,,შეტანას” ყველაზე უკეთ, ალბათ, მისი მოწაფეები შეძლებენ. პირველ რიგში ხომ სწორედ მათ ახსოვთ ქალბატონი მარიამი, როგორც სტუდენტების მარადიული ქომაგი საბჭოთა ეპოქასა თუ დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში. მიუხედავად ხანდაზმულობისა და მისი ამჟამინდელი რთული ჯანმრთელობის მდგომარეობისა, მარიამ ლორთქიფანიძემ მაინც შეძლო, თავისებურად გამოხმაურებოდა იმ სტუდენტურ მოძრაობას, რომელიც კვლავაც უნივერსიტეტის ე ზოში გაღვივდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. დიახ, ახლა 2012 წელია და არა 1978, მაგრამ ,,ისტორია მეორდება, მხოლოდ ფორმები იხვეწება, შინაარსი კი დაახლოებით იგივეა”... სწორედ ამ მიზ ზით აგორებულ ახალ საპროტესტო ტალღას მიაწვდინა საკუთარი ხმა ქალბატონმა მარიამმა და ამჯერადაც კიდევ ერთხელ გაბედა...*

წერილი უნივერსიტეტის ე ზოში გამართულ ფართომასშტაბიან სტუდენტურ მიტინგზე ხელიდან ხელში გადადიოდა სტუდენტებს შორის და მისი მოკლე, მოკრძალებული შინაარსი სტუდენტური მოძრაობის ლიდერებმა საჯაროდ გააცნეს სა ზოგადოებას იმ თანადგომისთვის მადლიერების ნიშნად, რაც მარიამ ლორთქიფანიძემ ამჯერადაც ღიად გამოხატა. ისტორიას ისტორიკოს ზე კიდევ ერთი ფურცელი შეემატა – ქალბატონი მარიამის პოზიციის უფრო სიღრმისეულად წარმოჩენის მიზნით მას სახლში ვესტუმრეთ.

ნინო კაკულია

— როგორც უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საქართველოს მოჭირნახულე საზოგადოების ერთერთი აქტიური წარმომადგენელი და მეისტორიე, როგორ შეაფასებდით იმ სტუდენტურ მოძრაობას, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ აგორდა სხვადასხვა ფაქტორებისა და სიმახინჯეების გამოვლენის გამო?

— სტუდენტურ აქციებთან დაკავშირებით ჩემი აზრი გამოვთქვი, როდესაც სტუდენტებს წერილობით მივმართე. სამწუხაროდ, დღეს ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო მათთან გვერდში ყოფნა ვერ შევძელი. ალბათ სიმბოლურია, რომ ფართომასშტაბიანი სტუდენტური მოძრაობა კვლავაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო და მას სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც შემოუერთდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1978 წლის 14 აპრილის ცნობილი საპროტესტო გამოსვლა, რომელიც ქართული ენის პრობლემას შეეხებოდა. მოგეხსენებათ, რომ იმ დიდ აქციას, რომელიც დემონსტრაციის სახით გამოიხატა, სათავეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ედგა. სიმართლე უნდა გითხრათ, რომ თავიდანვე სტუდენტების გვერდით ვიდექი. მაშინ კათედრის გამგეებს განკარგულება მოგვცეს, რომ ჩვენი სპეციალობის ჯგუფის სტუდენტებისთვის აგვეხსნა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსულ ენას და მათში უნდა გაგვეზარდა მოტივაცია, რომ მხარი დაეჭირათ საქართველოში სახელმწიფო ენად რუსული ენის დამკვიდრებისთვის. რაღაც პერიოდის შემდეგ ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა თავისი შთაბეჭდილება ღიმილით ასე გამიზიარა: მახსოვს, შემობრძანდით ჩვენთან და დაგვიწყეთ საუბარი რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოსა და რუსული ენის მნიშვნელობაზე, მაგრამ ამას ისე გვეუბნებოდით, რომ გვაგრძნობინებდით, რეალურად ჩვენ მხარი უნდა დაგვეჭირა იმისთვის, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა აუცილებლად ქართული ყოფილიყო. როდესაც გახვედით აუდიტორიიდან, სიცილი აგვიტყდა. ანუ, სტუდენტებიც მშვენივრად მიხვდნენ, რომ მათ ქვეტექსტებით ვესაუბრებოდი.

დღეს ჩვენი სტუდენტები უნივერსიტეტის ავტონომიას მოითხოვენ. ეს საკითხი მაშინაც იდგა და დღესაც დგას, რაც სრულიად კანონზომიერად მიმაჩნია და მეც სწორედ ამიტომ მივწერე მათ ის წერილი.

— განსხვავებით იმ პერიოდისგან, 1 ოქტომბრის არჩევნებამდე ხელისუფლების სათავეში მყოფ პოლიტიკურ ძალას სერიოზული პრეტენზია ჰქონდა საქართველოში დემოკრატიის მშენებლობასა და სიტყვის თავისუფლებაზე. მაშ დღეს, თქვენი აზრით, რატომ დგას კვლავ საკითხი უნივერსიტეტის ავტონომიურობის მოპოვებაზე?

— ყოფილი ხელისუფლება დღესაც აცხადებს, რომ იგი დემოკრატიულია, მაგრამ ფაქტობრივად მან ავტორიტარულ რეჟიმს დაუდო სათავე და ეს ძალიან მარტივად აიხსნება. ახალგაზრდებსაც ეს შესანიშნავად ესმით.

— რამდენად ადეკვატური იყო სტუდენტთა მოთხოვნები, რომელთაც გარდა იმისა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში გამოვლენილი სიმახინჯეების გამო დამნაშავე პირების დასჯას მოითხოვდნენ, მინისტრთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებდნენ...

— მსგავსი ინიციატივები სწორედ ახალგაზრდების მხრიდან უნდა წამოვიდეს და მივესალმები მათ აქტიურობას. როგორც ისინი ამბობდნენ, ქვეყანაში მხოლოდ ერთი და ორი მინისტრის გადაყენების პრობლემა კი არ იდგა, არამედ სისტემის შეცვლის პრობლემა იყო, რაც არსებულ რეალობაში დღესაც დასაძლევია.

— თუკი სამოქალაქო პოზიციების გამოვლენის თვალსაზრისით პროფესორ-მასწავლებელთა აქტიურობის დონეს მივაქცევთ ყურადღებას, შეიძლება ითქვას, რომ თამამად ხმის ამოღების შიში იყო დომინანტი. ეს ჰგავს თუ არა იმ შიშს, რომელიც საბჭოთა პერიოდში იყო გამეფებული?

ჩვენო ახალგაზრდობავ, სტუდენტებო, მოსწავლეებო!

მთელი გულით ვუერთდები თქვენს აქციებს, ვწუხვარ, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო, ვერ ვარ თქვენს გვერდით, როგორც ვიყავი ყოველთვის. მეამაყება თქვენი აქტიურობა უსამართლობის წინააღმდეგ. გირჩევთ, დაიცვათ ზომიერება, არ დაუშვათ პროვოკაციები.

დიდი სიყვარულითა და მომავლის იმედით

მარიამ ლორთქიფანიძე
19 სექტემბერი, 2012 წელი

— საბჭოთა პერიოდში შიში მართლაც დიდი იყო. მეტსაც გეტყვით, დრო და დრო ჩემი უახლოესი მეგობრები — ოთარ ჯაფარიძე, გივი კიღურაძე, გოგი ფუთურიძე ჩემთან ოთახში შემოდიოდნენ და იწყებდნენ საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკას და გინებას. ერთხელ, დამიძახა რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა (მართალია, იგი ფუნქციონერი იყო, მაგრამ ვაჟკაცი კაცი გახლდათ) და მითხრა: შენმა ძმაკაცებმა რაც უნდათ ის ილაპარაკონ ხელისუფლების შესახებ, მაგრამ როდესაც შენთან ოთახში იმყოფებიან, ხმამაღლა ნუ ისაუბრებენ, რადგან უნივერსიტეტის ,,ჩეკას” ყური აქვს მიდებული ყველას კარზეო. ამიტომ ფრთხილად იყავითო. ამის შემდეგ, როცა ჩემმა მეგობრებმა ჩემს ოთახში ისევ დაიწყეს მთავრობის რეჟიმის კრიტიკა, შევეხვეწე — ცოტა ჩუმად ყოფილიყვნენ, თუმცა ვინ გიგდებდა ყურს... ისინი დამცინოდნენ კიდეც – მარიკას ეშინიაო. დიახ, მეშინოდა და ამას მათ არც ვუმალავდი. რატომ არ შემეშინდებოდა? მთელი 30 წლის უბედურებამ არა მარტო ჩემი ოჯახის, არამედ ჩემ ირგვლივ მყოფთა ოჯახების თავზე გადაიარა. დიახ, მეშინოდა! თუ ვაჟკაცი იყავი, ნუ შეგეშინდებოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, სტუდენტებს ქვეტექსტებით სათქმელს მაინც ვაგებინებდით.

ხალხს დღემდე რომ ეშინოდათ, ამასაც სრული გამართლება აქვს, რადგან ხედავდით, რომ არჩევნებამდე ვითომ შეთითხნილი მოტივებით და რეალურად კი პოლიტიკური ნიშნით როგორ ყრიდნენ ადამიანებს სამსახურებიდან, ბევრს აპატიმრებდნენ, ოჯახებსაც ატერორებდნენ... მოდი და ნუ შეგეშინდება, თუ ვაჟკაცი ხარ!

— ასეა თუ ისე, უნივერსიტეტი საბჭოთა პერიოდში მაინც ვერ დააჩოქეს...

— ეს იმიტომ, რომ ჩვენი თაობა უფრო გულადი იყო. მახსოვს, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ერთერთ გაზეთში წერდნენ, რომ უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებლების ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ ისინი სტუდენტებს ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდნენ. თუკი ჩვენ საბჭოთა რეჟიმის დროს ამას ვახერხებდით, ამისთვის მხოლოდ მადლობა გვეკუთვნის. დღეს კი ლექტორები სტუდენტებთან სამოქალაქო ღირებულებებსა და ეროვნულ ტრადიციებზეც კი არიდებენ თავს ღიად საუბარს, რადგან ფრთხილობენ. ხომ ხედავთ, გარკვეული დრო დასჭირდა იმასაც, რომ ჩვენი სტუდენტობა, ეტყობა მასწავლებლების გავლენითაც, მივიდა იქამდე, რომ პროტესტი ქუჩაში გამოეხატათ.

დადგება დრო და ისტორიკოსები იტყვიან თავის სიტყვას, ისე დღესაც ბევრ რამეს ამბობენ. მე, პირადად, დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერ არ მიცხოვრია. ისტორიკოსებმა ვიცით, რას ნიშნავს დემოკრატიული ქვეყანა. ასეთი რეპრესიები დემოკრატიულ ქვეყანაში არსად მინახავს.

— და ამას ამბობთ იმის გათვალისწინებითაც, რომ დღეს, როგორც რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრს, აღარ გეშინოდათ სხდომებზე თქვენი პოზიციების ხმამაღლა გამოხატვა?

— ჩემი პოზიციები არც ახლა ყოფილა წახალისებული და გათვალისწინებული, სამწუხაროდ... ჩემი მეგობრების უმეტესობა კი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია, არც ერთი არ არის ასაკის გამო უნივერსიტეტიდან წამოსული. ვფიქრობ, სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ დღეს უნივერსიტეტში, მაგრამ მათი ადგილი, როგორც ხედავთ, გარეთ აღმოჩნდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მალე თანდათან მოიპოვებს თავის ადგილს და უფლებას საქართველოში.

სტუდენტური აქციებით პროვოცირებული პრობლემების აქტუალიზაცია თსუ-ში

ინტერვიუ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან

ნინო კაკულია

— ბატონო იაგო, რამდენიმე თვის წინ უნივერსიტეტში გამართული სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ერთგვარი შეჯამებისას თქვენ საუბრობდით სტუდენტთა დიდი ნაწილის ნიჰილისტურ და პასიურ განწყობებზე. საინტერესოა, თქვენი შეფასება 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე გამართულ იმ ფართომასშტაბიან აქციებთან დაკავშირებით, რომლის ინიციატორები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები იყვნენ. რამ გაზარდა მათი სამოქალაქო აქტიურობა?

— სულ ცოტა ხნის წინ სტუდენტთა პასიურობის მიზეზებზე ხშირად მისვამდნენ კითხვებს ჟურნალისტები, მათ შორის თქვენც და ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს იყო მოჩვენებითი პასიურობა და რომ მათ გასააქტიურებლად რაიმე მოვლენები ან ფაქტები აუცილებლად ითამაშებდა კატალიზატორის როლს, რაც მათში ჩაბუდებულ პროტესტს და ენერგიას გამოავლენდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პენიტენციალურ სისტემაში მხილებულმა პატიმართა შემზარავი წამების ფაქტებმა ბიძგი მისცა მასშტაბურ სტუდენტურ პროტესტს, თუმცა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ სტუდენტებმა გამოსვლები დაიწყეს მანამდე, ვიდრე პატიმრების წამების ამსახველი კადრები მთელი ქვეყნისთვის ცნობილი გახდებოდა. უნივერსიტეტის სტუდენტთა აქტივობა მანამდე უნივერსიტეტის ავტონომიის მოთხოვნას უკავშირდებოდა. მათ გააპროტესტეს რეგენტთა საბჭოს არსებობა, რომელსაც უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩარევის ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტები მართლაც გააჩნია, ანუ სტუდენტებმა დაიცვეს უნივერსიტეტის ავტონომიურობის იდეა. სტუდენტთა მოთხოვნა იყო, ასევე, იმ კვალიფიციური პედაგოგების უნივერსიტეტში დაბრუნება, რომლებიც კონკურსების გზით, მაგრამ არა რაციონალური მოტივაციით უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩნდნენ. სტუდენტები ადმინისტრაციასაც სთხოვდნენ მეტ ეფექტიანობას რეგისტრაციის გავლისას თუ საგნების არჩევისას სტუდენტთათვის გარკვეული ბარიერების შექმნის გამო. მოკლედ, სტუდენტებმა, რომლებმაც აქტიურობა თავდაპირველად საუნივერსიტეტო პრობლემებთან დაკავშირებით დაიწყეს, შემდგომში უფრო ფართომასშტაბიანი პროტესტით უპასუხეს პენიტენციალურ სისტემაში გამოვლენილ სიმახინჯეებს, რაც, ცხადია, უკვე ხელისუფლების მიერ ქვეყანაში წარმოებული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახლავთ. აქვე უნდა ითქვას იმ გარემოების შესახებ, რომ სტუდენტთა სამოქალაქო აქტივობის უკან არ იდგა რომელიმე პოლიტიკური პარტია, მათთვის „ზემოდან" არავის განუსაზღვრავს მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა, ისინი დამოუკიდებლად წარუძღვნენ პროცესებს და თვითორგანიზებით შეძლეს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოვლენა. სწორედ ამ ნიშნით არის მათი გააქტიურება უაღრესად პოზიტიური მოვლენა. სტუდენტებმა შეძლეს მიეღწიათ მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურაში. საზოგადოებასთან ერთად სწორედ მათმა პროტესტმა გამოიწვია სერიოზული საკადრო სამთავრობო ცვლილებები. მათი ზეწოლის გარეშე, ვეჭვობ, ხელისუფლებას ადეკვატური რეაქცია ჰქონოდა. ჩვენ გვახსოვს ხელისუფლების თავდაპირველი პოზიცია, როდესაც ხათუნა კალმახელიძე მხოლოდ დეპარტამენტის დირექტორების და ბადრაგების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხით შემოიფარგლა და არც უფიქრია მინისტრის პოსტის დატოვება.

— თქვენი აზრით, სტუდენტთა გააქტიურება მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში გამწვავებული პოლიტიკური ვითარებით ხომ არ იყო გამოწვეული? როგორია პროცესების განვითარების თქვენეული ხედვა?

— ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე მოქალაქეობრივი პოზიციის გამომხატველი სტუდენტობა, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტური თვითმმართველობების ალტერნატიულ ძალადაც კი ჩამოყალიბდა. თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების მიერ მართული ორგანო, ცხადია, ხელისუფლებას ვერ დაუპირისპირდებოდა და მან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იგი არ არის ქვეყანაში ჯანსაღი პროცესების მაპროვოცირებელი. ჩვენი უნივერსიტეტის მაგალითზე, შემიძლია ვთქვა, რომ სტუდენტური გაერთიანება „ლაბორატორია 1918", რომელსაც საფუძველი რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა, რეალური გაგებით ჩამოყალიბდა თვითმმართველობად, როგორც თვითაქტიურობის და სამოქალაქო აქტივობის გამომხატველი ძალა. ვფიქრობ, ეს ალტერნატივა კიდევ უფრო გაძლიერდება და იგი მონიტორინგს გაუწევს არა

მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლებას, არამედ სხვა თანამოაზრე სტუდენტებთან ერთად მოახერხებს უნივერსიტეტშიც მნიშვნელოვანი სიახლეების ინიცირებას, უნივერსიტეტის ავტონომიისა და პროფესორთა თუ თავად სტუდენტთა ინტერესების დაცვას.

სტუდენტებმა გაახმოვანეს ერთი შეხედვით ძალიან ხისტი სლოგანი — „გეშინოდეთ ჩვენი!". რასაკვირველია, ამ სლოგანის შინაარსობრივი დატვირთვა პირობითია, მაგრამ, ყველამ უნდა იცოდეს უნივერსიტეტში — აკადემიური პერსონალიდან დაწყებული ადმინისტრაციით დამთავრებული, რომ სტუდენტები არიან ის ძალა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო.

— შეცვლის თუ არა ახალი პოლიტიკური რეალობა სიტუაციას უნივერსიტეტშიც?

— როდესაც ქვეყანაში ძირფესვიანად იცვლება პოლიტიკური კლიმატი, ეს არც უნივერსიტეტში ჩაივლის უკვალოდ. მთავარი პრინციპი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არის დემოკრატიზაციის პრინციპი. დემოკრატიზაციის მართვის ერთერთი მექანიზმია არჩევითობა. არჩევითობა, სამწუხაროდ, უნივერსიტეტშიც ძალზე სიმბოლური გახდა. შეიძლება იყო არჩეული დეკანი, მაგრამ მოსალოდნელია მეორე დღეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე წახვიდე უნივერსიტეტიდან, რადგან ასე სურს ვიღაცას უნივერსიტეტის გარეთ, რომელიც მართავს პროცესებს. ხარ თუ არა არჩეული რექტორი, არც ამას აქვს რამე მნიშვნელობა — ეს ხომ ფაქტია?! ჯერ დანიშნული, შემდეგ „ვიწრო წრეში" არჩეული რექტორები ყოფილან პოსტებზე და წასულან ვადაზე ადრე — ამის არაერთი მაგალითია ცნობილი ჩვენი საზოგადოებისთვის, რაც, თავისთავად, ავტონომიურობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

ის, რომ უნივერსიტეტის რექტორს პირდაპირი გზით არ ირჩევენ, ამ პრინციპს არ ვეთანხმები. მართალია, აკადემიური საბჭო პარლამენტის მსგავს ორგანოდ მოიაზრება, რომელიც ირჩევს რექტორს, რადგან თავად წარმომადგენლობითობის მაღალ ხარისხს უნდა ატარებდეს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აკადემიური საბჭოს არჩევნებიც ლობირების მექანიზმების გამოყენებით ტარდება. ამდენად, რექტორის ლეგიტიმაციის ხარისხიანობისთვის საჭიროა პირდაპირი არჩევნები, როდესაც მთავარი სიტყვა ეთქმის მთელ საუნივერსიტეტო საზოგადოებას.

ჩემთვის მიუღებელი იქნება ისიც, თუკი ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს მოვიდა ხელისუფლებაში, საკუთარი პოლიტიკური გემოვნების შესაბამის რექტორს მოიყვანს უნივერსიტეტში. ეს იქნება იგივე პრაქტიკის გაგრძელება, ოღონდ სხვა პოლიტიკური ძალის მიერ, რასაც არ ვეთანხმები. ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენცია, უნდა იყოს პირდაპირი არჩევნები როგორც რექტორის, ასევე, დეკანების. არჩევნების გზით მოსულ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი სტატუსის სიმყარის განცდა და, აქედან გამომდინარე, ისინი აღარც იქნებიან ვინმეზე დამოკიდებულნი.

— ბევრი პროფესორ-მასწავლებელი დღემდე თავს არიდებს საკუთარი პოზიციის საჯაროდ გამოხატვას ყველა იმ საკითხზე, რაზეც თქვენ ისაუბრეთ. საინტერესოა, თუ იცნობთ მათ მოსაზრებებსაც, როგორც თუნდაც სოციოლოგი?

— გასაგებია, რომ პროფესორ-მასწავლებლები საკუთარ უსაფრთხოებას იცავენ. ფაქტია, რომ სტუდენტებმა მათ პედაგოგებსაც აჩვენეს, რას ნიშნავს მხარდაჭერა. მე ვნახე ბევრი ადამიანი უნივერსიტეტში, რომელიც არ იღებდა ხმას, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ მიეცათ პრობლემებზე საუბრის დაწყების მოტივაცია. ბევრი გაჩუმებული ადამიანი ალაპარაკდა, რაც, თავისთავად, კარგია და უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიძგი მათ სტუდენტებმა მისცეს. ამ ახალგაზრდებმა შეძლეს პროფესორ-მასწავლებელთა აქტუალიზაციაც — ეს პროცესი გაღრმავდება და იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში უნივერსიტეტი დაემსგავსება თავისუფალ აკადემიურ და სამოქალაქო სივრცეში მყოფ ორგანიზაციას.

მასწავლებლის თვალით დანახული სტუდენტური მოძრაობა

კორნელი კაკაჩია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

— არასოდეს მეპარებოდა ეჭვი სტუდენტთა აქტიურობაში. არ მჯეროდა მათი, ვინც ამბობდა, რომ სტუდენტები ინდიფერენტულები გახდნენ და არ აინტერესებთ პოლიტიკური ცხოვრება. მე მათ ვასწავლი და ვიცი, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ გამიხარდა, რომ სწორედ იმ დროს გამოაჩინეს თავისი პოზიცია და ძალა, როცა ამის საჭიროება დაინახეს.

რაც ყველაზე მთავარია და მომეწონა, ისაა, რომ მათ მოახერხეს

თავიანთი პოზიციის დაფიქსირება და მთავარი მესიჯის გაგზავნა ისე, რომ მათზე გავლენა ვერ მოახდინეს პოლიტიკურმა პარტიებმა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. აქამდე ჩემი თაობის და ჩვენი მომდევნო თაობის სტუდენტებისთვის ეს პრობლემა იყო. ვიცი, რომ იყო ჩარევის მცდელობები სხვადასხვა პარტიიდან, მაგრამ სტუდენტებმა პრინციპული პოზიცია დაიჭირეს.

როგორც იცით, სტუდენტები საპროტესტო აქციებით მარტო ძალადობის წინააღმდეგ არ გამოსულან. წინა დღეებში ისინი გამოდიოდნენ უნივერსიტეტში რეფორმების დაწყების მოთხოვნით და მიმაჩნია, რომ ეს საჭიროება არ უნდა გადაფაროს სტუდენტთა ბოლო აქციებმა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ სტუდენტებმა ქვეყნისთვის საჭირო საკითხებზეც ამოიღეს ხმა, მაგრამ მგონია, რომ მათ თავი არ უნდა დაანებონ იმ ძირითად მიზანს, რომლის გამოც ეს მოძრაობა დაიწყო და რომელიც მათი გამოსვლების საწყისი იყო.

ზურაბ დავითაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სრული პროფესორი:

— მხარს ვუჭერდი სტუდენტების აქციას, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ამით ზოგჯერ სარგებლობენ პოლიტიკური ძალები და ამის საშიშროებას ვხედავდი. მოხარული ვარ, რომ ასე არ მოხდა და რომ სტუდენტურ აქციებს თავისი პირვანდელი სახე არ დაუკარგავს.

ნოდარ ბელქანია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი:

— აქციების შეფასებას მოვერიდები, თუმცა ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტის სანდრო ცაგარელის დაკავებასთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი პოზიცია მაქვს, რადგანაც ვიცი, რომ მას წესრიგი არ დაურღვევია.

იოსებ სალუქვაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სრული პროფესორი:

— ჩემი აზრით, სტუდენტებს არასოდეს სძინავთ. უბრალოდ, ისინი მაშინ ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას, როცა სიტუაცია იძაბება და სამართლიანობის დარღვევის საშიშროებას ხედავენ.

ის, რომ, სტუდენტები გამოვიდნენ და ძალადობა გააპროტესტეს, სრულიად ნორმალურია. სხვას არც მოველოდი. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს არ გადაზრდილა არანაირ ისტერიკასა და ექსტრემიზმში. ეს იყო სრულიად ზომიერი და, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება, რომ ეს ყოფილიყო არა პოლიტიკური, არამედ სამოქალაქო აქცია. სტუდენტები ყველაზე ღირსეულად მოიქცნენ საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ ფონზე. ისინი ყველაზე ადეკვატურები და სამართლიანები იყვნენ თავიანთ მოთხოვნებში.

ნანა სუმბაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი:

— სტუდენტური აქციებისადმი დადებითი დამოკიდებულება მაქვს. მიხარია, რომ ახალგაზრდები გამოვიდნენ პასიური როლიდან და აქტიურად დაიწყეს თავისი პოზიციების დაფიქსირება.

პროფილი

მისი ხედვით აშშ-ს ელჩიც დაინტერესდა

„აზრის ლიდერები" კი არ იბადებიან, ხდებიან... მათაც დრო აჩენთ, დრო, რომელიც ზოგიერთ მათგანს გმირად აქცევს, ზოგს ერის მხოლოდ „გამორჩეულ" ჯარისკაცად, ზოგს კი „მარგინალადაც" კი... ფაქტია, რომ ლიდერებს ცხოვრება მაქსიმალისტური მიდგომებით და კლიშეებით „ახარისხებს" და ეს საზოგადოების ზედაპირზე ამოტივტივებული ყველა სახელის და გვარის მატარებლის ხვედრია... უნივერსიტეტში 2012 წელს ჩატარებულმა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებმა თუ წინასაარჩევნო პერიოდში სტუდენტურმა აქტივობებმა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინმსწრებმა მოვლენებმა უნივერსიტეტის წიაღიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის ლევან ლორთქიფანიძის სახელიც „გამორიყა" ახალ ისტორიულ გზაგასაყარზე... ვფიქრობ, სუბიექტურობას ვერავინ დაგვწამებს, თუკი სხვათაგან ლევანის „გამორჩეულობით" დავინტერესდებით და მის აზროვნებამდე, გულამდე და, თუნდაც, სულამდე მისასვლელ გზას მოვძებნით... „ნარინჯისფერ ყელსაბამიანი" და, ერთი შეხედვით „უწყინარი", საკმაოდ სიმპათიური ბიჭი, რომელსაც მკაცრი გამომეტყველების შესაძენად ერთგვარი ჟესტიკულაციაც კი ვერ უწყობს ხელს, საკმაოდ ხისტად და კრიტიკულ მოაზროვნეთა სიაში ჩაინერა და, რაც მთავარია, განათლება, ოჯახიშვილობა, ზრდილობა, ზომიერება, ორატორული ნიჭი ფეხდაფეხ მოსდევს... ბევრი მეგობარი თურმე საკუთარი სათქმელის გახმოვანებასაც კი აბარებს ლევანს, იმდენად კარგად გამოსდის აზრის გამოხატვა — ეს კარგად გამოჩნდა მღელვარე დღეებში ტელეეკრანებიდანაც, სადაც ლევანი სტუდენტური მოძრაობის აქტივისტების მოთხოვნების ერთერთი ძირითადი გამხმოვანებელი და პოზიციების ღირსეულად წარმომდგენი იყო...

პოპულარობა მოვიდა, თუმცა ასეთი გზით პოპულარობა ნაკლებად ხიბლავს... მას სწავლა და შრომა ურჩევნია მხოლოდ ლაპარაკს, ჯერ კიდევ ბევრი აქვს „გონებასა" და „სულში" მოსაგროვებელი, რათა საყვარელი მასწავლებლების მსგავსად ჰქონდეს მომავალში მის სიტყვასა და ნაazრევს ფასი – ასე ფიქრობს 20 წლის სტუდენტი, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ შეუსრულდა ეს ასაკი... როგორც ჩანს, ჩვენს გარდა სხვებმაც შეავლეს თვალი აქტიურ და ხისტ ახალგაზრდას, რომლის მთავარი ღირებულებაა — ადამიანი... ეტყობა ამ და სხვა ფასეულობების გამო მიიწვიეს იგი საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად 11 ოქტომბერს ამერიკის საელჩოშიც ელჩთან, რიჩარდ ნორლანდთან სასაუბროდ... ფაქტია, რომ მისით დაინტერესდნენ... მთელი ამ პერიპეტიების გათვალისწინებით უნივერსიტეტის გაზეთი კიდევ ერთხელ მასპინძლობს მას, როგორც მიმდინარე მოვლენების „აზრის ლიდერს", რომელთანაც საუბრისას გრჩება შთაბეჭდილება – რომ მისი სულიერება (და არა აზრი) შენგან არც თუ ისე შორია....



ნინო კაკულია

— ლევან, საინტერესოა, საიდან მოდიხარ? გაგვაცანი უფრო ახლოს შენი თავი...

— მყავს ძალიან საყვარელი მშობლები: მამა ჟურნალისტია, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ გაზეთ „კომუნისტში", როგორც ახალგაზრდა სტაჟიორი, შემდეგ იყო „საქინფორმის" ერთერთ წამყვან თანამდებობაზე და ა.შ.; დედა ფილოლოგია და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მყავს ორი და, ერთმა წელს ჩააბარა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და დედის გზას მიჰყვება, მეორე და კი II კლასშია. მე ვარ ერთი უბრალო ვერელი ბიჭი, დაბადებული თბილისში, ვერაზე და მთელი ბავშვობა უნივერსიტეტის ბაღში მაქვს გატარებული. ველოსიპედით პირველად უნივერსიტეტის ბაღში გავიარე. სკოლაც აქვე დავამთავრე, ფიქრის გორაზე — დღეს უკვე გერმანულ გიმნაზიად ცნობილი მე-6 გიმნაზია. სკოლა 2010 წელს ოქროს მედლით დავამთავრე და იმავე წელს ჩავაბარე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებით — ეს პროფესია მე-10 კლასში უკვე არჩეული მქონდა, სხვათა შორის, ჩემი საყვარელი მასწავლებლების რჩევითაც.

— უნივერსიტეტში თვალშისაცემად აქტიურობ, გარშემომყოფთა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებ — ზოგიერთის დიდ სიმპათიას და ზოგიერთისგან წყენასაც; არ აკლდები სტუდენტურ მსვლელობებს, აქციებს და, ამავე დროს, აქტიურად მონაწილეობ საუნივერსიტეტო კონფერენციებში, ოფიციალურ შეხვედრებში თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთანაც... ანუ, ყველგან ჩანხარ... ასეთი აქტიური იყავი თუ არა სკოლაშიც?

— სკოლაშიც ძალიან აქტიური, ასე ვთქვათ, პოლიტიკური მოღვაწე გახლდით, ოღონდ დირექციის ოპოზიციონერი მოღვაწე... ჩემი ფრიადოსნობა ხელს მიწყობდა და ყოველთვის მადგებოდა დირექციასთან ურთიერთობისას, რადგან ვერ ამბობდნენ — ეს ბავშვი ოროსანია და იმიტომ ბუნტაობსო. ვიყავი სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში ვიყავი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი და სკოლის საარჩევნო კომისიის წევრი, მაგრამ ყოველთვის ვიყავი დაპირისპირებული სკოლის ადმინისტრაციასთან, ოღონდ არა პიროვნულად, არამედ საქმიანი თვალსაზრისით. ვაკრიტიკებდი სკოლის ბიუჯეტის განკარგვისა და რესურსების გადანაწილების პრინციპს დირექციის მხრიდან და ა.შ. სკოლა რომ დავამთავრე, ჩემი დირექტორი ძალიან გახარებული იყო — როგორც იქნა ლორთქიფანიძე მოგვცილდაო.

— როგორ ფიქრობ, ამასვე ხომ არ ინატრებს დღეს უკვე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც, რადგან საკმაოდ ღიად აფიქსირებ შენს ოპოზიციურ განწყობებს თუ სამოქალაქო პოზიციებსაც?

— უნივერსიტეტიდან ნამდვილად ვერ მომიშორებენ (ამბობს სიცილით...). მე სამოქალაქო აქტიურობას განვიხილავ, როგორც პოლიტიკურ მონაწილეობას, ანუ როდესაც აპროტესტებ იმას, რაც არ მოგწონს, როცა ადგენ პეტიციას ან აქციას მართავ — ეს პოლიტიკური მონაწილეობაა და ამ მხრივ ყოველთვის აქტიური ვიყავი, ამასვე ვაპირებ მომავალშიც. რაც შეეხება პარტიულ პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიმართულების პარტიიდან მქონია სერიოზული შემოთავაზებები, ამას მკაცრად ვემიჯნები. ვფიქრობ და ვოცნებობ იმაზე, რომ მოღვაწეობა უნივერსიტეტში გავაგრძელო და ვიყო პროფესორი და არა პოლიტიკოსი.

— მესამე კურსის სტუდენტისგან ეს არჩევანი ცოტა გასაკვირია, რადგან დღევანდელი გადასახედიდან შენს თანატოლებს მარტივი გზით პოპულარობის მოპოვებისკენ სწრაფვა უფრო მეტად ახასიათებთ, ვიდრე არჩევანს აკეთებენ რთული და შრომატევადი საქმიანობის სასარგებლოდ. შენ რამ მიგაღებინა ეს გადაწყვეტილება?

— როდესაც ხარ უნივერსიტეტის პედაგოგი, შენ შეგიძლია წარუშლელი შთაბეჭდილება და კვალი დატოვო ადამიანზე და მას გაუზიარო შენი იდეოლოგია თუ ხედვა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გაყვება. ჩემთვის უფრო საპატიო არჩევანია ვიყო ქალბატონი ნათელა დონაძისნაირი ან ბატონი მალხაზ მაცაბერიძისნაირი ლექტორი, რომელთა მასწავლებლობითაც სიცოცხლის ბოლომდე ვიამაყებ. მე ეს მირჩევნია რაღაც რიტორიკით მოპოვებულ პოპულარობას.

— შრომის და ბრძოლის გზაზე სიარულისკენ მიდრეკილება შენ და შენმა გუნდმა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში აქტიური მონაწილეობითაც დაადასტურეთ. ამ არჩევნებში თქვენ საკმაოდ დიდი წარმატება მოიპოვეთ და გახდით სტუდენტური თვითმმართველობის წევრები. რა ხიბლი აქვს შენთვის ოპოზიციონერობას, რისთვისაც ამ ორგანოში მოსახვედრად იბრძოდი?

— ჩვენ კურსზე 70%-იანი უპირატესობით გავიმარჯვეთ. ჩვენ დავირქვით „ნარინჯისფერები" და ავირჩიეთ „ნარინჯისფერი", რათა ადვილი ყოფილიყო ჩვენი იდენტიფიკაცია. ეს არის განახლების, სიძლიერის, მუშაობის მოყვარეობის ფერი, რომელიც ასოცირდება სიცოცხლესთან და გაზაფხულთან.

მე და ჩემმა მეგობრებმა ერთ ფაკულტეტზე ვიყარეთ კენჭი, უმრავლესობაში მოსვლის შანსიც არ გვქონდა... უბრალოდ, ჩვენ გვინდოდა შეგვექმნა პრეცედენტი, რომ თუ მოინდომებ, თუ ირწმუნებ საკუთარ ძალას, რაც უნდა დიდი მოწინააღმდეგე გყავდეს და გიპირისპირდებოდეს დიდი ბიუროკრატიული მანქანა, გამარჯვების შანსი მაინც არსებობს... ჩვენ ვირწმუნეთ და დამანგრეველი გამარჯვებით გავედით ჩვენი ფაკულტეტის თვითმმართველობაში.

— სულ რამდენიმე დღის წინ თქვენმა აქტივობებმა და საპროტესტო გამოსვლებმა ბევრი დაარწმუნა იმაში, რომ ნიჰილისტებმაც კი გაიღვიძეს... რამ მისცა ბიძგი სტუდენტობას? რამ მოიტანა ეს მუხტი?

— ეს მრავალაქციანი დემონსტრაციები მოყვა იმ მოულოდნელ შოკს, რომელიც სტუდენტობამ და მთელმა საზოგადოებამ მიიღო ტელეეკრანით ნანახი ჯოჯოხეთური კადრების აღქმით. პატიმართა წამების ამ შემზარავი სურათის ნახვამ ააზვირთა სტუდენტური მოძრაობა, თორემ სტუდენტობა ისეთ ნიჰილიზმში იყო ჩავარდნილი, რომ მანამდე ვერც წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე 200-300 კაცზე მეტი სტუდენტი გარეთ რაიმეს გასაპროტესტებლად გამოვიდოდა.

ვფიქრობ, კიდევ ბევრი უკლია სტუდენტობას, სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით, იყოს ისეთივე აქტიური, როგორც ევროპულ ქვეყნებშია.

— „ფეისბუკში" ვნახე შენს მიერ გამოქვეყნებული მესიჯი, რომელიც ამ შინაარსის იყო: „ჩვენ უნდა გვიყვარდეს სტუდენტური მოძრაობა და არა ჩვენი თავი ამ მოძრაობაში", რაც მერაბ კოსტავას სიტყვების ერთგვარი გამეორებაა და შენ ეს აღნიშნე კიდეც. რისი თქმა გინდოდა ამით?

— ცხადია, არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით იღებდნენ მონაწილეობას ამ აქციებში, საუბარია იმ პროვოკატორებსა და ავანტიურისტებზე, რომლებიც მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებში „გამოჭენებას" ესწრაფოდნენ და ასეთებიც იყვნენ. ის ძალა, ის ბირთვი, რომელმაც ეს მოძრაობა დაიწყო, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ და ჩვენ ბოლომდე დავრჩით საკუთარი ინტერესებისა და ღირებულებების ერთგულნი — დიახ, ჩვენ გვიყვარს სტუდენტური მოძრაობა, მისი მიზანი და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში.

— თქვენს პოლიტიკურ მოთხოვნებს წინ რეგენტთა საბჭოს გაუქმების მოთხოვნაც უძღოდა... აპროტესტებდით უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპების შელახვას... თქვენი აზრით, რა ხელყოფს უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას?

— „უნივერსიტეტის ავტონომია" — ეს არის ჩემი მთავარი მამოძრავებელი მოთხოვნა. ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტის შიგნით ჩავატაროთ „მრგვალი მაგიდა", სადაც მოვიწვევთ სხვა რიგით სტუდენტებს, ექსპერტებს, უნივერსიტეტის სტატუსით დაინტერესებულ პირებს და შევეცდებით შევიმუშაოთ შესაბამისი მიმართვა განათლებისა და მეცნიერების ახალი საპარლამენტო კომიტეტისადმი. ჩვენ პარლამენტში უნდა დავაყენოთ საკითხი – დაუბრუნდეს უნივერსიტეტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და შეიცვალოს შიდა სტრუქტურა, ანუ გაუქმდეს რეგენტთა საბჭო. ჩვენ გვსურს, უნივერსიტეტის მართვის სადავეები კვლავ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ხელში დაბრუნდეს — ეს არის მთავარი მოთხოვნა.

— აქციები შეწყდა, ვნებათაღელვა ჩაცხრა. გადააფასეთ თუ არა ის მოთხოვნები, რასაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უყენებდით?

— ჩვენ ვითხოვდით ბატონი ანდრო ბარნოვის გადადგომას, რომლის მოსვლას დაემთხვა ჩვენი საყვარელი პროფესორების უნივერსიტეტიდან გათავისუფლება. ჩემი მხრიდან ეს მოთხოვნა ძალაში რჩება. ბატონ ანდროს ჰქონდა ჩვენთან შეხვედრის სურვილი, მაგრამ მე პროტესტის ნიშნად არც ერთ შეხვედრაზე არ მივედი.

რექტორის მიმართ კი ასეთი კითხვა მექნებოდა — რა გაკეთდა? მითხრან, რა გაკეთდა, ეგებ მე ვარ უმადური.

ჩემი აზრით, დღეს უნივერსიტეტს თუკი ირჩევს აბიტურიენტთა უმრავლესობა, ეს „უმეტესწილად" თსუ-ის ისტორიული და მის წარსულთან ასოცირებული სახელის დამსახურებაა, თორემ დღევანდელი ვითარება სავალალოა. ერთი წელი გავიდა უკვე იმ დაპირებიდან თუნდაც, რომ უნივერსიტეტს მისი ავტორიტეტის შესაფერისი ვებ-გვერდი ექნებოდა. რით აღარ ითარგმნა ტექსტები? გადახედეთ სხვა უნივერსიტეტებს და დათვალეთ, რამდენი ღირსეული პროფესორია აქედან წასული, რომლებიც სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა შეიფარა... ამ ტენდენციას კი დღესაც ვაგრძელებთ... უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. აი, მაგალითად, ცოტა ხნის წინ დამირეკეს ჩემმა ფიზიკოსმა მეგობრებმა და მითხრეს, რომ ლამის პრუსიის დროინდელი ლაბორატორიები, აუდიტორიები და იმ დროინდელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტრუმენტები გვაქვსო. ანუ არსებობს უამრავი პრობლემა, რაც ვიცი, რომ ერთ დღეში არ გადაწყდება, მაგრამ ტენდენცია უნდა ჩანდეს... იქნებ მე ვარ ინტრიგანი და ამ სიკეთეს ვერ ვგრძნობ? დაგვანახონ ეს სიკეთე...

— რამდენადაც ვხედავთ, მესამე კორპუსის სარემონტო სამუშაოები დაწყებულია — გამოიცვალა გათბობის სისტემა და კარ-ფანჯრები... თუნდაც ეს სიახლე თქვენთვის სიკეთე არ არის?

— ჯერ კიდევ ვხედავ იმ აუდიტორიებს, რომელშიც ლექციებს ვისმენ. ვსწავლობ იმ პროგრამებით, რომლის დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროებას მე, სტუდენტი, ვგრძნობ და მითხარით, არ აღვნიშნო ეს ყველაფერი? მინდა მოვესწრო კარგ პროგრამებს და კარგ სასწავლო ბაზას, სანამ სტუდენტი ვარ. არ მაქვს ამის მოთხოვნის უფლება?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეობა შემოგთავაზა, რაზეც უარი განაცხადე. რატომ არ დათანხმდი ამ წინადადებას? იქნებ კრიტიკას საქმის კეთება სჯობდეს...

— ვთქვი უარი უნივერსიტეტის მასშტაბით სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეობაზე, რადგან ეს თანამდებობა უტოლდება უნივერსიტეტის თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს. მე უარი ვთქვი მარტივი მიზეზის გამო: სტუდენტურ თვითმმართველობას ვთხოვეთ — საფაკულტეტო საბჭოების მუშაობაში ჩვენი გუნდიდან თვითმმართველობაში გასულ 4 წევრს შორის ერთერთი მაინც ჩაერთო, როგორც არჩეული საფაკულტეტო საბჭოს წევრი, რაც არაფრის დიდებით არ გაითვალისწინეს. ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ თვითმმართველობის ერთადერთი ძირითადი ფუნქცია იყო და არის სტუდენტთა ინტერესების დაცვა საფაკულტეტო საბჭოებსა და სენატში. ჩვენ, „ნარინჯისფერებს", თავის დროზე ეს ბერკეტი არ მოგვცეს. შესაბამისად, ახლა ასეთი შემოთავაზება უცნაურად მეჩვენება და ვუკავშირებ იმ ცვლილებებს უნივერსიტეტში, რაც ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს. სხვა ახსნა ამას არ მოეძებნება, რადგან აქამდე მიზანმიმართულად გვბლოკავდნენ. ახლა ჩვენ არ გვჭირდება დეპარტამენტის თავმჯდომარეობა, ისედაც მოვახდენთ რეაგირებას სტუდენტთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე. ჩვენ გვაქვს ელ-ფოსტა, ჩვენი ტელეფონის ნომრები ბევრმა იცის და ყველას შეუძლია, დაგვიკავშირდეს.

— როგორ აღიქვამთ სტუდენტები იმ პოლიტიკურ ცვლილებას ქვეყანაში, რაც საპარლამენტო არჩევნების შედეგებით გაცხადდა?

— როგორც მომავალი პოლიტოლოგი, ვთვლი, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის ძალიან სასიამოვნოა და დიდი ბედნიერებაა, რომ ხელისუფლების ცვლილება ხდება არჩევნების გზით. ადამიანის მენტალობაში ჩნდება აზრი, რომ ომისა და ძალადობის გარეშე, შესაძლოა ბიულეტინის ყუთში ჩაგდებით რადიკალურად შეცვალო ვითარება. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ კარგ სახელმწიფოში, აუცილებელია მუდმივი ჯანსაღი კრიტიკა და ერთგვარი საზოგადოებრივი ზეწოლა პროცესებზე, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

— სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 11 ოქტომბერს საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ამერიკის ელჩთან მიღებას შენც ესწრებოდი... თუ მოგეცა ელჩთან გასაუბრების საშუალება?

— ეს შეხვედრა ყველაზე დიდი საჩუქარი იყო ჩემთვის იმ დღეს, როცა მე 20 წლის გავხდი. მე საშუალება მომეცა, ბატონი ნორლანდისთვის მიმენიშნებინა, თუ რამდენად უინტერესო, ნაკლებად პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნეოდა ქართულ პოლიტიკაში განათლება და მეცნიერება. ელჩმა ხაზი გაუსვა სტუდენტთა უდიდეს სოცილურ პასუხისმგებლობას და დასვა კითხვა ახალგაზრდების პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ. ამის საპასუხოდ მე ჩვენი კლუბის — „ნარინჯისფერთა" მთავარი პრინციპი გავაჟღერე, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ გარემოში სტუდენტები უნდა ცდილობდნენ პოლიტიკურ ძალებზე აქტიურ ზემოქმედებას, ხელისუფლების მუდმივ კონტროლს, ჯანსაღ კრიტიკას ახალგაზრდებისა თუ საზოგადოებისთვის სასურველი მიზნების მისაღწევად.

დამშვიდობებისას დიპლომატს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრობა და საჯარო განხილვებში აქტიური მონაწილეობა ვთხოვე. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო.

„ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ“ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲖᲔ“ — ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

თბილისის მასშტაბით სტუდენტური აქციების ფონზე, სულ რაღაც ერთი კვირით, 25-დან 29 სექტემბრამდე, ქართულ მედიასივრცეში ახალი გადაცემა გამოჩნდა.

ჯერ კიდევ გადაცემის ეთერში გასვლამდე, 23 სექტემბერს ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელმა მამუკა ღლონტმა განცხადება გააკეთა. იგი წერდა, რომ „მაესტრო“ ახალი ტელეპროექტის — „სტუდენტური ღამეების“ ეთერში გაშვებას იწყებდა. გადაცემის მიზანი იქნებოდა სტუდენტთათვის ეთერის დათმობა და მათი მოსაზრებების საზოგადოებისთვის მიწოდება: „მაესტრო“ საშუალებას აძლევს სტუდენტებს, დამოუკიდებლად მოამზადონ თოქ-შოუ იმ საკითხებზე, რომელზეც სურთ და უთმობს ღამის ეთერს. წარმატებები სტუდენტებო — თქვენ თქვენი აქტიურობით ეს დაიმსახურეთ!“ — აცხადებდა მამუკა ღლონტი.

შეპირებისამებრ, სტუდენტური გადაცემა ეთერში გავიდა, ოღონდ შეცვლილი სათაურით. როგორც ითქვა, თავად სტუდენტებმა გადაწყვიტეს გადაცემას დარქმეოდა „ფაკულტეტი“ და პირდაპირ ეთერში ესაუბრათ ყველა იმ მოთხოვნასა და პროტესტზე, რაც სტუდენტურ აქციებზე ხმაურდებოდა.

უნდა ითქვას, რომ არაოფიციალური გარემო, რომელიც სტუდიაში იყო შექმნილი, კარგ ფონს იძლეოდა თავისუფლებისთვის, რაც სტუდიის სტუმართა საუბარსაც ეტყობოდა.

თითქმის ყველა გადაცემის სტუმრები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციების — „ლაბორატორია 1918“ და „ნარინჯისფერთა კლუბი“ წარმომადგენლები, ასევე, სტუდენტები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, თეატრალური უნივერსიტეტიდან, თავისუფალი უნივერსიტეტიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

ყველა გადაცემას გასდევდა ერთი ძირითადი ხაზი, რომ სტუდენტური მოძრაობა, რომელიც პენიტენციალურ სისტემაში არსებული ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელებას მოჰყვა და მასშტაბურ პროტესტში გადაიზარდა, იყო აპოლიტიკური, სამართლიანი და არა ძალადობრივი აქცია. საკითხები, რომელზეც სტუდენტებმა გადაცემაში გაამახვილეს ყურადღება, პირდაპირ კავშირში იყო საპროტესტო აქციებთან და იმ პერიპეტიებთან, რომლის გადალახვაც მათ უწევდათ. გადაცემების თემები მრავალფეროვანი იყო: ძალადობის წინააღმდეგ სტუდენტთა მოძრაობის ლოგიკური გააქტიურება; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა და იმ სისტემის მშვიდობიანი დანგრევა, რომელმაც, მათი აზრით, საზოგადოებაში შიში და ძალადობა დანერგა.

სტუდენტებმა პირველი ორი გადაცემის მიმდინარეობისას იმაზეც ისაუბრეს, თუ რატომ უთხრეს უარი ყველა პოლიტიკურ პარტიას აქციებში ჩართვაზე და რატომ შეინიშნებოდა მოძრაობის დაქსაქსვის მცდელობა.

თსუ-ის სტუდენტმა გიორგი ბენაშვილმა განაცხადა, რომ ეს მოძრაობა აპარტიულია: „მიუხედავად იმისა, ვინ რომელი პარტიის წევრია – ჩვენ ამ მოძრაობაში და მიზნისთვის სავალ გზაზე ყველა პარტიის გარეშე ვდგავართ!“ — თქვა მან.

ინფორმაციას სტუდენტთა დაქსაქსვის მცდელობის შესახებ, რომელზეც ვრცლად ისაუბრა თსუ-ის სტუდენტმა ლუკა გრიგოლიამ, „ლაბორატორია 1918“-ის წევრი ანი ჭანკოტაძე გამოეხმაურა. ჟურნალისტის კითხვას, მაინც ვინ ცდილობდა პროვოკაციას და რა კონკრეტული მაგალითები არსებობდა ამის სათქმელად, სტუდენტებმა გაიხსენეს, რომ იმ დღეს აქციის მონაწილეები, მათი თქმით, „გაურკვეველი ინდივიდების“ მოწოდებების შემდეგ სხვადასხვა ადგილზე აღმოჩნდნენ, ასევე, გაიხსენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი სტუდენტური მოძრაობის მიერ დაანონსებული აქცია, რომელიც, მათი აზრით, იყო მცდელობა — გადაებირებინათ ახალგაზრდები და სათავეში ჩადგომოდნენ მათ ნაწილს. სტუდენტებმა ასევე პროვოკაციად შეაფასეს შემთხვევა, როცა „გაურკვეველმა პიროვნებებმა“ ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად გლდანის ციხესთან ცეცხლწაკიდებული ცოცხები გალავანს შიგნით გადაყარეს.

საგულისხმო იყო 25 სექტემბრის გადაცემაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ხატია ნადარაიას გამოსვლა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტუდენტთა აქციები ემსახურებოდა მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. „სტუდენტთა მოთხოვნები: „ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს და არა პოლიტიკურ ელიტას!“ და „დაასრულე ტირანია!“ არის დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების მოთხოვნა და სხვა არაფერი“ — ითქვა გადაცემაში.

25 სექტემბერს ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ფაკულტეტის“ პირდაპირ ეთერში ცნობილი გახდა, რომ იმ საღამოს, უნივერსიტეტის I კორპუსის წინ გამართული აქცია-კონცერტის შემდეგ დააკავეს თსუ-ის სტუდენტი სანდრო ცაგარელი, რასაც გადაცემის მონაწილე სტუდენტთა აღშფოთება მოჰყვა. მომდევნო გადაცემას კი სტუმრად ჰყავდა თავად სანდრო ცაგარელი, რომელიც სასამართლომ 400 ლარით დააჯარიმა და გაათავისუფლა. ცაგარელი გადაცემაში აღნიშნავდა, რომ მისი დაკავება მხოლოდ მის აქტივობას და აქციის მონაწილეთათვის არაძალადობრივი ქმედებებისკენ მოწოდებას უკავშირდებოდა.

27 სექტემბერს გადაცემა „ფაკულტეტის“ სტუმრებმა — „ნარინჯისფერი კლუბის“ და „ლაბორატორია 1918“-ს წევრებმა განაცხადეს, რომ წყვეტდნენ ქუჩის საპროტესტო აქციებს და გადადიოდნენ პროტესტის სხვა ფორმებზე, თუმცა მხარს უჭერდნენ და სოლიდარობას უცხადებდნენ ყველა იმ აქციას, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ გაიმართებოდა.

გადაცემის მონაწილემ, „ნარინჯისფერი კლუბის“ წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ თავისი ორგანიზაციის სახელით ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ნარინჯისფერი კლუბი“ ყოველთვის სოლიდარულია ნებისმიერი ღირსეული და მიზანზე ორიენტირებული პროტესტის. „ვფიქრობ, სტუდენტურმა მოძრაობამ, სტუდენტურმა აქციებმა, ავად თუ კარგად, თავისი საქმე შეასრულა, ჩვენ მშვიდობიანად, მეტ-ნაკლებად ორგანიზებულად მოვახერხეთ ის, რომ ჩვენი პროტესტი, აღშფოთება დაგვეფიქსირებინა ქვეყნის მასშტაბით და ხმა მიგვეწვდინა ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებისთვისაც კი. ჩვენ მოვახერხეთ, რომ გათავისუფლდა ორი მინისტრი. რა თქმა უნდა, ეს არ კმარა, კიდევ ბევრი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში. „ლაბორატორია 1918“ დიდი ხანია იბრძვის ადამიანის უფლებებისა და სხვა ღირებულებებისთვის, ჩვენ ერთი წლით გვიან დავდექით ამ გზაზე, თუმცა ჩვენც ვიბრძოლებთ უსამართლობის წინააღმდეგ და საზოგადოების ინტერესების დასაცავად“.

გადაცემის წამყვანის კითხვაზე, არჩევნების შემდეგ რა შედეგს გააპროტესტებდნენ სტუდენტები, ლევან ლორთქიფანიძემ უპასუხა: „ჩვენ ვფიქრობთ, არჩევნების დღეს თავად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი არჩევანი და თავად უნდა გამოვუტანოთ განაჩენი ამა თუ იმ პოლიტიკურ კურსს. პირადად გავაპროტესტებ იმ შედეგებს, რომლის შესახებაც უარყოფითი დასკვნა ექნება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ჩემთვის პატივსაცემ არასამთავრობო ორგანიზაციებს“.

„ფაკულტეტის“ მეოთხე გადაცემა მიეძღვნა თემას — „პროტესტი და ხელოვნება“. გადაცემის სტუმრები იყვნენ მუსიკალური პროდიუსერი გიორგი ასანიშვილი და მწერალი ზაზა ბურჭულაძე, ხოლო მეხუთე გადაცემა დაეთმო კახეთის რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს, რომლებიც კახეთში ახალგაზრდებზე პოლიტიკურ ზეწოლას აპროტესტებდნენ.

ერთკვირიანი ეთერის შემდეგ გადაცემა შეჩერდა, თუმცა ახალგაზრდების მოსაზრებათა გაცნობისა და მათი კოორდინირებისათვის „ფაკულტეტმა“ თავისი საქმე მაინც გააკეთა. ვფიქრობთ, იდეა ამგვარი გადაცემის არსებობისა ძალიან კარგია და ვვარაუდობთ, რომ ამ ან სხვა ტელევიზიაში აუცილებლად გაჩნდება ანალოგიური პროექტი, რომელიც სტუდენტებს თავისუფალ ტრიბუნას დაუთმობს.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲡᲢᲙᲘᲕᲓᲐ

„სად იყავით აქამდე, რატომ ხმას არ იღებდით?” — დღეს ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობის ფონზე ასეთი შეძახილით ცდილობენ არჩევნებამდე ოპოზიციურ ძალებთან ერთად მებრძოლი ადამიანები მათ დასინდისებას თუ დადანაშაულებას, ვინც აქამდე ან ვერ ბედავდა, ან უბრალოდ ფრთხილობდა, ან უბრალოდ არ სურდა ეღიარებინა ის სისტემური ზეწოლა, რასაც წლების განმავლობაში განიცდიდნენ. ფაქტია, რომ შიშით მოწამლული საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს კულუარული თუ საჯარო განკითხვის ასპარეზზე იბრძვის საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად. როგორც ჩანს, ზოგიერთს ვერ გაუთავისებია, რომ ამჯერად მაინც ქვეყანაში რევოლუციის მაგივრად არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ საზოგადოების უმრავლეს ნაწილს წლების მანძილზე თუკი ხმამაღლა არ უბრძოლია, სამაგიეროდ საკუთარი საარჩევნო ხმით იბრძოლა ვითარების შესაცვლელად. ამდენად, ახალ რეალობაში საზოგადოების ნაწილის პიროვნული განქიქების სამართლიანობაზე მსჯელობას თუკი მხოლოდ სპეციალისტებს მივანდობთ, ურიგო არ იქნება. სწორედ ამ მიზნით მივმართეთ თსუ-ის მოწვეულ პროფესორს, ფსიქოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** *დღევანდელ ვითარებაში წამოჭრილი ყველაზე აქტუალური პრობლემის განსახილველად, რამეთუ ადამიანზე შიშის ფაქტორის გავლენის მნიშვნელობა მან სხვებზე უკეთ უწყის.*

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

რამაზ საყვარელიძე

— რამდენად თრგუნავს მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობას შიში, რაც წლების მანძილზე ადამიანთა ქცევის განმსაზღვრელი და მამოძრავებელი იყო?

— გრძნობები უამრავია... მოვალეობის გრძნობა სხვა კლასს განეკუთვნება, შიში კი სხვა კლასს, რომელიც უფრო სასიცოცხლო ემოციების ჯგუფში შედის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მომენტს, როდესაც ეს გრძნობები ერთმანეთს ეჯახებიან და ადამიანის შიგნით ქმნიან დაპირისპირებას, რაც პიროვნებას არჩევანის წინაშე აყენებს — თუ რომელ გრძნობას უნდა გაყვეს. ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც შიშიც და მოვალეობის გრძნობაც ერთდროულად აწუხებს ადამიანს. იშვიათი გამონაკლისის გარდა (გონება ჩლუნგობა, აფექტური მდგომარეობა და სხვა) კანონის, მოვალეობის და მორალის დამრღვევმა იცის, რომ მათ არღვევს და ეს მისი შეგნებული არჩევანია, რასაც შეიძლება საკუთარ თავსაც არ უმხელდეს, თუკი კარგად აქვს აწყობილი ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები.

რაც შეეხება შიშს, შიშიც, ასევე, ძალიან მრავალფეროვანია. არსებობს ფობიაც, რომელიც მთელ სხეულს „ითრევს”. შიშის ერთერთ ფორმად შეიძლება განვიხილოთ სიფრთხილეც. „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო”, ნათქვამია და ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუ გინდა ტკივილამდე არ მიხვიდე, ფრთხილი უნდა იყო, თუმცა, ამ სიფრთხილის უკან ლოგიკით შიში დგას, რაც იმით აიხსნება, რომ გეშინია რაღაც ცუდი არ მოხდეს და ამიტომ ხარ ფრთხილი. ასე რომ, სხვადასხვა ხარისხის შიში არსებობს — სიფრთხილე, როგორც „აკვიატებული” ფობია, ისე რეალურად საშიშ სიტუაციაზე რეაქცია. ფობიის შემცველი. იმ პირობებში, როდესაც შიშს რეალური საფუძველი აქვს და პანიკაზე აღარ არის საუბარი, თუკი ადამიანი შეინარჩუნებს ერთგულებას მორალის მიმართ და უარს იტყვის — ანგარიში გაუწიოს რაიმე საფრთხეს, რაც ელოდება (დაჭერა, ცემა, სამსახურიდან გათავისუფლება და ა.შ.), ის ვაჟკაცია და გმირია, ოღონდ ასეთი გმირები საკმაოდ ცოტანი არიან ჩვენს ირგვლივ. სტატისტიკური მონაცემებით, რეალურ საფრთხეს ადამიანები თავს არიდებენ და მეტსაც გეტყვით, ვინც არ ფრთხილობს, იგი ხშირად გვერდით მყოფების მიერ ავადმყოფადაც კი აღიქმება.

— როდესაც ელემენტარული სამსახურებრივი თუ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზეა საუბარი და, ამ შემთხვევაშიც, როცა იძულებული ხარ სიფრთხილით იხელმძღვანელო, რა გამოდის? თქვენი აზრით, გასამართლებელია იმ ადამიანების უმრავლესობა, რომელიც თავიანთ მოვალეობას შიშის ფაქტორის გამო ვეღარ ასრულებს?

— არსებობს შიში, როგორც უარყოფითი მოვლენა და შიში, როგორც დადებითი მოვლენა. მაგალითად, როცა მკაცრად მუშაობს ის კანონი, რომ თუ მოიპარავ, დაგაპატიმრებენ — ეს კარგი შიშია. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ასეთ პოზიტიურ შიშზე დგას ცივილიზაცია. პოზიტიური შიშიც შიშია, რაც ადამიანს აიძულებს — იყოს უკეთესი. ანუ, როცა ადამიანმა იცის, რომ დაისჯება, იგი თავად ზღუდავს საკუთარ თავს საიმისოდ, რომ არ ჩაიდინოს დანაშაული. უმრავლესობა არ უნდა ებრძოლოს ამ შიშის საფუძველს, რადგან სწორედ მასზე დგას სახელმწიფო.

მაგრამ, თუკი მოვალეობის პირნათლად შესრულებას ვერ ახერხებ ზემოდან წამოსული დიქტატის გამო, მაშინ საქმე გვაქვს ცუდ სახელმწიფოსთან. ანუ, უნდა შეცვალო გარე პირობები საიმისოდ, რომ მთლიანმა მექანიზმმა იმუშაოს კარგად. როდესაც ეს საკითხი ეხება შენ პირად ცხოვრებას, ადამიანმა, რასაკვირველია, უნდა იხელმძღვანელოს იმის მიხედვით, რა უფრო წამყვანია მასში — მორალი თუ შიში... მაგრამ მოთხოვნა სხვისთვის, რომ უპირატესობა მიანიჭოს მორალს და არა შიშს, ამის უფლება არ გვაქვს, რადგან ყველა ადამიანი თავისუფალია საკუთარ არჩევანში. ზოგადი გამოსავალი, სახელმწიფოში სისტემის შეცვლაა, თორემ მილიონ ადამიანს ვერ აიძულებ, სიფრთხილეზე მაღლა ნამუსი დააყენოს.

— როდესაც დღეს გამოდიან და ამბობენ — „სად იყავით აქამდე, რატომ ხმას არ იღებდით?”, ფაქტია, რომ უმრავლესობა ადამიანებისა ფრთხილობდა სხვადასხვა მოტივის გამო. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია დღეს საზოგადოების ასეთი დასინდისება ან დადანაშაულება?

— რადგან გმირობას მთელ საზოგადოებას ვერ მოვთხოვთ, ვერც იმას მოვთხოვთ ადამიანს, რომ სიმართლის დაცვისთვის საფრთხის ქვეშ დააყენოს თავისი და ახლობლების კეთილდღეობა. ვინც აღმოჩნდება ასეთი, იგი თაყვანისცემის ღირსია, ოღონდ, სიმართლეზე თვალის დახუჭვა თუ კიდევ შეიძლება ეპატიოს ადამიანს მისი პიროვნული სისუსტეების გამო, არ შეიძლება დანაშაულის პატიება — როცა სხვის უფლებებს ხელყოფ საკუთარი კეთილდღეობისთვის. სამწუხაროდ, დამნაშავეებს ახასიათებთ ჩათრევა დანაშაულში, რადგან დანაშაულში თანაზიარობა ადამიანებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. დანაშაულის ჩადენა გინდ საკუთარი და გინდ სხვისი ინიციატივით ყველა შემთხვევაში დასასჯელია, რათა დანაშაულს არ ჰქონდეს გამართლება, რათა მომავალმა თაობებმა არ ჩათვალონ იგი დასაშვებად.

ახალი სახე

„ჩემი დებულება: — პროფესორი არის სტუდენტის მსახური”

მეხუთე გვერდიდან

უცხოელი ფიზიკოსიც და ამით ძალიან ვამაყობ.

— რა იყო იმის მიზეზი, რომ ასეთი სამეცნიერო ბიოგრაფიის მქონე პროფესორმა 2006 წელს კონკურსი ვერ გაიარა?

— მხოლოდ ასაკი. მაშინ ასეთი დებულება გამოიცა და ამიტომ არც მიცდია კონკურსში მონაწილეობის მიღება, თორემ მაშინდელი დეკანი არჩილ უგულავა და ყველა ჩემი კოლეგა, პირიქით, დაინტერესებულიც იყვნენ, რომ კონკურსში მონაწილეობა მიმეღო.

— გამოდის, რომ ამ დებულებამ თქვენს სამეცნიერო ბიოგრაფიაზე დადებითადაც იმოქმედა...

— მე არ შევჩერებულვარ. 2012 წლამდე მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები მოვიარე. ლექციებს ვკითხულობდი კოლუმბიის უნივერსიტეტში, ბერკლის უნივერსიტეტში, პრისტონში, ლოს ანჯელესში, ნიუ-იორკში, ბოსტონში და კიდევ ბევრგან. ასევე ლექციები და სამეცნიერო კვლევები მქონდა იაპონიაში (30-ჯერ ვარ ნამყოფი ამ ქვეყანაში სხვადასხვა მიზნით), გამოქვეყნებული მაქვს 300-მდე შრომა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. 8 წელი ვიმუშავე იტალიის საერთაშორისო ცენტრში, სადაც მოწაფეებად ახალგაზრდა მეცნიერები ჰყავთ. იქ ერთი წელი ლექციებს ვკითხულობდი, მერე კი ცენტრის დირექტორი გახლდით. შარშან მივხვდი, რომ დავიღალე იქ ყოფნით. დავხიე კონტრაქტი და ჩამოვედი....

— როგორ ფიქრობთ, ახალი აკადემიური კონკურსით სამართლიანობა აღდგა?

— საქმე ისაა, რომ მე სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა არ შემიწყვეტია. პირიქით, აქტიურად გავაგრძელე მოღვაწეობა საზღვარგარეთ წამყვან ცენტრებში, შესაბამისად, დღესაც ჩემს დარგში ციტირების ყველაზე მაღალი ინდექსი მაქვს და კონკურენტი, ფაქტობრივად, არც მყოლია... აქ ყველა ჩემი გაზრდილია.

— თქვენ გაქვთ უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლების გამოცდილება. ამიტომ საინტერესოა, რა სიახლეების შემოტანას აპირებთ სასწავლო პროცესში? რა არის ის, რითაც უფრო ეფექტური გახდება თქვენი საგნების სწავლება სტუდენტებისთვის?

— ძალიან მცდარია აზრია, რომ რომელიმე უცხოური უნივერსიტეტი ჩვენსას სჯობს. აქ ძალიან მოდურია ახლა მოსაზრება, რომ რადგან მავანმა უცხოური უნივერსიტეტი დაამთავრა, მეტი იცის. ჯერ ერთი, ვიცი, რომ ბევრმა მათგანმა ესა თუ ის უნივერსიტეტი კი არ დაამთავრა, არამედ კურსი მოისმინა. მათ შორის შეიძლება ერთი-ორი მართლა ნიჭიერი და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი რამით მეტნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე.

ჩემი დებულება ასეთია — პროფესორი არის სტუდენტის მსახური. რას ნიშნავს სტუდენტის მსახურება? იმას, რომ მას კარგი, მაღალკვალიფიციური ლექციებიც უნდა წაუკითხო, ანუ ღრმა თანამედროვე ცოდნა მისცე. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლექტორი აქტიური მეცნიერია. ლოგიკურია — ლექტორი რომ იყო, ყველაფერი კარგად უნდა გესმოდეს, უნდა იცოდე, რა სიახლეებია შენს დარგში. სამწუხაროდ, ეს მხარე ჩვენთან ცოტა მოიკოჭლებს და ამას გამოსწორება უნდა.

— თქვენი აზრით, რა არის იმისთვის აუცილებელი, რომ ჩვენთან სამეცნიერო კვლევების დონე და ხარისხი ამაღლდეს?

— ამისთვის მაგალითად მოვიყვან დისერტაციების დაცვის დღევანდელ პრაქტიკას. წარმოუდგენელია, რომ სამეცნიერო ნაშრომი კაცს გამოქვეყნებული არ ჰქონდეს და დისერტაციას იცავდეს. არადა, აქ ასეც ხდება.

ამ პრობლემის თაობაზე აკადემიაშიც განვაცხადე, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია, რადგანაც მთავრობიდან მოდიოდა ასეთი მოთხოვნა. თუ ქვეყანაში განათლება და მეცნიერება მაღალ დონეზე არაა, ეს ქვეყანა ვერ შედგება. ვფიქრობ, ჩვენ ალბათ დავსვამთ საკითხს და ბევრი რამის გადახედვაც დაგვჭირდება.

მეცნიერების დონის ამაღლების აუცილებლობაზე თითქმის ყველა ქვეყანა ზრუნავს. მაგალითად, ჩინელმა რომ საერთაშორისო ჟურნალში სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს, ამისთვის 500 დოლარს უხდიან. მე პაკისტანშიც ვმოღვაწეობდი და იქაც ასეთი დამოკიდებულებაა. ამიტომ, სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ. არ შეიძლება ჩვეულებრივ, არარეიტინგულ გაზეთსა და ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია სტატიად ჩაითვალოს და დისერტანტს პლუსად ჩაეთვალოს.

ამ პრობლემის თაობაზე აკადემიაშიც განვაცხადე, მაგრამ ყურადღება არავის მოუქცევია, რადგან ეს მთავრობის გადაწყვეტილება იყო. არადა არაკვალიფიციური დოქტორები ახერხებენ უნივერსიტეტში მაღალი აკადემიური თანამდებობების დაკავებას და ღუპავენ მომავალი პედაგოგისა და მეცნიერ-ინჟინრების ნიჭიერ თაობებს. თუ ქვეყანაში განათლება და მეცნიერება მაღალ დონეზე არაა, ეს ქვეყანა ვერ შედგება. ჩემი ღრმა რწმენით, ამ სფეროში ბევრი ძირეული საკითხია გამოსწორებული.

— შესაძლებელია თუ არა საქართველოშიც გამოვიდეს მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალი?

— ამისთვის საჭიროა დარგს ჰყავდეს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, რომელიც ამას თავის თავზე აიღებს. დღეს ამის პერსპექტივა ჩვენთან ნაკლებია, ამიტომაც ჯერ ორიენტაცია პრესტიჟულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებზე უნდა ავიღოთ.

გახსენება

რევაზ სირაძის ღვაწლი და განშორება



თავისი წუთისოფლის გზა რევაზ სირაძემ შესაშური სიდარბაისლით გაიარა. როგორც ჩანდა, ერთს შთაგონებას, ერთს აღტაცებას თავიდანვე დაეპყრო მისი არსება — შთაგონებას კაცად ყოფნისა. ან კერპის წინაშე მას არასოდეს შეუცოდავს, ქურუმის თავმოდრეკილობით ემსახურებოდა. ძლიერთა ამა ქვეყნისათა კალთას შეუფარებლად ჰკაფა ეკლიანი გზა და ავჟამიანობის პირობებშიც სიმაღლეებს ისე მიაღწია, რომ ლაფის ერთი წვეთიც არ შესხმია, სინდისთან კომპრომისზე არ წასულა. ჩალიჩითა და მდაბალი საქმიანობით მოპოვებული მიღწევები ცხადად იჩრდილებოდა კეთილშობილების იმ შუქზე, იმ სინათლის შუქზე, ასე ძალუმად რომ მოდიოდა მისი სულის სიღრმიდან. რაც ღმერთმა და ბუნებამ მიჰმადლა ძალად და მადლად, უშურველად ხარჯავდა; ნაჯაფი და დამწვარი, მაგრამ პირნათელი მიუვა უფალს და დედ-მამას.

უნივერსიტეტის კედლებში ნახევარი საუკუნე ემსახურა ბატონი რეზო ქართველი ახალგაზრდობის თაობათა წყებას, ქართველად და ქრისტიანად მათ აღზრდას. რევაზ სირაძის აუდიტორიაში ყოველთვის იდგა სითბო მისი ანთებული გულისა, ზნეობრივი კეთილშობილებისა, რომელთა გარეშე ყოველგვარი სწავლება ჭკუა-გონების უგრძნობ და მშრალ წვრთნად გადაიქცევა ხოლმე.

ადამიანობის, სიმართლის უშუალო მასწავლებელი იყო აუდიტორიის გარეთაც, ცხოვრებაში. ხომ ვერავინ დაივიწყებს იმას, რომ რევაზ სირაძე იყო გამმართლებელი იმ სიყვარულისა, რომლითაც ქართული მწერლობით, კულტურით შთაგონებული ახალგაზრდობა მოდიოდა უნივერსიტეტში ნახევარი საუკუნის სიგრძეზე. მრავალ მათგანს თავად შემოუძღვა ეროვნული მწერლობისა და მეცნიერების სამსახურში, ვითარცა ხელდამსხმელი და ჭირისუფალი.

დღეს ძველი ქართული ლიტერატურის წვდომა და კვლევა პერსპექტიული ვერ იქნება რევაზ სირაძის მონაპოვართა მომარჯვების გარეშე. მათ გვერდს ვერ ავუვლით მაშინაც, თუ ვერ ვეთანხმებით. ასეთ შემთხვევაშიც ზნეობრივად ჯანსაღმა ხმამ შეიძლება გვიკარნახოს, რომ ახალი თვალთახედვისკენ, ჩვენ რომ გამოვთქვამთ, ძველმა გვიბიძგა, ეგებ, გარკვეული აზრით, კიდეც დაგვაკვალიანა.

მრავალწახნაგოვანი და მრავლისმეტყველია რევაზ სირაძის მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი ლიტერატურათმცოდნეობის მშვენიერი ნიმუშიცაა და ადამიანთმცოდნეობის ავტორიტეტული მოძღვარიც.

და როცა ასეთ მეცნიერს ვეთხოვებით, მისი დიდი და მრავალწახნაგოვანი მემკვიდრეობის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს, ნიშანსვეტის მნიშვნელობა რომ აქვთ, მივაპყრობთ ყურადღებას, რათა მოაზროვნე ქართველობამ მოიხმაროს იგი, ჩვენი დაბეჩავებული განათლებისა და მეცნიერების აღსადგენად.

რევაზ სირაძეს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მან თითქმის თხუთმეტ წლოვანი დაკვირვების და ძიების კვალობაზე დააგროვა არგუმენტები იმისა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიას უნდა ვიწყებდეთ არა „წმინდა შუშანიკის წამებით“, არამედ „წმინდა ნინოს ცხოვრებით“; წინ დაგვიდო მონოგრაფიულად გამოკვეთილი ისტორია ქართული თეორიულ-ლიტერატურული ესთეტიკური აზროვნებისა; ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში დაუნჯებული ისეთი ლიტერატურული ფასეულობები დაგვანახა, ჯანსაღ სიქადულს რომ აღძრავს;

მან 1996 წელს უნივერსიტეტში დააფუძნა ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების კათედრა, ხოლო 2000 წელს გამოაქვეყნა ეროვნული მსოფლშეგრძნების ფესვებსა და მრავალსაუკუნოვან ნაყოფიერებაზე სანიმუშოდ მეტყველი მონოგრაფია — „ქართული კულტურის საფუძვლები“.

რევაზ სირაძემ გააცოცხლა და ცხადყო, რომ ხელოვნებისა და კულტურის რაობის, სულიერი ძალმოსილების ფუნდამენტის არსის ყველაზე ღრმად და პერსპექტიულად გამომვლენ-განმსაზღვრელი კატეგორიაა „სახისმეტყველება“. ქართული პარადიგმული სახისმეტყველებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით მეცნიერმა გამოკვეთა სახისმეტყველებითი თვალთახედვის მომარჯვების სამომავლო პერსპექტივებიც.

„სახისმეტყველება“ ჰქვია ბატონი რევაზის ერთ წიგნს, რომელიც აგერ სამი ათეული წელია ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მშვენიერების საუფლოში შესასვლელ გზას უკაფავს. „რად მოსწონს ადამიანს ნისლის წარმოდგენა მთების ფიქრად?“ - თითქოს სულ უბრალო კითხვას სვამს წიგნის ავტორი და იქვე განმარტავს: „ამის მიხვედრა უფრო ძნელია, ვიდრე ნისლის წარმოშობის ნამდვილი მიზეზების გაგება“. სანატრელი უბრალოების ფორმით ამ „ძნელი მისახვედრის“ მიხვედრაში შეიძლება გაიწაფონ ჩვენი ახალგაზრდები (და არა მხოლოდ ახალგაზრდები). ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ჩოხატაურის საშუალო სკოლაში ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავის ზეიმზე ვუსმენდი მოწაფეებს, ამ წიგნით რომ გაეწვრთნა პედაგოგს.

რუსთაველის ესთეტიკისა და „ქართული კულტურის საფუძვლების“ მკვლევარი ფაქიზად გრძნობს ამ სფეროთა პირობით ავტონომიურობას, ფუნდამენტის ერთობას (ეროვნული ხასიათი და ქრისტიანული სარწმუნოება). „კულტურის რაობის წვდომას ვერ შევძლებთ, — ბრძანებს ბატონი რევაზი, - თუ არ გავითვალისწინებთ პიროვნების განუმეორებლობის შეგრძნებას და შეგრძნებას უბრალოების ფასეულობისა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების სახეთა რაობა არსებითად ვლინდება არა სამეფო კარის ატმოსფეროში, არამედ უშუალოდ ბუნების ფონზე, სამეფო პალატებიდან შორს, ცისქვეშეთში, სადაც ყოველგვარ აზრს კარგავს პიროვნებათა რეგალიები და რჩება მხოლოდ წმინდა კაცად-კაცური და ქალად-ქალური ღირსებანი; რჩება ის, რაც მათ მიანიჭა ღმერთმა და არა სამეფო კარმა“.

როცა „ქართული კულტურის საფუძვლების“ ავტორი ეროვნული კულტურის წიაღში მიგვიძღვის, ვრწმუნდებით, რომ თვით პურობაც კი, აგრერიგად მატერიალური (ფიზიოლოგიური რამ), სულიერებით უნდა გაშინაარსდეს. ერთობ საგულისხმო შინაარსით წარმოჩნდება ოჯახიშვილობა, ვითარცა კულტურული ფენომენი; პიროვნების, ვითარცა სუბიექტის, რაობა საზოგადოების წინაშე და ა.შ.

სანიმუშო აკადემიზმით აღბეჭდილ გამოკვლევას „დავითიანი და ბიბლია“ კარგა ხნის შემდეგ მოჰყვა ისევ დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი „გზა და ლაბირინთი“. აქ „დავითიანის“ ავტორის სულის ნატიფი ვიბრაციებია მოხელთებული, ქვეტექსტში რომ ამოუკითხავს მეცნიერს. საუბარია პოეტის „აბსურდული ცხოვრებისა“ და „აბსურდული ლაბირინთის“ შესახებ. ნათქვამია, რომ დავით გურამიშვილი თავისი ცხოვრებით ჩარჩა იმ ლაბირინთში, მაგრამ მას თავი დააღწია „დავითიანმა“. აქ ქვეტექსტების მიღმაც გავყავართ ესეს ავტორს, წიგნის შვილად მიმჩნევი პოეტის ინტუიციასაც უახლოვდება და გვაახლოებს.

შუა საუკუნეების ქართული მწერლობისა და კულტურის ფუნდამენტზე ერთობ მყარად მდგარმა რევაზ სირაძემ დაგვიტოვა მშვენიერი ნარკვევები ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, რევაზ ინანიშვილის, ნიკო სამადაშვილის, ბესიკ ხარანაულის, აკა მორჩილაძის შემოქმედების შესახებ.

ხოლო ჩინგიზ აიტმატოვის რომანი-ტრაგედიის — „საქონდაქრე“ — რევაზ სირაძისეულ ანალიზში გაერთიანებული ლიტერატურათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ერუდიცია და ნიჭი წარმატებით კაფავს მისასვლელს აიტმატოვის ჩანაფიქრის შუაგულისკენ: „სამყაროს კატასტროფისაკენ მხოლოდ ადამიანს მიჰყავს, — იტყვის ბატონი რეზო, — მან დაანგრია ბუნება მასში ათასგვარი არაბუნებრივი რამის შემოტანით: გააფუჭა მიწა, დაანაგვიანა წყალი, მოწამლა ჰაერი, არაბუნებრივი ხმებით აავსო გარემო.“ ყოველივე ამის მწერლური აღქმა ბადებს გამაფრთხილებელ კითხვას: ხომ არაა ეს ხვალინდელ უარეს უბედურებათა მიმანიშნებელი დღევანდელობაში? „საქონდაქრე“ რომანი-გაფრთხილებაა.

აზროვნებისა და ძიების ასეთი სივრცეების გადამწვდომი მზერით დაჯილდოებული კაცი მივაბარეთ მიწას. რევაზ სირაძისთვის ლიტერატორობა პროფესია კი არა, სიცოცხლე იყო. განა ამის დასტური არაა, რომ ცეცხლში გამომწვარი კაცი სიკვდილის კარიბჭესთან მეუღლეს ეტყვის: ჩემს კარადაში ახალი ნაწერებია, იმას მოუარეთო.

ბატონი რეზო ოჯახისა და მეგობართა იმედისა და სიქადულის იშვიათი წყარო იყო. მეგობრული სერობის მშვენება იყო მისი სიმღერა და იუმორი. მეგობრული სერობა კი საკუთარი და მოძმის გულის კართა გასახსნელად ესურვილებოდა.

არ ვიცი, რა დავარქვა იმას, რაც ამ დღეებში ამოცურდა ჩემი მეხსიერებიდან, ჟამთა სინათლისა და ჟამთა სიავის ამგვარ მონაცვლეობას: მე და რევაზ სირაძემ ერთად გავიარეთ და დავამთავრეთ უნივერსიტეტის ასპირანტურის კურსი. პედაგოგის დანიშნულებით ერთ დღეს შევედით აუდიტორიაში ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე — I კორპუსის 109-ე აუდიტორიაში – რევაზი, 110-ე აუდიტორიაში – მე. ეს იყო 1962 წლის 3 სექტემბერი. ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2012 წლის სწორედ 3 სექტემბერს ცეცხლმა იმსხვერპლა რევაზ სირაძე.

წავიდა და ჩვენ დაგვტოვა თავის სიუხვეთა და სათნოებათა მემკვიდრეებად. ამ მემკვიდრეობის დატოვებითაც დიდ სიკეთეს მოგვაგებს: კაცად ყოფნის მძიმე და ტკბილ ტვირთს გვანდობს.

ძმაო და ბატონო რეზო!

შენს სიახლოვეს მყოფთ წუთისოფლის ბინდისგვარობა გვავიწყდებოდა, ყოფნა ამქვეყნად, ფასიანდებოდა. გმადლობთ.

წახვედით და თან მიგყვებათ ჩვენის ცრემლებით განედლებული სიყვარული. ზეცა გფარავდეს, შენ აღასრულე შენი ვალი!

გრივერ ფარულავა

„ბატონი რევაზ სირაძე ჩვენი გაზეთის რედაქციასაც ახსოვს — მისეული თავმდაბლობითა და მორიდებული ღიმილით გვესაუბრა იგი პოეზიასა და ლიტერატურაზე, „არაპოპულარობის ხიბლზე“, დიდი ადამიანების მხრებზე შემდგარ დღევანდელობაზე...

ეს იყო თითქმის ერთი წლის წინ.

მას შემდეგ ამ რედაქციას ბატონი რევაზის მუდმივი ყურადღება ახლდა თან: უხაროდა და ბავშვივით ლაღობდა იმის აღნიშვნისას, რომ მრავალჯერ გულნატკენს მცირეოდენ მალამოდ მოეფინა ჩვენი უსაზღვრო პატივისცემა მისი ღვაწლისა. მაშინ ვწერდით: თუ ვინმე ბატონი რევაზ სირაძის პიროვნებასთან მიახლოებას დააპირებს, კარგად უნდა ფლობდეს დუმილის ენას-თქო. არც შევმცდარვართ – დუმილი მისი ფილოსოფია იყო, მისი გასაღები. აკი, ასევე დაგვმოძღვრა: „დუმილი არაა სათქმელის უქონლობა, დუმილი არის ყველაზე დიდი სათქმელის არ თქმა“.

ბევრისგან გაგვეგონა, რომ რევაზ სირაძის სადარი მოაზროვნეები ცოტაღა შემორჩა ფილოსოფიურ ფიქრთა დარაჯებს; ვკითხულობდით და ვიზრდებოდით მის „სახისმეტყველებაზე“, მის ნააზრევზე; ვეთაყვანებოდით მის სასადავეს, ბედნიერების შეგრძნების ნიჭს, ამავე ნიჭის სხვათათვის ჩუქების მადლიან ბუნებას...

მან ერთგან თქვა – პოეზია სიკვდილამდე გაცოცხლებს და სიკვდილი ჯერ არავის დაუძლევიაო. ვერც მან დასძლია, თუმცა ჩვენ დაგვიტოვა სიკვდილამდე სიცოცხლის ჟინი.

სამწუხაროდ, დასრულდა კიდევ ერთი დიდი ეპოქა საქართველოში – რევაზ სირაძის ეპოქა... თუმცაღა, არა, კი არ დასრულდა, მხოლოდ ახლაღა ირღვევა დუმილი, რადგანაც სანამ იარსებებს ქართული მსოფლმხედველობა, სანამ იარსებებს ქართული გონი, მანამ გაჰყვება მის ნაპირებს რევაზ სირაძე, როგორც მეცნიერებისა და ადამიანებთან ურთიერთობის პოეზიის მესაძირკვლე“.

აქვე გვინდა, მადლობა მოვახსენოთ ბატონ გრივერ ფარულავას „სახისმეტყველების” ავტორზე მეტყველ ფიქრთა მოწოდებისთვის და ორიოდ სიტყვით უნივერსიტეტის გაზეთის წვლილის ასეთი შეფასებისთვის: „მადლობა თქვენ, რომ ავჟამიანობის დროსაც კი სიმართლისკენ ამჟღავნებთ სწრაფვას“...

მაია ტორაძე

ქ რ ო ნ ი კ ა

იტალიელ და ქართველ მათემატიკოსთა თანამშრომლობა გრძელდება

იტალიელ და ქართველ მათემატიკოსებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ვადა კიდევ 5 წლით გაგრძელდა. ევროპულ უნივერსიტეტებთან მჭიდრო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონტაქტები, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები — ეს ის პრიორიტეტული არეალია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის წლიდან წლამდე ფართოვდება. ამგვარი კონტაქტები არის ის ამოსავალი წერტილი, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი აქტიურად ებმება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და გზას უხსნის ერთი მხრივ ევროპული განათლების შემოდინებას საქართველოში, მეორე მხრივ კი - ქართველ სტუდენტთა და პროფესორთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გაფართოებას.

იტალიის ქალაქ სალერნოს უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის უკვე წლებია არსებობს პარტნიორული ურთიერთობები. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ქართველი სტუდენტები, ასევე, პროფესორ-მასწავლებლები რასმუს უნდუს-ის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამის ფარგლებში თითქმის ყოველ წელს სტუმრობენ სალერნოს უნივერსიტეტს.

2007 წელს ამ კონტაქტების კიდევ მეტად დაახლოებას შეუწყო ხელი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკისა და მათემატიკის დეპარტამენტსა და სალერნოს უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მათემატიკის დეპარტამენტს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ, რომელსაც ქართული მხრიდან წარმოადგენდა პროფესორი რევაზ გრიგოლია, ხოლო იტალიის მხრიდან პროფესორი ანტონიო დი ნოლა.

პროექტი ითვალისწინებდა სტუდენტთა და მეცნიერ-თანამშრომელთა გაცვლას, საერთო სამეცნიერო კვლევების წარმოებას, საერთაშორისო კონფერენციებში ერთობლივი სამეცნიერო მოხსენებებით გამოსვლას, ასევე, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-რეალიზაციას ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.

ხელშეკრულების საფუძველზე ბევრი სასიკეთო პროგრამა განხორციელდა. გამოქვეყნდა რამდენიმე ერთობლივი სამეცნიერო სტატია, მჭიდრო კავშირები დამყარდა დეპარტამენტისა და მთლიანად ფაკულტეტის სხვა მეცნიერ-თანამშრომლებს შორის, ხოლო თსუ-ის ორი სტუდენტი, ამ თანამშრომლობის ფარგლებში, ერთი წლით იყო მივლინებული სალერნოს უნივერსიტეტში.

რამდენიმე დღის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა სალერნოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობა ინფორმატიკისა და მათემატიკის დეპარტამენტის დირექტორის, პროფესორანტონიო დი ნოლას და სალერნოს უნივერსიტეტის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მარია ტრანსირიკოს შემადგენლობით. მათი ვიზიტის მიზანი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების შეჯამება-გაანალიზება, ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება და თსუ-სა და სალერნოს უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

სალერნოს უნივერსიტეტი დიდი ისტორიის მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც საფუძველს VIII-X საუკუნეებიდან იღებს (ამ პერიოდში იტალიაში არსებობდა ცნობილი მოძრაობა სალერნიანა – რომელიც ძირითადად სამედიცინო სფეროს ეხებოდა, მაგრამ სწორედ ეს იყო სალერნოს უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საფუძველი). უკანასკნელ პერიოდში, სამხრეთ იტალიის განვითარების პროექტის ფარგლებში, ამ უნივერსიტეტის განვითარებაში დიდი თანხები ჩაიდო. პროგრამის მიზანი იყო უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო მიმართულებით განვითარება. შედეგად მიიღეს ის, რომ სალერნოში არის ძალიან ძლიერი მათემატიკური, საინჟინრო და სხვა სამეცნიერო სკოლები. დღეს ამ უნივერსიტეტთან სამეცნიერო ურთიერთობები ყველა დარგის სპეციალისტისთვის საინტერესოა და ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პროფესორებმა რევაზ გრიგოლიამ და ანტონიო დი ნოლამ ინფორმატიკისა და მათემატიკის მიმართულებით სერიოზულ ურთიერთობებს დაუდეს სათავე.

ანტონიო დი ნოლა, სალერნოს უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მათემატიკის დეპარტამენტის დირექტორი, პროფესორი:

„ბატონი რევაზ გრიგოლია 1992 წელს ავსტრიის ქალაქ ლინდსში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე გავიცანი. მან იქ ძალიან საინტერესო მოხსენება წარმოადგინა. ამ კონფერენციაზე ჩვენი სამეცნიერო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და შევეცადეთ თანამშრომლობა კიდევ მეტად გაგვეღრმავებინა, რასაც ძალიან კარგი შედეგები მოჰყვა. 2007 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სალერნოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ინფორმატიკისა და მათემატიკის დეპარტამენტების ერთობლივი კვლევების საფუძველზე ბევრი სამეცნიერო პროექტი განხორციელდა, გამოქვეყნდა რამდენიმე ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი ლოგიკურ და გამოყენებით მათემატიკაში. ამ ხელშეკრულებას წელს 5 წელი შეუსრულდა და გვინდა კიდევ გავაგრძელოთ ის, რადგანაც გაჩნდა კვლევების კიდევ მეტად გაფართოების საშუალება“.

ილია თავხელიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

„ჩვენი თანამშრომლობა პროფესორ მარია ტრანსირიკოსთან ახალი დაწყებულია, მაგრამ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში — „გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა და მექანიკა“ — უკვე გამოსაქვეყნებლად გადაცემულია ერთი ნაშრომი. ამ ნაშრომში ჩვენ, ქართველ მედიკოსთან, პროფესორ მამანტი როგავასთან და ჰოლანდიელ მეცნიერ დიეგო კარატელისთან ერთად შევისწავლეთ ცოცხალი ორგანიზმის ერთერთი მოდელი. ანუ, თსუ-სა და სალერნოს უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა მხოლოდ ერთთემატური არ არის. ჩვენ ვცდილობთ სხვადასხვა მიმართულება მოვიცვათ და მეცნიერებისთვის საინტერესო გავხადოთ იტალიელ კოლეგებთან თანამშრომლობა. ამისთვის მთავარია, მათი ინტერესები და საკვლევი თემატიკა ერთმანეთს დაემთხვეს“.

მარია ტრანსირიკო, სალერნოს უნივერსიტეტის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

„ეს არის პირველი შეხვედრა ძალიან ძლიერი და ცნობილი ნეაპოლიტანური მათემატიკური სკოლისა ასევე ძლიერ ქართულ მათემატიკურ სკოლასთან. ამ შემთხვევაში ჩემი და პროფესორ ილია თავხელიძის ინტერესები მათემატიკურ ანალიზში, კერძოდ კი, კერძო წარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების მიმართულებით, ერთმანეთს დაემთხვა და ამის შედეგად შეიქმნა კიდეც საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი. მომავალში ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ თანამშრომლობაში მეტ სტუდენტს ჩავრთავთ, უფრო გაძლიერდება ურთიერთობები და ეს თანამშრომლობა ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც იყო წარმატება მათემატიკური ლოგიკის სფეროში, რომელსაც ბატონებმა რევაზ გრიგოლიამ და ანტონიო დი ნოლამ ჩაუყარეს საფუძველი“.

სალერნოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ინფორმატიკისა და მათემატიკის დეპარტამენტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

მაია ტორაძე



უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის პროგრამა

IREX
Make a Better World

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) აცხადებს კონკურსს 2013 წლის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის პროგრამაზე და იწვევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშუალო და მაღალი რანგის მმართველებს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოში IREX-ის პროგრამის კოორდინატორის ეკა ყუფუნიას ინფორმაციით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს, სომხეთის, ბელორუსიის, განას, ტანზანიისა და უგანდას უნივერსიტეტებში ადმინისტრირების გაუმჯობესებას. პროგრამის მონაწილეთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. კონკურსში გასულ უნივერსიტეტის საშუალო და მაღალი რანგის მმართველებს საშუალება ეძლევათ გაემგზავრონ ამერიკაში რვა კვირიანი პროგრამის ფარგლებში და იმუშაონ ამერიკის უნივერსიტეტებში კონკრეტული უნივერსიტეტის რეფორმის პროექტზე. ამერიკაში ყოფნის პერიოდში პროგრამის მონაწილეებმა უნდა აწარმოონ კვლევა რომელიმე კონკრეტულ რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხზე, რომელიც პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტებში გავრცელდება.

„მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პროგრამა სრულად დაფინანსდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურსში გამარჯვებულებს აუნაზღაურდებათ მგზავრობის ხარჯები საცხოვრებელი ქალაქიდან მასპინძელ უნივერსიტეტამდე, ისინი, ასევე, უზრუნველყოფილნი იქნებიან საცხოვრებელი ფართით. თითოეულს დაენიშნება ყოველდღიური სტიპენდია დღეში 40 ამერიკული დოლარის ოდენობით, დამატებით კი მიიღებენ 1000 ამერიკულ დოლარს საგანმანათლებლო მასალების შესაძენად, კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად ან პროფესიულ კავშირებში გასაწევრიანებლად“, — განაცხადა ეკა ყუფუნიამ.

აღსანიშნავია, რომ საგრანტო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის პროგრამის კურსდამთავრებულთათვის სპეციალურად გათვალისწინებულია დაფინანსება იმ კონკრეტული პროექტებისა, რომელიც IREX-ს წარედგინება.

საქართველოდან პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი უნივერსიტეტები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეკა ყუფუნიას ინფორმაციით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდამჭერი პროგრამის 2013 წლის რაუნდზე განცხადებების მიღება 18 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

შურთხია ბეროშვილი

უცხოელ ლექტორთა ლექციები თსუ-ში

ახალი სასწავლო წლიდან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასიამოვნო სიახლეა. წელს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის ლექციებს წაიკითხავენ ოქსფორდის, ბირტეკის, მაასტრიხტის, ოსლოს, არიელის, ბრემენისა და ბოლონიის უნივერსიტეტების ლექტორები, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტში ოქტომბრიდან უკვე შეუდგნენ საქმიანობას.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის გიული შაბაშვილის ინფორმაციით, წელს ქართველ სტუდენტებს საინტერესო სემესტრი ელოდებათ, რადგან მათ შესაძლებლობა მიეცემათ, დაესწრონ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორთა ლექციებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლექციების მოსმენა ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეეძლება, რადგან დასწრება თავისუფალია. ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდება გამოცდებიც, რის შემდეგაც ისინი სერტიფიკატს მიიღებენ“, — აღნიშნა გიული შაბაშვილმა.

სტუდენტებს ოქტომბრიდან შეუძლიათ დაესწრონ პროფესორების: რუვენ ენოხის (ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის საკითხები), ლუის ბუნის (საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში: მსოფლიო საკვანძო საკითხები), კარლ შმიტის (ინგლისური ლიტერატურა), სუზან ჯეკსონის (ტრანსფორმაციები: ფემინისტური კვლევები და პედაგოგიური მიდგომები), პაოლო ბიაჯის (ევროპისა და არაბეთის ზღვის პრეისტორია), ინგებორგ ტონის (ენის სწავლების სპეციალური ასპექტები), ანა სონჩინის (ფრანკოფონიური ლიტერატურა), ტასილო შმიდტის (მიკენოლოგია) და ჯან პაოლო რენლოს (ინფორმატიკა და ლიტერატურა) ლექციებს.

შურთხია ბეროშვილი

ქ რ ო ნ ი კ ა

300 წელი პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან

მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმი — „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც ქართველი ერისათვის უმნიშვნელოვანეს თარიღს — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი გამოცემის 300 წლისთავს მიეძღვნა, 26-28 სექტემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა.

როგორც ღონისძიების გახსნაზე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ირმა რატიანმა აღნიშნა, საიუბილეო თარიღი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 1712 წელს ვახტანგ VI-ის მიერ განხორციელებული გამოცემით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარებას. გვიანდელ შუა საუკუნეში შექმნილი ეს ძეგლი ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მოექცა მსოფლიო მედიევისტიკის ყურადღების ცენტრში, რამაც გააფართოვა ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ საერთაშორისო ასპარეზზე.

„1712 წლის გამოცემებზე დართული ვახტანგ VI-ის „თარგუმანებიდან“ (კომენტარებიდან) მოყოლებული, რუსთველოლოგიაში არაერთი პრობლემატური საკითხი გამოიკვეთა, რომლებიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება — ეს არის, პირველ რიგში, ჟანრის პრობლემა, ავტორის მსოფლმხედველობრივი, ეთიკური თუ ესთეტიკური სისტემის რაობა; „ვეფხისტყაოსნის მიმართება შუა საუკუნეების დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურასთან; „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში და ა.შ. დღეს, ინტერკულტურული მზარდი განვითარებისა და გაღრმავების ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალურია ნაციონალური ლიტერატურული მოდელების ღირებული ჩართვა ფართომასშტაბიან კულტურულ დიალოგში“, — აღნიშნა ირმა რატიანმა.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელმა მკვლევარებმაც მიიღეს მონაწილეობა, ძირითადად შემდეგ სამეცნიერო პრობლემატიკაზე გაკეთდა აქცენტი: ქართული ლიტერატურის ადგილის განსაზღვრა შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესების კონტექსტში; ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივი კულტურულ-ლიტერატურული ტენდენციების გააზრება დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურის ჭრილში; „ვეფხისტყაოსნის“ კვლევებში თანამედროვე თვალსაზრისების გამოვლენა და სხვა.

ირმა რატიანის თქმით, სიმპოზიუმის ორგანიზატორებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ რუსთაველის ტექსტის გამოცემის საიუბილეო თარიღს წელს დაემთხვა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო თარიღი — 2012 წელს შესრულდა 70 წელი ინსტიტუტის დაარსებიდან.

შურთხია ბერეშვილი

მსოფლიო ინსულტის ორგანიზაციის მე-5 რეგიონიული შეხვედრა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის, მსოფლიო ინსულტის ორგანიზაციის, ევროპის ინსულტის ორგანიზაციის, საქართველოს ინსულტის ასოციაციის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ამერიკის ნეიროგამოსახულების ასოციაციის და საქართველოს მეცნიერებისა და ბიზნესის ასოციაციის ეგიდით სექტემბრის ბოლოს გაიმართა მსოფლიო ინსულტის ორგანიზაციის მე-5 რეგიონიული შეხვედრა „თბილისი 2012: ინსულტის პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“.

შეხვედრა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

„ჩვენ ვიწყებთ ძალიან საინტერესო კონფერენციას, რომელიც მიეძღვნება ინსულტის, როგორც დაავადების როლის, ადგილის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პრევენციის და სხვა ასპექტების შესწავლას“, — განაცხადა მან.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელმაც გამოსვლაში აღნიშნა, რომ სასიხარულოა ამგვარი წარმომადგენლობითი ღონისძიების თბილისში გამართვა.

„ჩვენ ვცდილობთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლისა და სწავლების ხარისხი მაქსიმალურად მაღალი იყოს. გვინდა გამოვიყენოთ კვლევის, სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების ყველა მეთოდი, რათა ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მაღალი კვალიფიკაციის თანამედროვე სამედიცინო ცოდნით აღიჭურვონ“, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მეცნიერთა მოსაზრებების გაცნობა ინსულტის მკურნალობისა და პრევენციის თაობაზე სამინისტროსთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იმის ცოდნა, თუ რამდენად მორგებული იქნება მისი მკურნალობა სადაზღვევო პაკეტზე, გააადვილებს პროგრამის ქმედუნარიანობას.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე.

კონფერენციაზე გამომსვლელმა მეცნიერებმა ისაუბრეს ინსულტთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მის პრევენციაზე, ასევე, დაავადების მკურნალობის ახალ მეთოდებსა და თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე.

კონფერენციას ესწრებოდნენ მედიკოსები საქართველოდან, შვედეთიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან, ესპანეთიდან, ფინეთიდან, პოლონეთიდან და ავსტრიიდან.

იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში

იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობიდან 20 წელი გავიდა. ეს მნიშვნელოვანი თარიღი საქართველოში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა. „იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში“ — ასე ჰქვია თსუ-ის პროფესორის, იაპონისტიკის მიმართულების ხელმძღვანელის ნანა გელაშვილის მონოგრაფიას, რომლის პრეზენტაცია 28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.



როგორც ღონისძიებაზე წიგნის რედაქტორმა, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა აღნიშნა, ნაშრომი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ახალი სიტყვაა. მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ მკითხველი ამ საოცარი ქვეყნის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს. წიგნი 10 თავისგან შედგება, რაც მოიცავს იაპონიის ისტორიასა და კულტურას. ეს წიგნი შესაძლოა იქცეს მნიშვნელოვან გზამკვლევად ყველასთვის, ვისაც იაპონური სამყარო აინტერესებს.

„ჩემთვის ამ წიგნის რედაქტორობა დიდი პატივი იყო. ბედნიერება მქონდა, იაპონიაში რამდენიმე წელი მეცხოვრა და კარგად ვიცნობ იმ ნიუანსებს, რომელიც ქალბატონ ნანას ასე საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ნაშრომი ეფუძნება სანდო და სწორ ინფორმაციას იაპონიის ისტორიისა და კულტურის შესახებ. წიგნში, ასევე, გაშუქებულია მნიშვნელოვანი საერთაშორისო ურთიერთობები ევროპასთან და დანარჩენ სამყაროსთან, რასაც იაპონელები დიდ უპირატესობას ანიჭებენ. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იაპონელების ინდივიდუალურ ესთეტიკას. ეს ადამიანები იმ სილამაზესაც ხედავან, რომელიც ზედაპირზეც კი არ ჩანს და, ამავე დროს, ისინი აღიქვამენ სამყაროს ისე, როგორიც ის არის — ეს სულისკვეთება წიგნში შენარჩუნებულია“, — აღნიშნა ირმა რატიანმა.

პრეზენტაციაზე წიგნის შესახებ თავისი მოსაზრება დამსწრე საზოგადოებას საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტმა კარლო ქველაძემაც გაუზიარა.

„მონოგრაფია — „იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში“ უდავოდ საინტერესო მოვლენაა საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ პროფესორმა ნანა გელაშვილმა 1990 წლიდან მოყოლებული კომპლექსურად დაიწყო იაპონური ფენომენის შესწავლა და ლექციების კითხვა ამ ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და რელიგიის შესახებ. იმ დროდან მოყოლებული ქალბატონმა ნანამ შეისწავლა მასალები და მათზე დაყრდნობით მრავალ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს აქვეყნებს, მათ შორის: „შინტოიზმი, როგორც იაპონური უძველესი ეროვნული რელიგია“, „იაპონური რელიგიის სათავეებთან“, „იაპონური კულტურა“ და სხვა. რაც შეეხება ახალ ნაშრომს, იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი გვთავაზობს იაპონიის ისედაც რთული და მრავალწახნაგოვანი ცხოვრებისა და ეპოქების ღრმა ანალიზურ კვლევას ქრონომეტრალურ რეჟიმში. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ მკითხველს, ვისაც შორეული აღმოსავლეთისა და, კერძოდ, იაპონიის ყოფა, რელიგია, კულტურა და ხელოვნება აინტერესებს“, — აღნიშნა კარლო ქველაძემ.

პრეზენტაციაზე პროფესორმა ნანა გელაშვილმა იაპონიის საელჩოს თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ იაპონიით იგი ჯერ კიდევ 1989 წელს დაინტერესდა, რაც ამ ქვეყანაში მოგზაურობით დაიწყო.

„ჩემი წიგნის მიზანს შეადგენდა, რომ ქართველი მკითხველისათვის კომპლექსურად გამეცნო იაპონია. მოთხოვნილება და ინტერესი იაპონიის მიმართ საქართველოში ძალიან დიდია გამომდინარე იქიდან, რომ ეს ქვეყანა წარმოადგენს შედარებით ახალ პარტნიორს ქართველი ერისთვის. შესაბამისად, ინტერესი და საჭიროება ასეთი წიგნისადმი აშკარად გამოიკვეთა. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა“, — აღნიშნა ნანა გელაშვილმა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს შესაბამისი დარგის ყველა სპეციალისტს: პედაგოგებს, განსაკუთრებით სტუდენტებს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. იგი, ასევე, ინტერესს გამოიწვევს მკითხველთა ფართო წრეში.

შურთხია ბერეშვილი

„შემოდგომის ლეგენდა“ 2012

უკვე მეოთხე წელია, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული და ლიტერატურით გატაცებული სტუდენტები საქართველოს რომელიმე ლამაზ კუთხეში იკრიბებიან და ორ დაუვიწყარ დღეს მუზების სამფლობელოში ატარებენ. წელს ლიტერატურულმა კონკურსში, რომელიც კვლავაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ინიციატივით ხორციელდება, ამჯერად თბილისის ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ჩაერთო.

ლიტერატურულმა კონკურსმა „შემოდგომის ლეგენდა“ სტარტი 17 სექტემბერს აიღო. კონკურსის პირველი ეტაპი 7 ოქტომბერს დამთავრდა, მეორე — გადამწყვეტი ეტაპი კი 19-20 ოქტომბერს გაიმართება.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სპეციალისტის მაკა სეხნიაშვილის ინფორმაციით, წლევანდელ ლიტერატურულ კონკურსში — „შემოდგომის ლეგენდა“ მონაწილეობის სურვილი თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 196-მა სტუდენტმა გამოთქვა, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 123 სტუდენტმა.

წელს ლიტერატურული კონკურსი სლოგანით — „კედლის წერილები“ კახეთში მერეს სასახლეში გაიმართება. წინასწარ შერჩეული სლოგანების მიხედვით კონკურსანტებმა 6 საათის განმავლობაში უნდა შექმნან ნაშრომი, რომელსაც სპეციალური ჟიური შეაფასებს. ფულადი პრემია გამარჯვებული სამეულისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაანესა: პირველ ადგილზე გასულ სტუდენტს 1000 ლარი გადაეცემა, მეორე ადგილის მფლობელი 700 ლარს მიიღებს, მესამე ადგილზე გასული კონკურსანტი კი 500 ლარით დაჯილდოვდება. კომპანია „ჯეოსელი“ კონკურსის გამარჯვებულებს სპეციალური პრიზებითაც დაასაჩუქრებს. გამარჯვებული ავტორების თხზულებები სპეციალურ ბროშურაში დაიბეჭდება.

შურთხია ბერეშვილი



„პირველები" პირველკურსელთა შორის

„პირველები" პირველკურსელთა შორის ის 468 სტუდენტია, რომელთაც ეროვნული გამოცდების შედეგად 100%-იანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სურვილისამებრ მოხვდნენ. პირველად უნივერსიტეტის კარის შეღების ხიბლი ამ ახალ სასწავლო წელს მათ ე ზოშივე ტრანსფარანტებით „შეიარაღებული" აქტივისტი სტუდენტების „თავის უფლების" მოყვარეობით შეიგრძნეს და, მიუხედავად იმისა, ემხრობოდნენ თუ არა პროტესტანტების მოთხოვნებს, მაინც კმაყოფილნი ჩანდნენ – რომ „დიდების რიცხვში" უკვე ისინიც მისდაუნებურად ჩაეწერნენ... მშობლებისგან თურმე ყველას, პირველ რიგში, ის სმენია, რომ ეროვნული საქმის დამცველთა შორის ლიდერები სწორედ ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან მოდიან... გაგონილს ნანახი სჯობსო — ამბობენ უნივერსიტეტში ახლად ფეხშემოდგმული სტუდენტები და არ მალავენ სიმპათიებს მოქალაქეობრივი პოზიციების აქტიურად გამომხატველთა მიმართ. „ჯერ სწავლა და მერე გავლაო" – ეს შეგონებაც შევახსენეთ, მაგრამ სასწავლო წლის პირველ დღეს პირველკურსელებს მხოლოდ იმის გაგონება სურდათ, რომ „სწავლა სიკვდიმდე შენია, სწავლა ხვალამდეც მოიცდის, ახლა ჩვენი სათქმელი უნდა ვთქვათო". მოკლედ, სათქმელიც თქვეს და ყველა მათ მოწონებულს ტაშიც დაუკრეს, „თავის უფლება" უმალ მოირგეს და სანამ აფოფრილი ვითარება არ ჩაწყნარდა, მანამდე „ცოდნის ტაძრის" რეალური გემო სათანადოდ ვერც გაიგეს. ახლა ჩვენთვისაც მოიცალეს და ისიც გაახსენდათ, რომ მათგან, როგორც 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელებისგან, უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტს ელოდება. ამ პასუხისმგებლობაზეც ისინი ჩვენთან საუბრებში თამამად გულახდილობენ.

თამარ დადიანი

თამარ ბარამიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მაცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— ჩემი არჩევანი სამუშაო გამოცდილებამ განაპირობა. 14 წლიდან ვმუშაობ სოციოლოგიური კვლევების კომპანია „ბი-სი-ჯი"—ში და სპეციალობად სოციოლოგიური მიმართულებაც ამიტომ ავირჩიე.

გადმოცემითაც ვიცოდი, რომ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საუკეთესო იყო უნივერსიტეტში და ამანაც დიდი როლი ითამაშა გადაწყვეტილების მიღების დროს. ლექტორებიც საუკეთესო მყავს. კმაყოფილი ვარ მათი პროფესიონალიზმით. ვისურვებდი, აუდიტორიები უფრო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული იყოს. სწავლა სულ ახლახანს დავიწყე, მაგრამ უკვე გამორჩეული ლექტორები მყავს, მაგალითად, ბატონი ბესარიონ დოჭვირი.

მომავალში, ალბათ, ჩემი დამოუკიდებელი სოციოლოგიური კომპანია მექნება, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს. მანამდე კი, ვეცდები, აქტიური სტუდენტი ვიყო და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მივიღო მონაწილეობა. მე უნივერსიტეტში მოსვლის დღიდანვე სტუდენტების მიერ გამართული აქციების აქტიური მხარდამჭერი ვიყავი. იმედი მაქვს და მჯერა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება და წარსულში არ დავბრუნდებით.

ეკა ბატიაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— რუსთავის №5 საჯარო სკოლა ოქროს მედლით დავამთავრე. ხშირად ვმონანილეობდი სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციებში. სწავლის გაგრძელება თსუ-ში იმიტომ გადავწყვიტე, რომ ეს უნივერსიტეტი დიდი ისტორიისა და ტრადიციების მატარებელია.

როდესაც პირველად შევაღე აუდიტორიის კარი, მივხვდი, რომ უკვე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდო ჩემს ვალდებულებებს. მომწონდა სტუდენტების აქტიურობა და ის, რომ თავისუფლად გამოხატავდნენ საკუთარ აზრს. უნივერსიტეტის სტუდენტების თაობაზე მშობლებისგანაც ბევრი მსმენია, თუმცა გაგონილს ნანახი სჯობს. მივხვდი, რომ სტუდენტობა დიდი ძალაა, რომელსაც ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. ამ ყველაფერმა საკუთარი თავის რწმენა შემმატა. მე არ ვიქნები საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი სტუდენტი. ჩემს სათქმელს ყველგან ვიტყვი, საკუთარ აზრს ყველგან დავაფიქსირებ.

ნიკა ლელაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— მშობლების გადმოცემით ვიცოდი, რომ სტუდენტობის წლები ყველაზე შთამბეჭდავი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, რომ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა, შენს სიტყვას ფასი ეძლევა, შენს აზრს ითვალისწინებენ და ა.შ. სტუდენტობის პირველ დღეებში ცოტა არ იყოს, იმედი გამიცრუვდა. მშობლების მონაყოლი აქ განცდილს არ ემთხვეოდა, რადგან მეგონა, უცებ გავიჩენდი ბევრ მეგობარს, ლექტორებ-

თან უფრო ახლო ურთიერთობა მექნებოდა, თავისუფალ დროს მხიარულად და საინტერესოდ გავატარებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მართალია, ჯერ მხოლოდ ერთი თვეა, რაც სწავლა დავიწყე, მაგრამ „დისტანცია" სტუდენტებსა და ლექტორებს შორის აშკარად იგრძნობა. უფრო თბილ და მეგობრულ გარემოს ველოდებოდი... ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური ან პოლიტიკური მეცნიერებები რომ ამერჩია, ალბათ, ცოტა სხვანაირად იქნებოდა, რადგან იქ მეტი შესაძლებლობებია დებატების, კამათის, აზრთა გაზიარების და მსჯელობის. ჩემი ფაკულტეტი კი, ამ მხრივ, ნაკლებ შესაძლებლობებს იძლევა.

სურვილი მქონდა, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი გავმხდარიყავი, მაგრამ ხმა დადის, რომ პოლიტიზირებულები არიან, ამიტომ იმედი გამიცრუვდა... ვიმედოვნებ, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. თუ არაფერი შეიცვლებოდა, დროებით საზღვარგარეთ წავიდოდი, მაგრამ დღეს უკვე ასე აღარ ვფიქრობ. მჯერა, რომ თუ მოვინდომებ, პერსპექტივა ნამდვილად მექნება.

თამარ მინდიაშვილი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— ყაზბეგში ვიყავი მეგობრებთან ერთად, როცა გავიგე, რომ უნივერსიტეტში უფასოდ სწავლის უფლება მოვიპოვე. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი და ძალიან გამიხარდა.

უფროსკურსელებისგან გაგონილი მქონდა, რომ სტუდენტობა ისეთი არ მექნებოდა, როგორიც ჩემს მშობლებს. სამწუხაროა, რომ ჯგუფი არ მყავს, ლექციებზე სხვადასხვა სტუდენტებს ვხვდები და, ცოტა არ იყოს, მიჭირს მათთან დამეგობრება. ყველაზე მეტად რაც მომწონს, ეს არის დამოუკიდებლობა. პირველ

დღეს ძალიან ვნერვიულობდი, არ მინდოდა გამცრუებოდა ის წარმოდგენა, რაც უნივერსიტეტზე მქონდა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა — გარემოც მომწონს, სტუდენტებიც, მასწავლებლებიც. ჩემთვის მთავარია გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც აკეთებ.

ყოველდღე ოთხი ან ხუთი ლექცია გვაქვს 10 წუთიანი შუალედებით. საგნები რთულია და ვიცი, თავიდან ცოტა გამიჭირდება. ბიოლოგიის ფაკულტეტის ადგილმდებარეობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სტუდენტებმა ცოტა ნავიხემსოთ ან უბრალოდ ყავა დავლიოთ. კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამაზე იზრუნებს.

ლილი გლურჯიძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— მინდა, ხელოვნების სფეროში ვმოღვაწეობდე, ვწერდე ან ფილმებს ვიღებდე. მინდა, იმ სამყაროში ვცხოვრობდე, რომელიც რეალობის პარალელურად მიდის, აღიქვამს მას და ცალკე კიდევ რაღაც განსხვავებულ სინამდვილეს და განზომილებას ქმნის... ჩემთვის არ არის მთავარი პოპულარული გავხდე. უბრალოდ მინდა, საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობა მქონდეს. ამიტომაც ავირჩიე კინო-ტელე ხელოვნება. ეს მიმართულება მოიცავს კინოლაბორატორიას, კვლევას, კინემატოგრაფიის ისტორიას და მისი განვითარების საფუძვლებს.

ხელოვნება ის სფეროა, სადაც რეალური მოვლენები, ხალხის ნება-სურვილი, ფასეულობები და ღირებულებები აისახება. თუ ხმას არ ამოიღებ, თუ ჩუმად იქნები და საკუთარ აზრს არ გამოთქვამ, მაშინ არც სტუდენტებში წერიხარ. მარტო სწავლაში თავის გამოჩენა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. სტუდენტი უნდა აქტიურობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც — აი, ამ ყველაფრის რეალიზება მინდა ამ უნივერსიტეტში.

ნანა ხუციშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— ხან არქეოლოგობა მინდოდა, ხან მხატვრობა. ბოლო წუთს გადავწყვიტე ექიმის პროფესიას დავუფლებოდი. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი იმიტომ ავირჩიე, რომ აქ ჩემი ახლობელი სწავლობდა და გადმოცემით ვიცოდი, რომ ფაკულტეტი სწავლების მაღალ სტანდარტს მთავაზობდა. მინდოდა უფასოდ სწავლების უფლება მომეპოვებინა და გამიხარდა, რომ ასეც მოხდა. ფაკულტეტზე 100% გრანტი მხოლოდ მე მოვიპოვე.

კმაყოფილი ვარ ლექტორებით, გარემოც არაჩვეულებრივია. მინდა, ნეიროქირურგი გავხდე. ყველა მაფრთხილებს, რომ ქალისთვის ნეიროქირურგია სასურველი პროფესია არ არის, დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვსო, მაგრამ სწორედ ასეთი რთული რომ არის, იმიტომაც მიზიდავს.

მომწონს, რომ ჩემი უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურები არიან და არა ინდიფერენტულები საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდას, რომელსაც თავისი ქვეყნის ბედი არ აინტერესებს, ღირებულს ვერაფერს შექმნის. ცოტა ხნის წინ ქუჩაში სტუდენტებს ვხვდებოდი, აურაც სხვანაირი ტრიალებდა, მეც შინაგანად ვიმუხტებოდი და მომწონდა, რომ ასე თამამად შეეძლოთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.

ინგა ანთიძე,
იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— იურისტობაზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი, სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ უფასოდ სწავლების უფლებას მოვიპოვებდი. თავიდანვე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ავირჩიე, რადგან აქ მიზნის მისაღწევად და პროფესიული წარმატებების მოსაპოვებლად ყველა პირობაა შექმნილი. თუ ისწავლი, მიაღწევ კიდეც... ყველა ლექტორი მომწონს, მათ არჩევაში „ფეისბუქის" გვერდიც დამეხმარა. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ ჩემი ჯგუფელები სხვადასხვა ლექციებზე არიან გაფანტულები და ხშირად ვერ ვახერხებ მათთან ურთიერთობას. მართალია, ასე უფრო ბევრ სტუდენტს გაიცნობ, მაგრამ მეგობრების, თანამოაზრეების გაჩენა უფრო ძნელდება. სტუდენტობის წლებში შეძენილი მეგობრები ხომ მთელი ცხოვრება გაგყვებიან.

რედაქტორის სვეტი

უნივერსიტეტის ისტორიის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა 85 წლიანი ტრადიციის მქონე უნივერსიტეტის გაზეთს „თბილისის უნივერსიტეტი" იმ მხრივ აკისრია, რომ სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებმა უნდა შემოუნახონ მომავალ თაობებს თუნდაც იმ ისტორიული სტუდენტური მოძრაობის შესახებ ცნობები, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში უნივერსიტეტის წიაღიდან შეეხო ხელისუფლებასა და არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს... დიახ, შეეხო და საძირკველი მოურღვია... მოვა დრო და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამოკითხულ სტუდენტთა სახელები და გვარები, მათი შეძახილები, ლოზუნგები, მოთხოვნები, პოზიციები ამ ფურცლებშივე „მოსაქექი" იქნება, რადგან არავინ იცის მათი ლიდერობის გზა სადამდე გააღწევს და მომავალში ვინ ვინ გახდება... ფაქტად მხოლოდ ის ვიცით, რომ ქვეყნის, ერისა და ისტორიის წინაშე ვალმოხდილთა უმრავლესობამ სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის წიაღიდან გაიკვალა გზა... მოვა დრო და უნივერსიტეტის, მისი პროფესურისა და სტუდენტების ის როლი, რაც მათ ამ საუკუნის ერთერთ გარდამტეხ პერიოდში შეიძინეს, ისტორიისვე გადასაფასებელი გახდება... რა იყო სწორი და არასწორი, რა იყო მართლზომიერი და რა — უსამართლო, ამის შემფასებელი კვლავ დრო იქნება... ჩვენ, უბრალოდ, უნივერსიტეტის ისტორიის ფურცლებს რამდენიმე შტრიხი შევმატეთ და სულ ეგ არის...

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **სოსო გამგებელი**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62